

ନେତ୍ରମୁ ଲୀଜାଟର୍ସ

4

ମେଲିଲିଟର୍

1941

პროფესიულური ყველა ქვეყნისა, შემზღვევის

ჩვენი თაობა

შეღწევაში გერმანი

საქართველოს სამართა მწერლების
კაფეტერის ცოვალთვითი ორგანიზაცია

12 804

4



სახელმწიფო გამოცემაშობა
თბილისი
1941 წელი, აპრილი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	33.
ვლადიმერ სულაბერიძე — ბერიას მოედანი	3
გიორგი ძიგვაშვილი — გრიბოედოვის სამარქსთან	4
გაბრიელ ჯაბუშანური — სხივი ჭალაში	5
გაფი კაჭახიძე — შარშაწინდელი წევიძა	6
იოსებ ნონეშვილი — ბებია	12
ბონდო კეშელავა — სამი ლექსი	13
ანდრი ლომიძე — პუხაჭროლში	15
იოსებ მჭედლიშვილი — ოიანა-ბუანა	18

კლასიკური მიმკითხვება

ი. ფრანკო — მოსე, თარგმანი რაჟდენ გვეტაძისა	31
---	----

კრიტიკა

ერ. ასტრაცატუროვი — სოციალური მოტივები შეგენერის ბოეზიაში	34
იაკობ ბალახაშვილი — მ. ი. ლერმონტოვის ჭარ- აველი ნაცნობები	46

პიპლიოზრავის

გ—კ—ძე — ალფონს ფოდე, „წერილები ჩემი წისქვილიდან“ (თარგმანი ფრანგულიდან გერმანი ქიქოძისა)	63
---	----

პ/მზ. რედაქტორის მოვალეობის ღრმებითი
ამსახულებაზე იჩაკლი აგაშიძე.

მდივანი ნიკოლოზ აგიაშვილი.

ტელმოწერილია დასაბეჭდალ 27/V-41 წ. შე18569. ანაწყობის ზომა 7×12 . სასტამბო ფორ-
მათა რაოდენობა 4. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში = 51136. საავტორო ფორმათა
რაოდენობა = 5,08. სტამბის შეკვეთის № 600. ტრაქუ 1200.

სახელგამის ბეჭედვითი სიტყვის კომინატი, უორესის ქ. № 5.

მხატვრული იუსტიასურა

ვლადიმერ სულაბერიძე

ბერიას მოედანი

სადღაც გაჰყება ლრუბლებს ქედანი,
ლრუბლები ქედებს გადაუვლიან,
აგუგუნდება და მოედნი
თითქოს მშობელი მიწის გულია.

ალელვებული შემოვარდება
ყველა ქუჩა და ყველა უბანი.
მოდის აპრილიც თეთრი ვარდებით
და იქ ჩერდება თავისუფალი.

მოედნის შუა დიდი ვაჟკაცი
დახვდება ყველას და გზას უთითებს,
და გნითიადზე მისი კაშკაში
ქალაქში დასძრავს ლელვას უდიდესს.

მერე რომ ნახოს ყველა ნაპირი,
მთელი თბილისის მქერდს ეხვეოდეს,—
აქედან ლალად წავა აპრილი
და მოედება მთებს და ხეობებს.

გიორგი ძიგვაშვილი

გრიგორელოვის სახარესთან

აქ, ცის მახლობლად, უფრო გრძნობდნენ მზისაღმი ტრფობას,
ჩვენმა მგონებმა აქ მოავლეს ლექსებს ვარაყი,

დიდი პუშკინიც, ლერმონტოვიც—მწირი, ამაყი —

აქ, ამგვარ მთებში ივიწყებდნენ სულით ობლობას,

უეცრად მოკვეთნენ, ვერ დასტოვეს ანდერძნამაგი,

თორემ უთუოდ ინატრებდნენ შენს მეზობლობას.

შენ მათ დაასწარ... მზის ეშნისთვის აქ გაღმოხვეწილთ

ჩვენ კარს ვულებდით, შენ კი ბედმა მეტიც გალირსა:

შენ ნიჭის ჯილდოდ უნაზესი ქალი მოგეცით,

უსეტაესი თაიგული ჩვენი ბალისა.

მრსთვის ქართველი ბულბულებიც ეშნით იწვოდნენ —

ბარათაშვილი, ერისთავი, ორბელიანი...

ეჲ, რა მგოსნები დაგვიჩრდილე, შენ რომ იცოდე,

რა ბევრს შეშურდა, ჩრდილოელო, თქვენი ტრფიალი!

მაგრამ ხანგრძლივად მოყერის მტრობა როდი გვჩვევია,

შენთვის ისეთი სასაფლაო ავეირჩევია —

მუდამ შზე დაგფრენს და ნიაბის ხმა უტებილესი...

დაპულებ დაბლა — ხალხს წუხილი დაუძლევია

და ლხინს ეძლევა გაზაფხულით მთვრალი თბილისი:

მართლაც ლირს ლხენად!.. შენც ხომ ზედავ, სისხლით შეფერილ

ნისლიან კავკასის დღეს რა შუქი გადაეყარა.

სიძევ, წამოდექ, გვიდღეგრძელე, როგორც შეპფერის,

ჩვენი ოჯახი, ბედნიერი ჩვენი ქვეყანა.

სხივი ჭალაში

შენ წყნარად მოხველ, მეტი ხალისი,
მეტი მზე გახლავს, სათნო ხალასი,
და ვგრძნობ: ჩემს გულში შედიხარ ისე,
როგორც მზის შუქი შედის ჭალაში.

როგორც მზის შუქი მწვანე ჭალაში
მიმალულ ჩრდილებს აშლის, გადარევს,
ველს ღიმილს მოფენს, ჩიტებს წამოშლის, —
მე შენ უეცარ ამ სხივს გადარებ.

ვგრძნობ: სულში უცხო სინაზე შედის,
ფარული, ტებილი და უეცარი,
როგორც ბავშვობა — იმაზე მეტი,
ოცნებასავით დაუკეცვი.

გარდასულ წლებზე ფიქრებით პყრობილს —
გულს ძველი ცეცხლი დარჩა უქლებლივ;
ცისკარი — ჩემი ცისკარი ყრმობის,
შენ — ჩირალდანი დაჭაბუკების.

მარად უმანქო, მარად ხალასი,
ეჭვმიუტანი თავის ძალაში
დღეს ვგრძნობ: ჩემს გულში შედიხარ — ისე,
როგორც მზის შუქი შედის ჭალაში.

შარმანნინდელი წვიმა

— შენ იქნება გინდა იცოდე რა შემემთხვა მე ერთხელ ღამით, როცა გა-ზაფხულის თვეში წვიმა შხაპუნით შოვარდა თბილისში? — მითხრა ჩემმა ძველმა მეგობარმა რადო მოლოდინმა, ერთ დროს საქმაოდ ცნობილმა მო-ამბემ, რომელსაც მუდამ სიამოვნებით უსმენდნენ, მაგრამ არასოდეს უჯე-რებლნენ.

— შარმანნინდელ წვიმაზე გეუბნები, მიწისძვრა რომ უსწრებდა წინ-მე მინდა ერთი შეხვედრის და დაცილების ამბავი მოხიყვე, რომელიც აქმ-დე ორჯერ დამავიწყდებოდა, თუ რომ ქალის პატარა ტუფლები...

იმ დროს მე სტუდენტი ვიყავი, ღარიბი სტუდენტი და პაპირისებასაც უფ-რო ხშირად ღერობით ვყიდულობდი. მაინც დამაინც მე ვიყავი კმაყოფილი ბელნიერებამდე, რაღან ჯერ კიდევ არ ჩამედინა ის გაუსწორებელი შეცდო-მა, რომლის ნაყოფი ახლა ჩემს თთაში გულისწამლებად ღნავის და მოქმე-დების თვეისუფლებაც მაჭრით დამძიმებულ ღამის ზღაპარს რომ ამსგავსებს. ახალგაზრდობის ხანას, მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდიდა ჩემს. ცხოვრებას აღსავს ღვინის, მეგობრობის და სიყვარულის. ავანტურებით.

მაგრამ სჯობს პირდაპირ გიამბო.

და იგი მოჰყვა.

— წინწკვლას რომ იწყებდა, მე ზემელზე ვიდექ, სადაც ტრამვაის გაჩე-რებაა და ვაგონის მოლოდინში პაპიროსს. ვეწეოდი.. კარგა შეგვიანებული იყო. აფთიაქის საათის ისრები თორმეტზე იდგნენ და გამვლელებსაც იშვიათად ნახავდით ქუჩებში. თანდათან წვიმის უმატებდა და პატარიც სველი მტვრის სუნით გაიჟენთა. ცოტაც კიდევ და წვიმის მსხვილ-მსხვილი წვეთე-ბი ფოლაქებივით დააჩნდა ასფალტს. ტრამვაი კი სულ არ სჩანდა და არ სჩანდა. ხანგრძლივს ლოდინს მობეზრებულმა ის იყო ფეხით წასვლა დავაპი-რე, როცა ქუჩის მეორე მხრიდან ქურციკის ნაბიჯით გაღმომავალი გოგონა შევნიშნე. საშუალოზე ცოტა უფრო მაღალს და ოდნავ სრულს ტანთ აბრე-შუმის თეთრი კაბა ეცვა და წელზეც წითელი ტყავის ფართო ქამარი ეკეთა.. სწრაფი ნაბიჯით გაღმოდიოდა იგი ტრამვაის გაჩერებისაკენ და მისი უზადო-სხეულის ჩეხვა სავსე იყო ქალურის სიმსუბუქით. შორიდან იგი მოსჩანდა: საოცრად ზვიადი და მისი ცივი სილამაზეც უფრო მოკრძალებას იწვევდა, ვიღრე ვნებათა ღელვას. მაგრამ აპა! ის ლიანდაგს გაღმოსცდა, ქერათმიანი

პატარა თავი ჩემსკენ მოაბრუნა და, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ქალის ხვლიკისფერი თვალების მომწვანო ელვარებაში მიამიტის ღიმილით შეფერილი მაცდური გამოხედვა შევიცან.

ქვაფენილთან მდგარ ჭადრებ ჭვეშ, საღაც ჯერ კიდევ ვტრ ჩამოეღწია წვიმას, გოგონამ ნაბიჯი შეანელა და აღმგზნები ვნებიანი ხედვა, რომელმაც ასე უცებ ღამიბნია თავგზა, მარჯვნივ აფთიაქისაკენ მიმართა და საჭას გაუჟერა.

— ტრამვაზ მუშაობს? — მკითხა მერე და მომრგვალო მხრების თავებთან მსუბუქის შეხეფებით ღანამულს სამოსს წითლად შეღებილი ფრჩხილებიანი პატარა ხელი გადაუსვა.

სიხარულის თრთოლვამ ამიტანა. ლმერთო დიდებულო! ეს რა კალმახი მიუახლოვდა ჩემს ანკესს?! ტრამვაი?! მუშაობს რომელია, შესანიშნავადაც მუშაობს.

— გმადლობთ — სთქვა გოგონამ ღიმილით და ქვაფენილზე ამოვიდა.

ორიოდე წუთის შემდეგ, როცა ვაგონი მოვიდა, მე შრიალა კაბინა ასულს ვაგონში შესვლაზე შევეშველე. პირშავად ჩამოზნექილ ციდამ უკვე კოკისპირულად ასხამდა სეტყვანარევი წვიმა და ჩემი მცირედი თავაზიანობაც პერანგმდე დასველებად დამიჯდა.

ვაგონში მგზავრებს წინა მერხები დაეკავებიათ შუა ოდგილები ზითქმის უკელა თავისუფალი იყო. პირისპირ მოვთავესდით. იგი ცერად ჩამოჯდა საღებავგადაცლილ მერხზე და ნიდაყვამდე შიშველი მკლავი მოწითანო ხის საზურგეზე ჩამოაყრდნო. თვალს მარილებდა თითქოს და ვერც მამჩნევდა. ქერა თმიანი, ლამაზი თავი სარკმლისაკენ ჰქონდა მიბრუნებული და, რადგან ამ უყურადლებობის ნაძალადებისა კარგად ჰქონდნობდა, თვალებს (ეგზომ გამომწვევად რომ მიფოფუინებდა პირველად), მომწვანო და მოყიაფე თვალებს ყალბის ინტერესით აყოლებდა წვიმის ფარდით გაბუნდოვანებულს და ფერდამუქულს შენობებს, რომლებიც წამით ჩაგვიქროლებდნენ ტრამვას ვაგონის სრბოლვაში.

გარეთ კი სულ წვიმდა და წვიმდა. მსხვილწვეთებიანი თქეშის ვაიუშველებელი ნაცრისფერი ხმაურით ესხმოდა ვაგონის სახურავს და რუხად შეღებილს ჭერზე პარალელურს მწყრივებად ჩაყოლებულს ნათურებიდან ერთი მეორეზე სწყლებოდა მავთულისათვის დატანებულ ნაჩრეტებიდან ჩამოპარული წვეთები. ღროგამოშვებით ცის ერთი კიდიდან მეორემდე ელვა გადიკლანებოდა, დაუბერავდა ქარი ვაგონის ღია სარკმელებში წვიმის წვეთების შემრაშეფებდა და მაშინ შეწუბებული მგზავრები ბუტბუტით იცვლიდნენ ადგილს, ანდა ხურავდნენ ფანჯრებს.

საქსოვ ფაბრიკასთან, ცოტა ზემოხ აღმართზე შეყოლებულ ქუჩიდან ნიაღვარი მოლელავდა პირქაფიანი. საწარმოოს წინ ნახევარს წრეში ტრიალებდა იგი ხერხემალში დაჭრილ მხეცივით, მერე ყრუ, დაგულების ხმინბით გაღმოდიოდა ელექტროს შუქით ალაპლაპებულ ასფალტზე და მძიმედ სოფლელი მგზავრივით მისდევდა შუაქუჩას, მაგრამ ეს რა იყო. ნამდვილი თავსხმა ჩვენ მხოლოდ სადგურთან წამოგვეწია. ახლა ქალაქის სახურავებამდე ჩამოზიდულს და ჩამოქუდრულს ციდან შეუწყვეტელს ნაკადად მოდიოდა წვიმა კოკისპირული და მოსფალტებულ მოედნიდან მოღენილმა ტბორმა პარკისაკენ მიმავალ ქუჩაზე ღვართქაფიანი მდინარებით წაშალა საზღვარი ქვაფენილსა და გზას შორის და ტრამვას მოძრაობაც შეწყდა.

მგზავრები უკანასკნელ გაჩერებამდე რომ მოჰყვნენ ტრამვაის, სადგურთან ჩავიღნენ და მოედნის პროექტორებიდან მოვარდნილს შუქზე შხაპუნა წვი- მით გაძნელებულს ხილვადობაში ბუნდოვანს სილუეტებად მოსჩანდნენ და- ქიმიაჩებული და შარვალაკაპიტებული მამაკაცები, რომლებიც ხელების ქნე- ვით მისტოპავლენენ კოჭამდე წყალში და წვიმის მთვარების მომრევს მონო- ტონურს ხმიანობაში უამდაეამ ისმოდა უხერხულობაში ჩაგარდნილი კაცისათ- ვის ჩვეული სიცილი, ბრაზიანის გინებით გაბზარული.

ჩვენ კი მომდურებული შეყვარებულების მდუმარებით პირისპირ ვისხე- დით ასე კარგა ხანი და ვინ იცის როდემდე დავრჩებოდით ამგვარს ყოფაში, რომ მოულოდნელად ვაგონში სინათლე არ ჩამქრალიყო და მაშინ სიბნელის დუმილის დაძაბულებამ ერთბაშად გადალახა ნაცნობობის გაუფორმებლო- ბით აღმართული ზღუდე გაუბერდაობისა თუ უხერხულობისა.

— თქვენ ძალიან ლამაზი თვალები გაქვთ, — ვუთხარი გოგონას და მხურ- ვალებამ, სახეზე რომ შემომენთო, მყისვე შაგრძნობინა ჩემი კაღნიერების უსაზღვრობა.

— ამ, ეს ჩოგორ! — წამოიძახა მან და მერე ქმაყოფილი ქალის ხმამალა- ლის, უზავეველის სიცილით გაიცინა და უქუნი ლამის მიუხედავათ მე დავინა- ხე გოგონას ტუჩებდღან ამდგარი ღიმილი.

— რა იცით?! — იგი განაგრძობდა სიცილს — რა იცით! თქვენ ხომ ვერ ხედავთ ჩემს თვალებს? ახლა ხომ ბნელა!

მე განადგურებული ვიყავი.

— ჴო, მაგრამ ისინი ანათებენ! — მოვახერხე როგორც იქნა ბოლოს.

— ანათებენ! — კვლავ გადიკისკისა გოგონამ.

— ქალბატონო, როგორ გითხრათ და მე უკვე ვიფერფლები მისი ალით. — წარმოვსთქვი პათეთიურად და წარმოიღგინეთ იმდენად გულწრფელადაც, რომ გოგონამ შეითერა: სიცილს თვი ანება და მგონი, დასწეულოს ღმერთ- მა, და კიდეც შევებრალე.

ასე გავტეხეთ ჩვენ დუმილის თუ უხერხულობის ნავსი და ამით წახალისე- ბულებმა სახელებიც გამოვიყითხეთ ურთიერთის. თავად ირინა ერქვა. ჩემი სახელი ეუცნაურა. ქართულს არ ჰვას და არც არავისზე გამიგონია რადმ ერქვასო. სპარსულია მეთქი. მალე, სალაპარაკო რომ გავითავდა, საუბარი ამინდის შესახები ამბებით განვაგრძეთ. იგი მზისკენ მოხვედრისლი ნაყოფი- ვთ აღრე მომწიფებული, ხნით სულ ბაგშვი იყო და როცა ყოვლის მომსწრე კუნკურუხის სერიოზულობით ამბობდა ასეთი ავდარი თბილის არ ახსოვსო, ეს ცოტა სასაცილო ისმოდა. წვიმის გადაღებას ნატრობდა, სახლში შეშინ- დებიან, ამდენი რომ დამიგვიანდა ამ წარლვაშით. ახლა ორის ნახევარიც იქნება და საბრალო დედახემს კი ალბათ ჯერ თვალიც არ მოუხუჭავს ჩემის დარდითო. ვინ იცის ფანჯარასთან ზის, ქუჩისკენ იცქირება და ყველა თეთრ- კაბიანში თავის ირინა ელანდებაო.

ირინას სიტყვა შევაწყვეტინე, მცირედ მოვიბოდიშე და ვსთხოვე მხოლოდ თავის თავზე ელაპარაკა. საღ სწავლობს? მეგობრები ბევრი ჰყავს? და რომ ჩემგან უცნაურად არ სჩვენებოდა ამდენი შეკითხვები — დავსძინე: ყოველი წვრილმანი მაინტერესებს თქვენი ცხოვრებისა მეთქი.

ათწლედს ამთავრებდა. საეჭიმოზე უნდოდა მოწყობა, ლიტერატურულ- ზეც რომ იყოს, არ დავეძებო. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, საინჟენიო ყველაფერს გირჩევიაო შაგრამ, რადგან უკეთესები მისი ჯვეფიდან ამ ორ

დარგზე აპირებდნენ შესვლას — მე რა მათზე ნაკლები ვარო — და პირიქითაც. აქ თრინამ თავი მორცხვად დახარა, ხმას დაუდაბლა და მოკრძალებულის ლაპარაკით მიმახვდრა, რომ იგი ძალიან მოსწონთ ვაჟებს და მეც უსაზღვროდ მოხიბლული მისი ეშხით, რა თქმა უნდა, გულწრფელად დავეთანხმე, რომ ვაჟები არ სცდებოდნენ ამ შემთხვევაში.

ამგვარის მიმდევრობით ჩეგნი საუბარი გაიმართა, როგორც ფოლადის ზამბარა ტვირთის თანდათანი შემცირებით და ნახევრად შინაურულსა და მეგობრულს ლაპარაკში ირინამ ჩემი სურვილი — კარგად მენახა მისი ლალისთვლიანი ბეჭედი — შეასრულა. ფუნთუშა გრძელთითებიანი პატარა ხელი დამანება და საღვურის ზენობილან გამომკრთალს სინათლეზე, ფერმილეულს და ჯაცრეცილს სინათლეზე, რომელიც ძლივს აღწევდა ჩეგნამდე ხანგრძლივსა და გულმოდგინე სინჯვაში მე ქათინაურის გარეშე აღვიარე, რომ ეს პატარა და ძვირფასთვლიანი ოქროს რგოლი გაკეთებული იყო უნაზეს და ულამაზეს ხელზე.

— მათხოვეთ, — ვუთხარ გოგონას. თითიდან ბეჭედი წაგაძრე და, რადგან სხვა თითებზე არ მომერგო, მარცხენა ხელის ნეკზე გავიკეთე.

ამ უწყინარს ლაციცში და მსუბუქს აღზებაში ჩეგნ მალე შევეჩვიეთ ერთმანეთს და როცა სილამაზით, ეშხით, თუ ნდობით გათანგულმა ადგილი გამოვიცაალე, გოგონას გვერდით მივუჭექი და ვნებით დაყურსულ ტანზე ათროლებული ხელი მოვხვევი. ირინას ლაბინდულს თვალებში კამყოფილების ნაპერწკლებით ანთებული მაღლიერი ლიმილი შევნიშნე, რამაც ჩემი მოქმედება უფრო ბუნებრივი თუ უცილებელი მაჩვენა და ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ქალის დაყრდნობა ხელებიდან იწყება და, როცა იგი ვაჟს თავის ხელებს ანებებს, ამით გულსაც სთავაზობს.

* * *

წვიმა კარგა ხნის გადალებული იყო, როცა ფიროსმანის ქუჩით ირინას შინმცვაცილებდი. გვიან იყო. ქალაქის სახურავებზე მძიმედ ჩამოწოლილიყო ნაშუალამეგის სიბნელე. გაფანტული ღრუბლებილან მთვარე იჭვრიტებოდა, ახლად პირნაბან და მკერდაწურულ ციდან ხანგამოშვებით ცვილდა დაგვიანებული და წვირლწრერილი წვეთები. პაერი ახალი გაზაფხულის მათრობელა სურნელებით გაელენთილიყო და ხუდალოვის ტყიდან ჩამოქროლილი ნიავიც მსუბუქად გველამუნებოდა სახეზე.

— მე თქვენ ზედმეტად დაგიახლოვდით, — დაიწყო ირინამ. იგი მძიმედ მეყრენობოდა მკლავზე და ცდილობდა სერიოზული ყოფილიყო.

— ვერასოდეს ვაპატიებ ამას ჩემს თავს, ვერასოდეს. მე დღემდე გასეირნებაც ვერ გამებედნა მარტოს ვაჟთან, თქვენ კი სრულიად უცნობმა... ვინ იცის, რა შეხედულებისა ხართ ეხლა ჩემზე...

რა მეოქვა იმ სასიამოვნო თავდავიწყებაში, რომელმაც ასე უცებ შეგვიპყარო. ვაგონში შეფარებული მე ვერაფერს ვხედავდი სამწუხაროს, გარდა იმისა, რომ იგი არ იყო სრული, რადგან უმძაფრეს აღტყინების წუთებშიც არ გადალახულა უცოდველობის საზღვრები.

— სასეირნო ამინდია; — ვსთქვი მე.

ირინა შეჩევითდა — იგი არ კლოდა საუბრის ასეთს. შებრუნებას.

— ვითომ? — იკითხა ცალყბად მან და გულგაღელილ ცასაც ცალი თვალით გახედა.

— რა თქმა უნდა! თითქოს თბილა კიდეც.

— მხოლოდ ტალახი არ უნდა იყვეს, — სთქვა ირინამ და ქვაფენილის ოღონ-ჩოღონებში ჩამდაგრს შლამს და პატარა გუბეგბს, რომლებიც ელექტროს შუქზე ლაპლაპებდნენ თვალის მომჭრელად — შემქრთალი ხედვა გააყოლა.

— ფრთხილად უნდა იაროთ — ვუთხარი ირინას და ტალახიანი გუბის გვერდის ასაქცევად მარჯვნივ გადაუუხვივ.

— ას!

— აქ ჰა! კიდევ შეიძლება გადარჩე. ქვაფენილი შედარებით სუფთაა. მაგრამ ჩვენს ქუჩაზე... იქ ისეთი ტალახი იცის, ისეთი, რომ... მშვიდობით ტუფლებო, — უსასრო ღიმილით სთქვა ირინამ და უნებურად ფეხსაცმელებზე დაიხედა.

ეს იყო მშვენიერი პატარა ტუფლები — ქრემისფერი და გვერდზე გადასაბნევი...

— ძალიან გენანებათ? — ვკითხე გოგონას — უთუოდ ძვირფასინია...

— ოჲ! მაგბტომ არა — სთქვა ირინამ და სახეზე სიწითლემ გადაპყრა — ღეღაჩემისაა. მაღალქუსლებიანი. სულ ეხლახან უყიდა მამაჩემმა. არც კი უხმარია — საზაფხულო კაბის შეკერვას უცდიდა. მე კი... ეჲ! ნამალავად მარც არ ჩამეცვა.

— ნამალავად? — გამიქვირდა მე, — როგორ თუ ნამალავად?

— ისე, — სთქვა ირინამ და თავის ნაეშმაკარით კმაყოფილი ბავშვის ღიმილმა წამით გაიელვა მის სახეზე, — ჴო, ნამალავად. ან კი ვისთვის მეთქვა. ვიცოდი გამიწყრებოდნენ. რა დროს შენი მალალი ქუსლებია ათწლელიც არ დაგიმთავრებიაო. ჯერ უნდა სწავლას მორჩე და მერე თუნდ თერთმეტ ნომერზე-დაც შედექიო. მე კი... ამოდენა ქალი ვარ... რახანია, დედაჩემს სიმაღლეში გავუსწარი და მაღალქუსლიანი ტუფლები კი ჯერ ერთხელაც არ მღირსებია... მაგრამ თქვენ მგონი. სულაც არ გაინტერესებთ ეს.

— რატომ? ეს ძალიანაც საინტერესოა.

— ჴოო?

— რასაკვირველია! შემდეგ?

— შემდეგ არაფერი. დღეს საღამოს ამხანაგთან ვიყავი დაპატიუებული-დღეობა ჴკონდა. ვიცოდი ჩვენი ჯგუფელები ყველანი იქ დამხვდებოდნენ გა-მოპრანქულები. გული მწყდებოდა. ტუფლები მაღალქუსლებიანი, ლამაზია ტუფლები მოსვენებას არ მაძლევდნენ. რა მექნა. გული არ მიშვებდა. ვაი თუ გამიგონ მეთქი. ვყოყმანობდი. ბოლოს მაინც წამძლია სულმა. თუმც რა ჩემი ბრალია, ყველაფერი განგებისად მიწყობდა ხელს. დედაჩემი მეზობელთან გასულიყო. მამას ეძინა. ჩემი და კი მეორე ოთახში აჯახირებდა როიალს. არ ჩამეცვა? სურვილი მომქლავდა.

ამ ლაპარაკში, რომელიც მე უფრო მაინტერესებდა, ვიდრე ირინას ეგონა, ჩვენ შეუმჩნევლად გავცილდით ბნელ ხიდს. მერე მხარმარჯვნივ შევუხვიეთ, ვიწრო შესახევევის გავლით უცნობი ქუჩა გადავსჭერით და, როცა ცოტა ხნის შემდეგ ერთხელ კიდევ ჩავუხვიეთ, მე უკვე აღარ ვიცოდი სად ვიყავით.

— აი ჩვენი ქუჩაც! — სთქვა ირინამ და ჩაბნელებულ შესახევეზე მიმითითა.

— ახლო ყოფილხართ! — ვუთხარი ირინას.

— ახლო? ახლო არა, ვინ იცის თავბეღს იწყევლით, ამ სიშორეზე რომ

გიზდებათ ჩემი გაცილება, — გამეხუმრა ირინა და ახლადაყვავილებული აკაციის ქვეშ ნაბიჯს მოუკლო. აქ წვიმას დაუზოგავად ჩამოყარა ტკბილ ბუტკონანი თეთრი ყვავილები და უწესრიგოდ მიმოეფანტა სველს ქვაფენილზე.

— თქვენ ახლა შეგიძლიათ დაბრუნდეთ, — მითხრა ირინამ და უამოსამშვიდობებლად ხელი გამომიწოდა.

— მაგრამ თქვენი სახლი ხომ ჯერ შორსაა, ბარემ მიგაცილებდით.

— არა, — გადაჭრით მითხრა ირინამ — გმაღლობთ. რა საჭიროა, ორ წუთში ში შინ ვიქნები. არ მემშვიდობებით? ხელი დამელალა, ნახვამდის!

უნებურად ჩამოგართვი ხელი. გამომშვიდობებისნაირი წავიბუტბუტე რაღაც და როცა ირინა შებრუნდა, ზურგი შემაქცია და მსუბუქის ნაბიჯით ჩაბრულებულს შესახვევისაკენ გაემართა — ქურციკის ნაბიჯების მწყობრმა ხმიანობამ მთელი ქუჩის სიგრძეზე გადაბზარა ღამის სიჩუმე და ხმა ყოველ მისი ნაბიჯისა გაურკვეველს მწუხარებად მხვდებოდა გულზე. მე ვერ გამეგო ამდენად რატომ მენახებოდა განშორება ერთი საათის ნაცნობთან და აკაციის ხეზე ზურგით მიყრინობილი ხარბად ვაყოლებდა თვალს ღამის სიშავეში მცურავ თეთრ სილუეტს, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა ბნელს შესახვევს და მხოლოდ მაშინ, როცა იგი სულ გაუჩინარდა ხედვიდან, მე გამახსენდა, რომ ჩვენ შეტად ვერ შევხვდებოდით ერთმანეთს, რადგან გაუმართლებელი დაუდევრობის წყალობით დამტკწყობდა ირინასთვის პაემანი დამენიშნა და არც მისი გვარი და მისამართი ვიცოდი.

დაშამათებული ებრუნდებოდი შინ. ფეხები უკან მრჩებოდა გულნაკლულს. ვწუხდი. მიუტევებელს უგრეგილობად მიმაჩნდა ჩემი დაუდევრობა, რომელმაც სათუოდ მოსალოდნელ შემთხვევებიდე გადასდო ჩვენა შესველრა. უხალისოდ მიესდევდი სველს ქვაფენილს და ხშირი საყველურებით ვავსებდი ჩემსავე თავს.

მაგრამ ჩემი მწუხარება ხანმოკლე აღმოჩნდა. შემთხვევამ არ ინტენსიური დავეტოვებიე ამ ღამეს და როცა მოთენთილს ნაბიჯებზე დანდობილი ელექტრონის ბოძთან შეეჩერდი და მაღლით ელნათურიდან მოფრქვეულს სინათლეზე პაპიროსს მოკურიდე, ხელზე, რომელშიაც ასანთის კოლოფი მეჭირა ირინასეული ბეჭედი შევნიშნე.

სიხარულის თრთოლვაშ მიტანა. ბეჭდის დაბრუნება საჭირო იყო მაშინვე და მეც მშვენიერი შესაძლებლობა მომეცა დაუყონებლივ მენახა მისი პატრონი. საჩქაროდ შეებრუნდი, თითქმის სირბილით გავეშურე ბნელი ქუჩისაკენ, საღაც ირინამ შეუხვია. წახალისებული სურვილით შეპყრობილი, აუცილებლად დაესწეოდი გოგონას, დაურიდებლად მივტოპავლი პატარა გუბებში, რომლებიც თანდათან ხშირდებოდა. ზოლოს შესახვევიც გამოჩნდა, იგი დაღმართით იწყებოდა. აქ ქვაფენილი სუფთა იყო, მეც დაუბრკოლებლივ ჩავთავე იგი. უფრო ქვევით, დაღმართი ვაკეში რომ გადადიოდა, მთელი ქუჩაშ შლიმნარევს ტალახს დაეფარა და სიარულიც უფრო და უფრო გამიძნელდა. ამ აჩქარებაში მე შეუმჩნევლად წამოვეწიე ირინას, რომლის თეთრი სილუეტი ბუნდოვანად მოჩანდა ღამის სიშავეში. ნაბიჯს ვუმატებდი. ცოტაც და მე ხმის აუმალებლად გავაგონებდი მას, ძახილს რომ ამ ღამეს უცნაური სურპრიზი არ შეემზადებია ჩემთვის. ჩემგან ცოტა მოშორებით მაღალი შენობის ოდნავენათებულს შესავალთან შეჩერდა თეთრკაბიანი ქალი. ცალი ხელით ზარს რეკდა, მეორეთი კი ტუფლები ეჭირა. იგი მთელი ქუსლით დაბალი მოჩანდა.

იოსეა ნოველი

ბ ე ბ ი ა

როცა თადარიგს იჭერს ბებია,
სიდარბაისლე დაპკრავს ქახური.
ლურჯი სუფრაც არ დავიწყებია
მზითვის ზანდუქში გადანახული.

მიწონებს სწრაფად დავაუკაცებას,
სწუხს: ვერა ვხედებით ხშირად მე და შენ.
რა ვუთხრა იმ ღმერთს, შეილს რომ მტაცებდა...
ენახე ერთი საწყალ დედაშენს.

ბებიაჩემო, თუმც ვარ ვაუკაცო,
თუმც გმირნი მყავლნენ მამაპაპანი,
მო, თავს ჩაგიდებ მაგ თბილ კალთაში
და ერთი ტკბილად მითხარ ზლაპარი.

მზეთუნახავი ქალი თვალშავა
მითხარ ვით შეხვდა ჭაბუქს თავიდან;
ქალმა ნაწნავი როგორ ჩაშალა
და ვაუი კოშკში როგორ ავიდა.

ბებია, შენთან ყველაზე წმინდა
ჩემი ბავშვობის წლები მეგულვის.
ისევ მოგბარო, ო როგორ მინდა
ჩურჩხელა თეთრად ჩაშაქრებული.

ნუ ვაიკვირვებ... თუმც ვარ ვაუკაცო,
თუმც გმირნი მყავლნენ მამაპაპანი,
მო, თავს ჩაგიდებ მაგ თბილ კალთაში
და ერთი ტკბილად მითხარ ზლაპარი.

სამი ლექსი

ახალი მთვარე

შებინდებისას აივნიდან გაფხედე ტელილისს;
 ცისა და მტკვარის ვარსკვლავები ერთურის კოცნიდენ,
 ყელზე ჩურჩულით მომეხვია ნიავი თბილი,
 სალამოისას საალერსოდ ტრფობადმოცლილი.
 ბელადის მთიდან ოქროსფერი გამოჩნდა მთვარე,
 წარმტაცი იყო ცის ტატნობზე მთვარე ანკარა.
 ჯერ მის გარშემო მოციმული მნათობნი ჰთვალე,
 შემდეგ უეცრად მოგონებამ ამაკანკალა.
 მინდა გავიგო — ჩა ხნისაა მთვარე ახალი.
 გაიტალკვესა წინ ბავშვობამ, როცა პატარას
 სარკით მითვლია დღე მთვარისა, სახეზე ხალით
 და ამ წუთებმა იმ დღეებთან ჩამომატარა.
 ავიღე სარკე, შუბლის ქვემოდ ამოვიფარე,
 შევატრიალე და თვალებით ცა გადაგსერე.
 შემდეგ ლიმილით წავიკითხე სამი დღის მთვარე,
 როგორც რუკაზე წარწერილი CCCP.

გუშინდელი ლექსი

მთხოვე, მოგართვი ჩემი ლექსები,
 ჩემი გულის და ყრმობის მსახველი.
 ერთხელ მათ თვალით მოეალერსე
 და თავდახრილი უხმოდ წახველი.
 წახველ, წაიღე გულის ნაფლეთი.
 ალბათ, ოთხში ყოფნა არჩიე.
 მე აქ დამტოვე აღმოსავლეთით
 და შენზე ფიქრი შემომაჩვიე.
 შემომაჩვიე შენზე ოცნება,
 დამამახსოვრე შუბლი და თმები.
 ნეტავ მაგ ბაგრი თუ იკოცნება
 ახლა ის ლექსი და ის რითმები.

მშობლიურ სოფელში

მთელი დღე მარტო ვიარე, იქ საღაც ვიშვი ვიზარდე.
გულს არ ფარავდა იარა, კურკურად მიველ, ვივარდე.
ვინ გამიბედაგს ურჩობას, მე რომ სამშობლო მიყვარდეს.

მიყვარდეს მე ის მიდამო და იმ ჩანჩქერის ღინება,
რომელმაც ძუძუ მაწოვა, ჩემი გამოზრდა ინება.
ბულბულად მხდის და მამლერებს მე მისი ალორძინება.

ჩემი ბაგშვობის დღეები ურჩი იყო თუ ალება,
ამ ხეივნებში ჩამქრალი, ჩურჩულებს, აქ იმალება.
იმ მთიდან ბევრჯერ მინახავს მზის სხივთა არიურავება.

პო და, ძმობილო, აქ მოველ, იქა ვარ, საღაც ვიხარე.
ალარ მხვდებიან მგზავრები ნაღვლიანი და მწუხარე.
ყანიდან ისმის ყანური, ვაჟკაცური და მქუხარე.

მუსაგაჭრილში

მდინარე კაპარქინის ნაპირს ჩამწკრივებულ ტანმაღლალ მუხისა და თხემლის ხეებს გარს უვლიდა ზღვაური, ძალუმად ღუნავდა ღონიერ ტოტებს.

მე და ჩემი ამხანაგი ვასო დემანია ჩაესხედით ბაიდაში, თოფები და ვაზნები შიგ ჩავალაგეთ, კაპარქინიდან შევიჭრით პალიასტომის ტბაში და სანალიროდ გავემგზავრეთ:

როცა მუხაგაჭრილს მივუახლოვდით, ფეხმოტეხილი ყანჩა გადაგვითრინდა; ნისკარტით გველი მიჰქონდა.

ნაპირები თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ძლიერ მივცურავდით. ბაიდიდან გადმოვედით. ვასომ ეწერში დამაღლა ნიჩბები.

თხემლის ხეებზე აქა-იქ შერჩენილი მზისფერი ფოთლები ქარის ხელში ფართქალობდნენ ანკესით დაჭრილ ოქროს თევზებივით.

ახლადმოჭრილი სიმინდის ჩალა ვილაცას ბლომად ჩამოეწყო თხემლის ხეზე. გაყვითლებულ ჩალას სწერავდა ქარი და ძირს ჰყრიდა. ხესთან ატუზული ზაქი ჰაერში იტერდა ჩალის ღრუებს, ზანტად ღებული და დროგამოშვებით ზევით იყურებოდა: ქარმა იქნებ კიდევ ჩამოაგდოს.

მზე ეჭიდებოდა მუხის ტოტებს, თრთოლვით ეშვებოდა ზღვაში.

შორით მოცურავდნენ ლრუბლები, ცის დასავალი შავდებოდა თანდათან.

ზღვაური იზრდებოდა, გააფირებული სტკენითა და ღმუილით ეგებებოდა ღამეს.

დიდხნის ვიდექი, მაგრამ იწვისათვის არ მომიქრავს თვალი.

— წავიდეთ, იხვი არ მოდის, წვიმასაც იწყებს, — გადმომძახა ვასომ. — გალმა აღარ გინდა გადასელა? ხომ გესმის როგორ ბლავის პალიასტომი!

ბრეზენტის წამოსასხამზე, ჩეჭმებზე აწყაპუნდნენ წვიმის წვეთები.

— წამომყევი, — მითხრა მან, — აქ ახლო მგონი მეჯოგეები ცხოვრობენ.

მცირე ხანს ვიარეთ ეწერსა და ტყეში. ლაქაშით გადახურულ ქოხის ღია კარს მივადეჭით. მიწურ იატაქზე ტკილინებდა ალმოდებული კოპიტი. მხარბეჭვანიერი მაღალი მოხუცი ფეხზე იდგა, შამფუზზე წამოცმულ ბატს სწეავ-და და ყალიონს აბოლებდა, ხოლო მეორე — თმააბურძგნილი, დაბალი ტანის წვერ-შევერცხლილი კაცი კუნძზე იჯდა და ხელებს ითბობდა.

— შემოდით, შეილებო, დასველდებით! — შეგვიძატიუეს;

მივესალმეთ.

— დღეს, თუ ვაისვლება გალმა? — ვასომ თავაზიანად მიმართა მხარბეჭვანიერ მოხუცს.

მან ნისლისფერ წვერზე მოიკიდა ხელი.

— თავს ჩისთვის იღუპავთ, შვილებო? ამაღამ ჭინკა ვერ გადავა პალიასტომზე. აქ მოისვენეთ.

წამოსასხამები დავაგეთ იატაკზე და მივწერით.

სახურავში ჩამოდიოდა წვიმის წვეთები, ლაქაშის ლერებს მიჰყებოდნენ, მიალწევდნენ ბოლომდე, აივებოდნენ; რაგინდრაფერად ბრჭყვიალებდნენ აგიზგიზებულ ცეცხლის შუქში და იატაკზე ცვიოდნენ. წვიმის წვეთი რამდენჯერმე ჩავარდა მეჯოგის ყალიონში. მოსწია მოხუცმა ყალიონს და გაბრაზდა. თუთუნი არ იწოდა. შეიგინა, ზევით აიხედა და ადგილი შეინაცვლა.

მარჯვენა ფრთის ბოლოს ბატს შერჩენდა ბუმბლი. როცა მეჯოგე აუჩქარებდა შამფურის ტრიალს, თეთრი ბუმბლი წრეს ხაზავდა თავის გარშემო.

„ხეალ ქარხანაში უჩენოდ ხომ შეცერჩდება მუშაობა. მე მემანქანე ვარ, ვასო კი სამქროს გამგე“.— ვფიქრობდი და ვწუხდი. — „აი, მესამედ დაიგუგუნა საყვირმა. ხარატები, მჭედლები, ლიოთონის ჩამომსხმელები თავიანთ ადგილას დგანან. სცუმან დაზგები და ქურები. შუახნის ოსტატი — ალექსანდრე ხარიოვი — გინებით გარბის სამანქანო განყოფილებისაკენ, მაგრამ იქ ვერავის ხედავს. ყაველმხრიდან მოისმის: „ვცდებით, რაშია საქმე“. ყვირის, დირექტორი და იმუქრება“.

წამოვდექ. წამოიწია ჩემმა ამხანაგმაც.

— არც შენ გძინავს, ვასო?

— თუ ქმა ხარ, წავიდეთ. ქარხანაზე ფიქრმა ლამის გამაგიუოს.

მეჯოგები ბევრს გვთხოვდნენ: ნუ წახვალო, პალიასტომი დაგამარტებთო. გამოვემშვიდობეთ. ტბაში შევცურდით. განრისხებული ზეირთები ყაყაზებდნენ წვიმაში და ქარში.

ხანგამშვებით შუქურა ათრევევდა წითელ, თეთრ და მწვანე შუქს.

პალიასტომის ტბა ღელვის ღრის წყლით საესე აღუღებულ ჭვაბსა ჰეგასა ქოთქოთებს, შერიალებს, ბუყბუყებს.

ფრთიხლად ვუსვამდით ნიჩბებს.

ბაიდა ყირაზე დგებოდა.

გაღმა გასვლის იმედი დაგვეკარგა. ველოდით: საცაა ზვირთები კისერში ჩაგვაცლებენ სველ, ღონიერ, შავ თათებს, ბაიდიდან გადაგვათჩევენ და ნაკუწ-ნაკუწად გვაქცევენ-მეთქი.

უზარმაზარი თევზის მაგვარი რაღაც შევნიშნუ ტალღაზე, აიწია, თითქო ჩევნისკენ პაირებსო გაღმოხტომას და გაუჩინარდა. სუნთქვა შემეკრა, წუთით ნიჩბები ჰაერში გავაჩერე.

შუქურას მწვანე შუქში ისევ გამოჩნდა ზეირთებზე გაწოლილი თევზი. ავი, მწვანე თვალებით შემომხედა, გაანჩხლებული კრუხის ფრთებივით გაშალა ლაყუჩები და შუქურას შუქთან ერთად გაპქრა.

მარჯვენა ნიჩბი წყალს დავაცილე. ბაიდა, შემოტრიალდა. ტალღა ზურგში მეცა და გამწუწა.

თევზისაკენ აღარ გამიხედინა. შპანგოუეტებს ფეხები მაგრად მიგაბჯინება და ნიჩბებს მძლავრად დავაწერი.

როცა შუქურამ ისროლა თეთრი შუქი, გულმა ველარ მომითმინა. და შუქს თევზისაკენ თვალი გავაყოლე. დავემშვიდდი, თანაც შემრცვა; ტალღებზე მორი გორაობდა.

და უცებ მეწყინა, რომ თევზის ნაცვლად მორი თამაშობდა ტბაზე. მინდოდა, რომ მორი თევზად ქცეულიყო და შეგვბრძოლებოდა. ჩემს გულში

წამოიშალნენ წინაპრები, ტალღას რომ უყურებდნენ ჩოგორუ ცოცხალ არსებას. თმებგაწეწილნი, წვერ-მოშვებულნი, თვალებანთებულნი საჩენებელი თითის სიგრძე ფრჩხილებიან ხელებს შიშველ მკერდზე იცემდნენ და ლავლავებდნენ. ბაიდისაკენ ზეირთი რომ გამოქანდებოდა შავი მკერდით, მე მსურდა გამეშალა მკლავები და ლმუილით ვცემოდი მას.

თაგჩაღუნული ვასო საჭეს მართავდა.

მახარებდა მკლავებზელ კუნთების მოძრაობა, მახარებდა ისიც, რომ ნიჩბები და ბაიდა ჩემს სურვილს ემორჩილებოდა. მე დავაპირე სიმღერა და იმ დროს რაღაცამ მძლავრად შემოანგრია ბაიდის მარჯვენა გვერდი და გადა-გვებრუნა. წყლიდან ამოყვავი თავი. თოფი ჩამომივარდა მხრიდან და მკლავ-ზე დამეკიდა. ჩემები წყლით ამევსო, ცურვას მიშლიდა. ხუთი მორისაგან შეკრული ტივი ჩემს წინ ირყეოდა და ტლაშუნობდა. ზედ ვიღაც მიხოხავდა. ტივზე ავცოცდი.

ჩემნგარშემო გულმოსული ზეირთები აქლემებივით იფურთხებოდნენ. ვასო მოფორთხდა ჩემთან, ტუჩები ყურზე შემახო და ჩამდახა: როგორ გამეხარდა, რომ დაგინახე. თოფი დავკარგე, მაგრამ ჯანდაბას. შენზე ვდარ-დობდი. გესმის? ქარი კლებულობს, ჩემარა ნაპირზე ვიქენებით.

მორებს შორის ამორბოდნენ წყლის შხეფები, ზურგზე და მკერდზე გვეს-ხმოდნენ. წურწურით გვდიოდა წყალი. ეწერში მოკიაფე ნათელს მოვეკარი-თვალი, როცა ტივი დაასკდა ნაპირს და ზევით შეგვაღდო. ჯერ უზომოდ გამეხარდა და მერე ჩერებივით ჩამომეკიდა მკლავები. „ეს ხომ მეჯოგეების კარავია“.— ვფიქრობდი და არ ვინძრეოდი.

ვასო გადავიდა ტივიდან, გაიხადა ჩემები, წამოაპირქვავა და გადმოასხა წყალი. მან თვალი მოკერა შუქს, ხელიდან გაუვარდა ჩემა, ჩემსკენ მოიხე-და და მკითხა: სადა ვართ?

— მეჯოგეების ხუსულას ხომ ზედავ... ველარ მიხედი სადაცა ვართ...
— ფურ... შენი... მაშ ტყუილად ვიწვალეთ?
— ისევ მეჯოგეებს ვესტუმროთ, ტანისამოსი გავიშროთ და ფეხით მოვუნ-ვათ. მეტი გამოსავალი არ არის.

ქოჩში ახალგაზრდა, პირმელი მონადირე ხორცსა და პურს შეიქცეოდა. კუთხეში ელგარებდა ორლულიანი თოფი. წითელყურიან სეტერს ცეცხლისა-კენ წაეყო ცხვირი და ეძინა. მე და ვასომ ერთმანეთს გადავხელეთ გაკვირ-ვებით. „მეჯოგეები სადღა არიან ნეტავი?“— გამირბინა ფიქრმა და მისაალ-მებისთანავე ეთხოვე მონადირეს:

— არ შეიძლება გაღმა გაგვიყვანოთ? აი, გუშინ ფოთიდან წამოვე-ლით მუხაგვერილში და აქ ჩაერჩით. ბაიდა დაგველუპა. ამ უკუნ ლამეში ვერ გავიკვლიეთ გზა, ბევრი ვიყილეთ და ისევ მუხაგვერილში მოქსულვართ თურმე. ხეალ სამუშაოდ რომ არ გავიდეთ, თავი რად გვინდა ცოცხალი.

მონადირე გამოვიდა ქოჩიდან, ხუთმეტი წუთის განმავლობაში გვატარა ეწერში და მინდორში გაგვიყვანა.

— ი ფოთი, — სიცილით გვითხრა და ხელი გაიშეირა ჩემნან ასი ნაბი-ჯით დაშორებულ ხის სახლებისაკენ, რომელთა ფანჯრებიდან მკრთალი სი-ნათლე იშვერდა გამჭვირვალე ოქროვან ხელებს და ქარში მოლივლივე გრეითრუტის და მანდარინის მწიფე ნაყოფებს ეალერსებოდა:



თოსეა მუდლიშვილი

ოიანა-ბურანა

მეორე მოძველება

ჩავარდნილი კალა. აქეთ-იქით ფერდობებია. ფერდობებზე ზის ფეხმორთხმული. ზევით ფეხზე დგანან. ერთ მხარეს ბატონიშვილია თავისი ქილიფთარით, მეორე მხარეს ჩეგაზი. ზაქარია და ოთარი ცალკე არიან. ერთ მხარეს წინა რიგში სხედან დედა-კაცი, ქალები და ბავშვები, მეორე მხარეს კაცები. ჭიდაობაა. ბეგო მაწუნწარას-ძე და შავი კაცი ჭიდაობენ. იქვე ზის მედოლე ლეკი. საჭიდაოს მღერიან გლეხები. თვალსაჩინო აღგილზე დგას გაკეთებული ბერიკა. ნაბადი აქვს წამოსხმული. ამ მოქმედებაში ბერიკები ნილაში არიან.

ხალხი — გააშველეთ!

რევაზ — არ გააშველოთ! ჩემი ფალავანი სჯობნის.

გლეხი — თქვენი კი არა, ჩვენი სჯობნის: ორი ფალავანი გაგილახათ ჰატონებს ბეგომ, შავ ფალავანსაც გაგილახავთ.

ხალხი — გააშველეთ!

რევაზ — არ გააშველოთ!

გლეხი — ჩვენ გაზაფხული ვართ, გლეხები, თქვენ — ზამთარი, ბატონებო! გაზაფხული გაიმარჯვებეს!

ხალხი — გააშველეთ!

გააშველებენ. მედოლე ლეკი ტუშს უკრავს. ბეგო და შავი ფალავანი ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებიან. ბეგო ჩოხას ჩიაცვაშს და ხანჯალს შემოირტყაშს. შემდეგ შას რკინას მიუტანენ და მოპლუნავს.

ხალხი — ბეგოს გაუმარჯოს! (შემოდის ქალურად ჩაცმული ბერიკა. ბეგო გამოეკიდება).

ბეგო — გოგოვ, მოიცა ცოტა ხანს.

ბერიკა — რა გინდა.

ბეგო — მინდა წამომყვე ცოლადა.

ბერიკა — არ მინდა,

ბეგო — დედინაცვალს მოგაშორებ.

ბერიკა — არ მინდა!

ბეგო — შეგინახავ ვარდისქონებრ.

ბერიკა — არ მინდა ბიჭო, არ მინდა!

ბეგო — გოგოვ, რად მიღობავ გზასა?

ბერიკა — რა ვიცი?

ბეგო — რად არ ნდომობ ჩემებრ ქმარსა?

ბერიკა — რა ვიცი?

ბეგო — რისთვის მისხამ ცეცხლზე წყალსა?

ბერიკა — რა ვიცი, ბიჭო, რა ვიცი!

ბეგო — იქნებ ჩემ გარდა სხვა გინდა?

ბერიკა — არ მინდა!

ბეგო — იქნებ აზნაური გინდა?

ბერიკა — არ მინდა!

ბეგო — იქნებ მეფის შვილი გინდა?

ბერიკა — არ მინდა!

ბეგო — მას უყვარხარ; შენ არ გინდა?

ბერიკა — არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

ბეგო — მაშ მომხევი ბროლის ყელსა.

ბერიკა — არ მინდა.

ბეგო — ვაჰე დედიჩემის ღმერთსა! (იძრობს ხანჯალს).

ბერიკა — ვაიმე დედავ, რადა ბიჭო?

ბეგო — საქმეს ვიზამ საზარელსა!

ბერიკა — რადა ბიჭო?

ბეგო — ხანჯლით გამოვიჭრი ყელსა!

ბერიკა — რადა ბიჭო?

ბეგო — ჩემს საფლავზე მოდი ხოლმე!

ბერიკა — ვაიმე დედავ, რადა ბიჭო?

ბეგო — შენთვის მკვდარი მომიგონე!

(ბეგომ ვითომ, თავი უნდა მოიკლას, ხანჯალს მიიღერებს, ჭალი დაიჭერს).

ბერიკა — ჩემო კარგო ნეფიონე.

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — ეგ მე ახლა გავიგონე.

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — მე მანანა არ გეგონო.

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — უმანქო ვარ სანთოსავით.

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — და თუ ფეშანგი არა ხარ...

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — შენთვის მინდა ჩემი თავი.

ბეგო — გენაცვალე!

გოგოვ, სიკვდილს დამისენი,

შენ ჩემი ხარ და მე შენი!

(გადაეხვევა ბეგო ბერიკას).

კიკო — როყოყო, დაირუხერუხე, დაირუხერუხე, ვითომ ჭექა-ჭუხილია. ვერა ჭედავ ცა და ქვეყანა ქორწილდებან?

როყოყო — რუხ-რუხ-რუხ...

კიკო — შენ კიდევ, დოყო, წვიმა მოიყვა, წვიმა:

(დოყო კოკით წყალს შემოიტანს).

როყოყო — რუხ-რუხ-რუხ...

(ხვევნის დროს ბერიკას მანდილი მოეხდება და ბეგოს წინ ბერიკაცი აცხადდება).

ბეგო — დახხ ჩემს ბედას! ერთი ჭალი ძლიერ დავიყოლიე ამ გაზაფხულზე
სიყვარულში და ისიც ბერიკა არ გამოდგა!

რიკო — ეგ იმიტომა, რომა როყოყომ კარგად ვერ დაირუხრუხა. მაგდენ ქუხილს ჩვენი ვირიც გამოუშვებდა.

როყოყო — წადით იქითა! თვითონ არა ვარგიხარო და მე მაბრალებთ? განით! უნდა რქა გავიქნიო და ზედ წამოცმული კვერია ძირს გადავაგდო, ვნახორ საითა მხრიდან დაეცემა მიწაზე (გაიქნევს და კვერიას ჩამოიგდებინებს ოქიდან) სწორედ დაეცა, სწორედ. კარგი მოსავალი გვექნება.

კიკო — წვიმა მოიყვა, ღოყოჲ: დაალბე დედმიწა. (ღოყო დასხამს როყოყოს წყალს).

როყოყო — რას სჩადით კაცო, მე რომელი დედამიწა მნახეთ. აგე რა ლამაზი დედა დგას. (ლამაზ გოგოს) მოლი, გოგოვ, დაგალბო. კაი მოსავალს მოიყვან.

(თამაშობს).

ნიხო — წადი შე თავქარიანო, შენა, ჭეუა სულ ფეხებში წაგსვლია. (ხელსა ჰქრაეს).

როყოყო — ვაიმე დედავ!

(როყოყო ვითომ შეშინებული მოპკურცხლავს და ისევ თავის ალაგას დადგება. უივილ-ხევილით და ყიფინით ჩამოიჩინენ ბერიკები ფერდობებს ყოველის მხრიდან. უწესრიგოდ აირევიან თეატროზე და შემდეგ ყველა თავის ალაგს დაიკერს. ბოლოს შემოვა ვირი).

ნიხო — აი რა ჭევიანი ვირი გვყავს: თვითონ დააჭვს თავის ფეხით ჩვენი ბარგი. ჰაცე ვირო.

ვირი — ჰა, როგორ მიეაპუნებ, მართლა ვირი ხომ არა გგონივარ?

ნიხო — მაშ-არა-და, შენ ნუ მომიკვდები, ბატონიშვილი მიგდიხარ. ჰაცე! (გაპყავს ვირი. ბოყო და როყოყო შეხვდებიან ერთმანეთს).

ბოყო — გამარჯვობა როყოყო.

როყოყო — გავიმარჯვოს ბოყო.

ბოყო — სად მიხვალ, ტყეში?

როყოყო — მა რა, ღრეუში?

ბოყო — რა უნდა მოიტანო, ფიჩი?

როყოყო — მა რა, ჭინჭარი?

ბოყო — რა უნდა ააშენო, სახლი?

როყოყო — მა რა, სალორე?

ბოყო — შიგ უნდა დაპლევ?

როყოყო — მა რა, ხის კენწეროზე?

ბოყო — შენი ცოლი ორსულადა ყოფილა.

როყოყო — მა მუდამ ხომ ბერწი არ იქნებოდა.

ბოყო — ორი ვაჟიშვილი ჰყოლია.

როყოყო — მა ერთი რად უნდოდა.

ბოყო — ერთი მოპკვდომია.

როყოყო — არ იცი, დედა ორივეს ვერ გაზრდიდა?

ბოყო — მეორეც მოპკვდომია.

როყოყო — არ იცი, ძმა ძმაზე ინაღვლებდა?

ბოყო — შენი ნიშა ხარი დაუქლავთ.

როყოყო — დედას ორი ვაჟიშვილი მოუკვდეს და ნიშა ხარი არ დაპკლან?!?

ბოყო — შენი წილი კერძი შეუნახიათ.

როყოყო — ჩემი ნიშა ხარი დაპკლან და ჩემი წილი კერძი არ შემინახონ?!.

ბოყო — შენი წილი კერძი კატას შეუჭამია.

როყოყო — მა რა, კატას ჭამა არ უნდოდა?

ბოყო — კატას ახრჩობენ.

როყოყო — მა რა კეთილს დააყრიდნენ.

ბოყო — განა მართლა ახრჩობენ.

როყოყო — მა ი შენი ერთი კერძის გულისათვის დაახრჩობდნენ?.. გამიშვი ერთი კაცო, რას მაყბედებ, არავინ მიმისწროს.

ბოყო — სადღა მიეჩარები?

როყოყო — უანგიანი ლურსმანი დამრჩა სამჭედურში და შეშინიან არავინ წაილოს.

ბოყო — ჰა შე კრიფანგო, შენა. უანგიანი ლურსმისთვის იმ სიშორედ წასვლა ჰლირს? (ყურში უჩურჩულებს) არ გეყურება? ის საქმე დაიწყე და გამდიდრდებო.

როყოყო — რა საქმე?

ბოყო — დაიწყე ენატანიობა.

როყოყო — რას ამბობ კაცო, გამიშვი ერთი!

ბოყო — დაიცა შე სულელო, გითხრა. (დაიჭერს) ყოველდღე ბატონთან იქიფებ, ცოლს კრიგა ჩააცმევ, ფულებში იკოჭავებ და რა? გასაკეთებელი არაფერი გექნება.

როყოყო — მაშ მუქთად მომცემენ ფულსა?

ბოყო — ცოტა საქმე გექნება: დააბეზღებ ძმას, დას, დედას, მამას, შინაურსა და გარეულს... ენატანიობაზე აღვილი რა არის?!

როყოყო — რას ამბობ კაცო?! ბატონი ზომ არა ვარ, მაგის მეტი საქმე არა შემნდეს?!. გამიშვი ერთი, ჩემი უანგიანი ლურსმანი მირჩევნია მაგნაირ ფულსა (ხალხიდან გადმოხტება ხიხო. ხელში გუთნისმაგვარი კავი უჭირავს).

ნიხო — რად მიხდენთ კაცო ნათესებს, ჰა?

ბოყო — ნათესებს? რა ნათესებს?

ნიხო — როგორ თუ რა ნათესებს? აი აქა ჰთესია, აი!

ბოყო — რა ჰთესია?

ნიხო — რა ჰთესია და ზოგიერთი ჩენი მოურავის სისაძალე, როცა ამოვა, ახალ ხილად უნდა მივართვა ბატონიშვილსა. აიფხიკენით აქედან. უნდა მოვრწყა (მოუქნევს კავსა და გარეკს. მერმე კავს ბებერ სალომესთან მოუკიდებს).

პირ. დედაკაცი — უი დამიღეს თვალი, ბებერ სალომედან მიჰყავ კვალი.

ნიხო — აი, აი, აქედან უნდა წამოვიყვანო წყალი მოსარწყავად.

როყოყო — რას სჩადი კაცო! ეგ წყალი სულ ამოგიხმობს ნათესებს — მღაშეა.

ნიხო — მართლა? მაშ აქედან წამოვიყვან.

მეორე დედაკაცი — უი ქა, ლამაზ ქეთოსთან მოუკიდა გუთანი.

ნიხო — აქედან კიდევ სულ რძე წამოვა.

(რიკო ბერიკა შემოიტანს სტრიქონს ქეჩეჩს და ჩაურჭოს მოწაში. ნიხო უცმად დაინახავს ქეჩეჩს).

ჰე-ჰეი-ბა-ჰა-ჰა! ჯერ არ მომირწყავს, ამოდენა გაიზარდა და რომ მოვრწყავ, მაშინ რაღა იქნება!.. უნდა გავთოხნო. (მღერის და ჰთოხნის).

გთოხნი და გთოხნი სიმინდო,

ტაროს დასხამ მსხვილსაო,

ქეჩეჩით ხარებს დამიძლობ,

მჭადით კი დედამთილსაო.

(გამოჩენდება ტახი და დაკაჭუნება).

კბილებს ტყუილად ილესავ,
ტყვიას შეგაჭმევ რბილსაო...

ი შეჩენებულმა ჩემმა დედაკაცმა რად დამიგვიანა საღილი? (კიკო შემორბენინებს ჯამით).

კიკო — აპა, აი. შენმა დედაკაცმა შილაფლავი გაგიკეთა.

ხიხო — რას ამბობ კაცო, ჯერ ხომ არ მოემკვდარეარ! ან თითონ რატო არ ჩემიოტანა:

კიკო — თითონ?.. თითონ გაგიუდა.

ხიხო — რათა კაცო?

კიკო — იმიტომ, რომა, შეთქმული ცხვარი დაუკლავთ ღმერთის დაუკითხავად...

ხიხო — (სასაცილოდ დაიღრიჯება და თვითონაც გაგიუდება)

კიკო — ერიპაა, ესეც გაგიუდა. ამითანა ქაი საჭმელი მოგიტანე და რა გაგიუძნს შე პირძალლო... ესენი თუ გაგიუდნენ, მე ხომ ჭკვიანი ვარ. მოდი და მე შევჭამ ამ მშიერ კუჭზე (სჭამს).

არა, მეც რომ გავგიუდე, ჭკვიანი ვინდა იყოს! მოიცა ღმერთო, ჯერ შევჭამ და მერე გამაგიუე... აპა, შევჭამე, მაშ მე, დავიჯერო, ეხლა გიუი ვარ? იუ, რა გამოვძეხ! თქვენ ეგრე გაგიუდით ხოლმე, როცა კერძს მოგიტანენ! დაახრჩოს ხარი თივამა... არა, ცოტა კი რალაცა აწეულივითა ვარ თავში. ხალხო! აბა შემომხედეთ, გიუი ხომ არა ვარ?.. არა, რაც უნდა გიუი ვიყო, თქვენზე ჭკვიანი მაინც ვიქნები. (ხიხოს) ვაი შე ფუთხუმო შენა! ასეთი კაი საჭმელი მაჭა-მონ და გავგიუდე? რას მიქვიან ღმერთი, თუ მშიან? იმან ჩემზე კაი ჭამა იცის? (ხიხო ზის და იხილება).

ხიხო — შუალამე რომ წამოვა,
დამეცვევიან ტილები,
საწყალი ხიხო ბერიკა
ვზივარ და სულ ვიხილები,
თითო აგეთი ჩამოდის,
როგორც ბეგლარს შვილები.

(შემოვარდება სიმინდში ტახი)

კიკო — ადე შე ჯიშგასაწყვეტო, რას იხილები. შენი სიმინდი ტახს წაუხ-დენია.

ხიხო — ტახს წაუხდენია? მომეცით აქ ჩემი თოფი (წამოხტება და აიღებს ხელში მზესუჭურიტას ძირს) აბა შემომხედე, მგონი ჭკვაზე ვარ, არა?

კიკო — შენ რომ ჭკვაზე იყო, იმისთანა გემრიელ შილაფლავს მე. შემაჭმელი? (ტახი დაკაპუნებს).

ხიხო — დახე ამ სატიალოს, როგორ იწევს! სიმინდში: მაგან არ იცის, რომ ეს თოფი გატენილი მაქსეს.

კიკო — თოფი, შენ ნუ მომიკვდები, ალი-ყულიხანის ნაქონი იქნება.

ხიხო — (სინჯავს მზესუჭურიტას ძირს) თხუთმეტი თავი მზესუჭურიტა ება ამ ოხერსა, იგრე გავარდება, როგორც მეხი.

კიკო — ფრთხილად! რატო ისე წარა-მარა ატრიალებ, არ გაგივარდეს. შევ-ცალო, თორემ ცოტა შერეკილია და მე არ დამცეს:

(სიცილით გადის, ტახი კბილების გაპუნით უახლოვდება სიმინდს. ხიხო დაიქნებს მზის-უჭრიტას ძირს, რომელიც ნაცრით არის გატენილი და გამტევერებს ტახი დაეცემა).

ხიხო — მოვკალ! იპ, რა ტახი გაჭშხლართე? რა მწვადებს დავატრიალებ!

მოდი და ნურავის გავაგებინებ: გავათჩევ და მარტო ჩემი ოჯახისთვის მოვიხმარ. (დინგიდან გასწევს და ტყავი წასძრება კაცს) უჰ, რა მიქნა ეს! ლორის ტყავში შემძერალი მეზობელი მომიკლავს... მიშველეთ ძმები, დავიღუპე! (შემოცვივიან ბერიკები) ეს რა მომივიდა კაცო, ეს რა მომივიდა!

კიკო — რაღა რა მოგივიდა: კიდევ კარგი, დროზე გაგებალე, თორემ მე მამარტყამდი მა თოფს. სხვა გზა არ არის, უნდა ეიტიროთ.

კუბოს მაგიგრად გეჯას შემოიტანენ, იმაში ჩასვენებენ. ოთხი ბერიკა დაჯდება კუბოსთან და ტირიან. ტირილს აჯავრებენ იქვე მყოფ სოფლელ მატირალ დედაკაცებს.

სიხო — შვილო, შვილო, შვილო. რა კარგი ითრლა იცოდი შვილოო...

დედაკაცი ხალხიდან — (თავის ამჭრებს) დამიდგეს თვალი! ჩვენ გვაჯავრებენ ქა, სოფლის მოტირალ დედაკაცებს.

კიკო — შვილო, შვილო, შვილო! ქათმების პარვა გიყვარდა და მეზობლებს აღარა შეარჩინე რა... (გაიპარება ერთი ახალგაზრდა ხალხიდან).

პირველი დედაკაცი — უი, ქა, მე მაჯავრებენ ეს დასახრაკავები.

სიხო — შვილო, შვილო, შვილო! პოსტოლინანთ ქვრივს რომ გადაპეპაროდი, გამოგდგომოდნენ და ძეძვები შინ მოიტანე... (გაიპარება ერთი შუახნის კაცი ხალხიდან)

მეორე დედაკაცი — ვაი, მეხი კი დაგაყარებ მაგ თავში! მეცა მწედნენ.

რიკო — შვილო, შვილო, შვილო... ლობიოთი რომ გაძლიერდი, იმ ღამეს. სახლში ვეღარავინა ვრჩებოდოთ... (გაიპარება ხალხიდან ხანში შესული კაცი).

მესამე დედაკაცი — დაიწვიოთ და დაიხრაკეთ აჲა! მეც გაღმომკრეს. (მოისმის შორიდან ოიანა-ბუიანას ხმა)

სმა — წელიილი სავაალწოოო... (ბერიკები უცბად შესწყვეტენ ტირილს).

ბერიკები — მოდის... (წამოცვივიან ზეზე. მკვდარიც წამოხტება, გეჯას ზურგზე მოიგდებს და გარბიან)

ხალხი — მოდის. ოიანა-ბუიანა მოდის.

(ხალხი ხან აქეთ იყურება, ხან იქით, არ იციან საიდან შემოვა).

სმა მასხარისა — წელიილი სავაალწოოო. გვილისტები, ქვლივისტები, ყაითნები, ალშიები, წვლილ-წვლილები, მსხვილ-მსხვილები — წვლიილი სავაალწოოო... (გატეხილი ქვევრის პირიდან გამოძრება).

ხალხი — გაუმარჯოს!

რევაზი — ოიანა-ბუიანა!

მასხარა — მაგ სახელს ნუ ამბობ, ფათელაკიანია.

რევაზი — მე სახელს არ ვამბობ: მე ვამბობ თაორულ სიტყვას: იქით-აქეთ.

მასხარა — მალთლა? იქით! აქეთ! (იქით რევაზზე მიიშვერს თითს, აქეთ — თავის თავზე).

როყოყო — ძმობილო, რა არის (აჯავრებს) „წელიილი სავაალწოოო“.. წერილი სავაჭრო-თქო. რა გაქეს მაგ ბოხჩაში?

მასხარა — ამ ბოხჩაში? ამ ბოხჩაში ლმელთი გწყალობდეს, ლო ბლომად მიწყვია ჩევნი ბატონებისაგან მოტყუებული ქვლივ-ობლებისა და პილველ ღამეს გამოცვეთილი პატალძლების წყევლა-კლულვნი!

როყოყო — მერე, ვინ იყიდის მაგნაირ საქონელს?

მასხარა — თუ ალავნ იყიდის და ლმელთი გწყალობდეს: ისეთ ლილებად შეეუბნიო ჩევნს ბატონებისა ღამის საცვალზე, ლო ვეღალას დღლოს გაიხსნან.

როყოყო — კარგია! მერმე? შენ ებრაელი ვაჭარი ხარ, ლენგერი?

მასხარა — არა!

(მოიხდის ლენგვარის ქუდის და შორს გადასტყორუნის, თან გააყოლებს ადლსა და ზემო ტანისაცმელს. გაპტათოავს ბოხჩას, საიდანაც გადმიგარდება მისი ქუდი და ნაბადი. დაიხურავს ქუდს, წმინისხაში ნაბადს და)

შე გახლავარ ოიანა-ბუიანა. მაგრამ მინდოლა კია, ვაჭარი ვყოფილიყავი.
როყოყო — რადა?

მასხარა — ტყუილები ბევრი მეცოდინებოდა, დამპალ ფართალს საღ საქონელზე ძვირად გავყიდდი და ბედნიერად ვიცხოვრებდი ბატონიშვილის გვერდით. (იქ მყოფი ვაჭრები შეიშმუშნებიან).

როყოყო — სანამ მეტყოდი, გამოცნობილი მქონდა ეგ სიტყვები.

მასხარა — კარგი გამოცნობა გცოდნია. (გადმოფრინდება ხალხიდან მანანა).

მანანა — აბა, თუ კარგი გამოცნობა იცი, ერთ გამოცანას მოგახსენებ.

ხალხი — გააგდეთ, ოორებ ცუდს იტყვის რასმე.

შანანა — ერთი გამოცანა, მხოლოდ ერთი! (ამბობს)

„ორსა ბროლსა და ბურთ შუა

ზის იაგუნდის ლალია“...

ხალხი — გააგდეთ! გააგდეთ! (გადმოხტება ფეშანგი).

ფეშანგი — მართალია, ბოლომდე არ ათქმევინეთ მანანას, მაგრამ მე აქვიდანვე გამოვიცნობ...

გასხარა — ხალხნო! თავად ფეშანგს მაშინაც სცოდნია გამოცანის გამოცნობა, როცა ბოლომდეც კი არ არის იგი ნათქვამი. მოდით და მე ერთ პატარა გამოცანას ვიტყვი თავიდან ბოლომდე. ის გამოიცნოს ფეშანგმა.

ხალხი — თქვი, თქვი.

მასხარა — ლამაზი ქალის გულ-მკერდი
ბიჭისთვის საფრთხეს ამზადებს.

ის რა კაცია ვაჟკაცი,
ვერ ჰყნოსდეს იას და ვარდებს,
ცოლი გაეჭცეს ლამაზი,
მეძავ ქალებში ჩავარდეს.

ხმები — ფეშანგს მოარტყა!

რევაზი — შაბაშ ოიანა-ბუიანა!

მასხარა — ფეშანგი, გამოიცანი?

ფეშანგი — მაგას არ შეგარჩენ მასხარავ! შე ბენიავ! გამიშვით! (იწევს)

ბერიკები — (იჭერენ) ქურდს ქუდი ეწვის; ჰარიქათ წყალი!

მასხარა — მე ხომ არ მითქვამს, ფეშანგი მეთქი. თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რაღ გიყარს? ხა-ხა-ხა-ხა-ხა.

ფეშანგი — გამიშვით! მე ვუჩვენებ მავ ბეშტიას!

რევაზი — ფეშანგ, როგორა ჰერდავ ჩემი საყვარელი ბერიკის შეურაცყობას?

ფეშანგი — გამიშვით!

ხიხო — ჭკვიანად თავადო, ოორებ ბატონი გაგიჯვავრდება.

გასხარა — დამშვიდდი თავადო! თუ ცოტას მოითმენ, შენს გასამხაროსაც ვიტყვი — ოიანა-ბუიანა! (ფეშანგი გაპყავთ).

ბატონიშვილი — მასხარავ!

მასხარა — აქ გახლავარ ბატონიშვილო.

ბატონიშვილი — ა, ისა თქვი... ის... დამავიწყდა... აის...

მასხარა — დიახ, ბატონიშვილო, სწორედ ის უნდა მოგახსენო...

ბატონიშვი. — რაო?

მასხარა — (გაიჭიმება სათქმელად. ყველანი მოუთმენლად ელიან, რას იტყვისო. თავს გაიქნევს) ვაჲ, სიბერევ! ველარ მომიგონია. (მოიკავება წელში. შემდეგ ისევ უცბად გასწორდება სათქმელად) მოვიგონე! „ლექსი ზანზართა მეფის შვილზე“.

ბატონიშვი. — ასეთი რამ ჯერ არ გამიგრა.

მასხარა — მაშ გაიგე:

იყო წელმწიფე ზანზარი,
მას შვილი ჰყავდა ქებული,
დღედაღამ ძილით ტყვერებოდა,
დათვივით გასუქებული.

ბატონიშვი. — (შეშფოთებული ქილიფთარს) ქილიფთარ, ჩემზე ხომ არ ამბობს?

ბატონიშვილი — არა, ბატონიშვილო, ზანზართა მეფის შვილზე მოგახსენებს.
ბატონიშვილი — პოო?..

მასხარა — ხოლო თუ გაიღვიძებდა,
პირს დაალებდა მთქნარებით:
მის ხახა გეგონებოდათ
ბნელ ჯოჯონხეთის კარები.

ბატონიშვილი — ეგ ნალდად მე არა ვარ.

მასხარა — შემდეგ პირისა დაბანას
ის ანდომებდა ხანს გრძელსა:
ტრა კვერცხის გულით იბანდა
ფუნთუშა პირისა და ხელსა.

ბატონიშვი. — ვინა ქილიფთარ? (ხელებზე იყურება) ჩემზე ხომ არ ამბობს?

ქილიფთარი — არა, ბატონიშვილო, შენ ათი კვერცხის გულით იცი ხოლმე პირის ბანა.

მასხარა — შემდეგ საჭმელად სუფრის თავს
ლორივით წამოჯდებოდა:
სოჭვლეფდა და ჰსკლეპდა უწყვეტლივ,
მაგრამა როდი ძლებოდა.

ბატონიშვი. — ქილიფთარ, ჩემზე ამბობს.

ტახი — (წინ წადგება) ჩემზე მოგახსენებს.

მასხარა — შემდეგ, ვით ვირი ნაცარში,
ღოშაკზე გაგორდებოდა
და მისი მუცლის ქუხილი
კიდიდან კიდეს სწერდებოდა.

ბატონიშვი. — (შეწუხებული) ქილიფთარ!

ქილიფთარი — შენ არა, ბატონიშვილო...

გირი — (წარსდგება) ჩემზე ამბობს, ჩემზე, ნაცარში რომ ვიცი ხოლმე გაგორება.

მასხარა — მაღალი ღმერთის მმოსავი,
იყო მორწმუნე მეტადა:
მას სჭირდა ქრისტიანობა
ტვინის უწამლო რეტადა.

ბატონიშვილი — ეს კარგია, მე მგვანებია, მაგრამ რეტად რაღადა სჭირდა.
ჭრისტიანობა ქილიფთარ?

ჭილიფთარ — ბოლო იმას ეკუთვნის, ბატონიშვილო, ზანზართა მეფის შეიღს.

მასხარა — ხოლო, როს მოგვადგებოდა
ურდო ხალხების მყლაპავთა,
ის ყურში მახათს ირჭობდა,
ან კიდევ ბუზებს ჰყლაპავდა.

სატონიშვილი — ეგ კი ვერაფერი შეიღო ყოფილა. მე არა მგავს, არა, ქილიფთარ?

ჭილიფთარი — ? (ხალხი იცინის. დიდებულები აღშფოთებული არიან)

ჩურჩული — სულ ბატონიშვილზე ლაპარაკობს. (შემოვარდება ხიხო).

ხიხო — ბელნიერება მეგობრებო, ბელნიერება!

მასხარა — ბელნიერება?

ხიხო — დიახ, შენს ნათლულს, მშევნიერ ლელას ჯვარი დაუწერია.

მასხარა — ვისზე, ბიჭო, ვინმე ბელოვლათზე ხომ არა?

ხიხო — თანდილას ბიჭზე.

მასხარა — ჰომ, თანდილას ბიჭი მარჯვე ბიჭია. ყოჩაღ ლელა!

ხიხო — აგე, მოდიან კიდეც მაყრიონით. (შემოდიან).

მასხარა — (მიეგებება) შვილებო! შვილებო! იბელნიერეთ შვილებო! მაგრამ შვილებო! (სიჩუმე) სიყვარულით გაჰყევით ერთმანეთს?

შეფე-დედოფალი — მაშა!

მასხარა — მაშ ეგ სიყვარული ცხოვრებაშიც უნდა გაამართლოთ, თორემ თუ პირველი ლამის შემდეგ ერთმანეთს ჭამა დაუწეუთ, სიყვარულით შექრულ ცოლქმრიბას ფასი დაეკარგება და მაჭანკლები უფრო ძვირად დააფასებენ თავიანთ საძაგელ შრომას.

შეფე-დედოფალი — მართალია!

მასხარა — ისიც მართალია, რომ ცოლის შერთვა კუჭის გადმობრუნება არ არის — მოვალეობაა!

შეფე-დედოფალი — მართალია!

მასხარა — დიახ, მართალია სიჭევ. შენ კისრად გაძევს მოვალეობა. აშ მოვალეობას შვილებით აესებს შენი მამაკაცობა...

სიძე — (დარცხვენით) მართალია!..

მასხარა — მართალია და ის შვილები უნდა გაზარდოთ. მემრე ის შვილები მარტო თქვენ არ გეკუთვნით. ისინი ჩვენიც არის — ხალხისა.

შეფე-დედოფალი — მართალია!

მასხარა — რაკი ეგ მართალია, ისიც მართალი იქნება, რომ უთქვამთ: ქალსა ძალლიც არ შეჰყეფს. თუ აგრეა, ძალლზე უკეთესი უნდა გავიზე სიძევ, და ცოლს მოექცე თავაზით, დათმობით, სიყვარულით. ოღონდ თავზე არ უნდა დაისევა.

შეფე — მართალია!

მასხარა — ის უფრო მართალია, რომ არც ცოლმა უნდა დაისვას ქმარი თავზე. ქალს უფრო დიდი და ძნელი საქმე დააკისრა ბუნებამ. ქალი ხშირად მამაკაციც არის, დედაკაციც. ჩვენ კი მხოლოდ მამაკაცები ვართ. ქალი გვიზრდის მომავალ თაობას... მეუღლეები ხართ, შვილებო, და თანაბრად უნდა გაუწიოთ ერთმანეთს უღელი, მაგრამ კამეჩებათ არ უნდა იქცეთ.

შეფე-დედოფალი — მართალია!

მასხარა — სიძევ, მზითვისათვის არ დაიწყო გაჭრობა:

„წაიყვა ტურთა, ლამაზი,
გაზრდილი ნებიარობა,
რაღ გინდა ქალის მზითევი,
შინ გქონდეს ბეღნიარობაო“.

უთქვამს ხალხს. შემზე და ჩემზეც ჰქვიანია ჩალხი. მას უნდა დავუჯეროთ.
მეფე-დედოფალი — გვჯერა!

მასხარა — მაშ ერთიც დამიჯერეთ: ქმარს — სხვა ქალთან სიამოვნებას და
ცოლს — სხვა მამაკაცთან ტუნტულს თქვენი შვილები და თქვენი ოჯახი
გერჩივნოთ. აქ არის თქვენი ბეღნიერება და ქვეყნის სიკეთე. სხვების დევნა
და გარეუნილება უსაქმურებსა და ბატონებს შეპფერის.

მეფე-დედოფალი — მართალია!

მასხარა — მართალი რომ არ იყოს, ამდენს არ ვილაპარაკებდი. კარგი
ქმრის დაღუპვა შეუძლიან ცუდ ცოლს. ტყუილი ნათქვამი კი არ არის:

ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის მოჰკლავს, ის დააბერებს,
ის მისცემს წყალსა მდინარსა-ო.

მაგრამ ცუდ ქმარსაც შეუძლიან კარგი ცოლის დაღუპვა. ამაზე გამოუთ-
ქვამთ ქალებს ლექსი:

დედავ, რად მიმე ვაჟკაცსა
ლოთსა, ცრუსა და უგნურსა,
ოჯახი დამიწიოკა,
მე დავემგვანე მუგზურსაო.

მაგრამ ერთი რამე უნდა დაისწავლოთ: კარგ ცოლს შეუძლიან ცუდი ქმა-
რი გააქარგოს. კარგ ქმარსაც შეუძლიან ცუდი ცოლი მოარჯულოს. მაგრამ
თუ ორივენი ცუდები ხართ, შვილებო, მე ველარაფერს გიშველით.

მეფე-დედოფალი — კარგია, კარგია!

მასხარა — უფრო კარგი იქნება, თუ თქვენს სიკარგეს შემდეგშიაც გავიგებ-
იბეღნიერეთ შეილებო! (ხიხო მივა ტიბეკირასთან).

ხიხო — ბატონო, ეგ ყმაწვილი ფეშანგის საყმოდანა ბრძანდება და აბა ერ-
თი ჰერთებ, ჯვარი რომ დაუწერია, ფეშანგის საჩექმე მიტანილი აქვს?

ტიბურია — კარგია. გულს გავუხეთქვა. (მივა სიძე-პატარძალთან) სიძე,
ჯვარი რომ დაგიწერია, ფეშანგის საჩექმე მიტანილი გაქვს?

სიძე — დიახ! მივაცეცხლე!

ტიბურია — მაშ პირველი ლამეც იმას უნდა მიაცეცხლოს მაგ შენმა პატარ-
ძალმა!

სიძე — იქით მოშორდი, თორემ მე ვიცი მიცეცხლება ვისაც უნდა. ვინ
ოხერი ხარ! რა გვასქმება! მოურავი ხარ ფეშანგისა?

ტიბურია — დიახ, მოურავი ვარ!

სიძე — ძალიან დიდი გინმე კი ჰგდებულხარ, შენ ნუ მომიკვდები! ჯერ
ფეშანგი რა არის, იმისი მოურავი რა უნდა იყოს?!

პატარძალი — მეხი კი დაგაყარეთ ორივეს.

ტიბურია — ფუქ, რა ტყუილად გაველანძლეინე!

ხიხო — არ შეარჩინო ბატონო!

ტიბურია — ეის უბედავ შენ მაგასა?

სიძე — ვისა და შენისთანა ვირსა!

ტიბურია — შენ ჰერი! იცი რას გიზამ?

სიძე — ხელიკის ჯოგი არ დამიფრთხო.

ტიბუირა — ხელიკის ჯოგსაც დაგიფრთხობ და ამ პატარძალსაც წაგარომევ! (ხელს წავლებს).

სიძე — წერას ნუ აუტანიხარ ბატონო.

ტიბუირა — წამოდი!

სიძე — დამეხსენ ბატონო, თორემ მწვადივით აგაგებ ამ ხანჯალზე.

ტიბუირა — ვისა? ანაურისა?

სიძე — გამშორდი აქედან!

ტიბუირა მაგის კი არ შეგარჩენ (მიიწევენ ერთმანეთზე, შემოდის აბდულ-მირზა).

აბდულ-მირზა — სმენა და გაგონება. მე ვარ აბდულ-მირზა, შაპის ვეზირი. ხანმა გამომგზავნა, შარშანდელი ხარკიო.

ყველანი — ხარკიო? (დალონდებიან დიდებულები)

აბ.-მირზა — მაგრამ ესეც დამაბარა ჭამა, თუ ხარკის გადახდა ემძიმათ, პატარძალი გამომიგზავნონ. (დიდებულებს გაეხარდებათ).

მასხარა — რომელს ინებებთ ბატონებო?

ბატონიშვილი — გაუგზავნეთ პატარძალი, ხარკი ჩვენ რად უნდა გადავიხადოთ!

სიძე — (გამწარებული) ოჰ, თქვენი! ყველაფერს რომ ჩვენი კისრიდან იღებთ! როდემდის უნდა ვზიდოთ ეს დამცირება?.. ბარემ გათავდეს ყველაფერი (იძრობს ხანჯალს და გაქანდება ბატონებისაკენ).

მასხარა — (წინ გადაელობება) მეტი არ მოგივიდეს! მტერ-მოყვრობასა ვთამაშობთ მხოლოდ. (შეშფოთებულ ბატონებს) რად შეგეშინდათ ბატონებო, თქვენს გასართობადა ესუმრობთ. ხა-ხა-ხა-ხა-ხა. (იცინის).

ბერიკები — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

(იცინიან დოდხანს. პატარძალი მიჰყავს აბდულ-მირზას და სასიძო ჭალონებული გადის შიშველი ხანჯლით).

რევაზ — რას იცინით?

მასხარა — არ მოგწონთ? მაშ ვიტირებთ. (ასტეხნ საშინელ ტირილს ყველანი).

რევაზ — რა გატირებთ?

მასხარა — შაპინშაპი მომკვდარა.

რევაზ — მერე ეგ არის სატირელი?

მასხარა — სატირელი ეგ კი არ არის, სატირელი ის არის, რომ იქაური შაპინშაპი მომკვდარა და აქაურები კი ისევა ცოცხლობენ.

(ისევ მორთავენ ტირილს)

რევაზ — გაჩქმდით!

მასხარა — აპა, გაეჩუმდით. რას მიბრძანებ დიდო ბატონო?

რევაზი — პირობა დაგავიწყდა?

მასხარა — არა, პირობამდე ჯერ არ მივსულვარ და ეხლა მოგახსენებ (დამშვიდებიან).

რევაზ — თქვი მხიარული და სასიმოვნო!

ბატონიშვილი — დიახ, მხიარული და სასიამოვნო.

მასხარა — როგორ ინებებთ: არაკებით თუ გამოცანებით?

დიდებულები — როგორცა სჯობდეს.

ხალხი — გამოცანებით.

მასხარა — გამოცანებით? ძალიან კარგი. გამოცანებით.

გამოცანას მოვახსენებთ,
ბევრი არაფერია:
გლეხის შრომით იკვებება,
ისევ გლეხის მტერია —
ქოდალო რომ აღარ ეყო,
ქიზიყს გადმოერია,—
საქართველოს შესაჭმელად
ყელიც მოულერია...

რევაზ — ფრთხილად მასხარავ!.. ეგ დაგავალე?
შასხარა — უკაცრავად დიდო ბატონო, ძალის ბატყანი ვის უნახავს? ცოტა
ჩემებურმა წამდლია და ვალიც არ მმართებს შენი — რასა მთხოვ?
ხალხი — „ჩრდილები! ჩრდილები!“
შასხარა — დაჩუმდით! (სიჩუმე) ერთი უყურეთ: თითონვე იქცნენ ჩრდი-
ლებად.

ბატონიშვილი — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!
შასხარა — მაგრამ მალე გაქრებიან ეს ჩრდილები.
ბატონიშვილი — ვის დასცინის, ქილიფთარ?
რევაზი — გაცხარდი ქილიფთარ.
ქილიფთარი — გაეცხარდე ბატონიშვილი? (ატყდება კიდევ ყაყანი: „ჩრდი-
ლები! „მწყრები!“)
ხალხი — მწყრები ააფრინოს.
შასხარა — მწყერები ავაფრინო? საიდან? მაინდან, თუ აქედან?
ხმები — აქედან, მაინდან.
შასხარა — (დიდებულებს) ბატონებო, აქ თვევნი ყურმოჭრილი მონები
არიან და რა აფრენა შეუძლიანთ მონებს (დიდებულებს ეამებათ), ხოლო თუ
მაინდან ავაფრენ მწყრებს, ვინდა დარჩება? (დიდებულებს ეწყინებათ, გლე-
ხებს ეამებათ).

ბატონიშვილი — (ჯერ გაიცინებს, მერე ქილიფთარს) ვის დასცინიან,
ქილიფთარ?

ქილიფთარი — ყველას, ბატონიშვილო, გაეცხარდე?
რევაზ — გაცხარდი! (თვალით აინიშნებს ქილიფთარს, გაცხარდი)
ბატონიშვილი — არა, ნუ გაცხარდები, რამეთუ ბენია არს ეგე და ბეშტია:
ამათ არს ენითა ცემა პაერისა და ბაგეთა ბეგერა მათი.
ქილიფთარი — მაშ დაგმშიდდე, ბატონიშვილო?

ბატონიშვილი — დამშეიდდი ქილიფთარ; როცა ვითხრა, მაშინ გატარდი.
შასხარა — დაეგაშავე რამე ბატონიშვილო?

რევაზი — დიახ, დააშავე და ძალიანაც დააშავე... მასხარავ! პირობა.
ბატონიშვილი — სულ ჩენენზე რად გვაცინებ? არა სუჯომია სხვაზე. გაგვა-
ცინო?

შასხარა — მაშ ნება მიბოძე, წავიდე, თორემ მეშინიან ზუმრობის ცეცხლი
არა სწვდეს სიგიჟის წამალს. (მიღის).

ბატონიშვილი — მოიცა, მე ჯერ ხეირიანად არც კი გამიცინია და შენ
მიდიხარ?

შასხარა — (მობრუნდება) მე, შასხარა ვარ, ბენია: ბატონთა გამრთობი ბე-
რიკა. მხოლოდ გიუებსა და სულელებს ეწყინებათ ჩემი ზუმრობა, ამიტომ
ჟევიანებში ვოხუნჯობ ხოლმე. ნება მიბოძეთ, წავიდე.

რევაზი — ჩეენ სულელებად გვთვლი?

ბატონიშვილი — ქილიფთარ, ნახე? მე უფრო ჭიკვიანი გამოვდექ: არ მეწ-
უინა მაგისი ხუმრობა.

ბასხარა — გეფიცებით სოლომონ ბრძენს, თქვენზე ჭიკვიანი კაცი ჩემს მეტს
არავინ მინახავს ჯერ ქოდალოში. ჩემზე ჭიკვიანებს დავეძებ და თქვენს მეტს
დი ვერავისა ვპოულობ.

ბატონიშვი. — ჩრდილები გააკეთოს ქილიფთარ.

ხმები — ჩრდილები!

ბასხარა — იხილეთ!

(მუნჯად თამაშობინ, თუ გლეხს როგორ აწევს მღვდელი, აზნაური, თავადი, ნოინი, შეფე
და გარშემო დამპყრობი).

ხიხო — ეგ გახლავთ ქართველი გლეხი. მაგას ერთ პირ ტყავს მამასახლისი
აძრობს, მეორეს დიამბევი, მესამეს — მღვდელ-დიაკვანი. შემდეგ ზედ აწევს
(აწვებიან): აზნაური, თავადი, მოურავი, მეფე და გარეშე დამპყრობი...

რევაზი — გაცხარდი ქილიფთარ!

ბატონიშვილი — ხა-ხა-ხა-ხა!

ქილიფთარ — შენ დაგცინიან ბატონიშვილო. გავცხარდე?

ბატონიშვილი — მოიცა, ჯერ სულა ვნახოთ და მემრე გაცხარდი. ხა-ხა-
ხა-ხა.

რევაზ — შეაჩერეთ!

ბატონიშვილი — არ შეაჩეროთ. (გლეხი დაწვება, რაკი ვერ შეიმაგრებს და
დაინგრევა ზედახორა).

ხიხო — გლეხი, რა თქმა უნდა, დაწვა. მაგრამ ისევ ადგება. ვუსურვოთ,
ადგეს უმუქთახოროდ.

(გაკეთებული ბერიების ნაბლის ქვეშიდან გამოვა რევაზის სახე. ჰივა და გლეხს დააწევ-
ბა, ველარ ადგეს).

რევაზ — შეაჩერეთ!

ხიხო — ეგ არაფერი. (შემოდის მეფის სახე) ეს მამაშენია ბატონიშვილი,
დიდებულთაგან დაქუცმაცებული საქართველოს შემკრები და ძალის მიმცემი
მამაშენი. ეს მოურავი არც მას დააყრის ხეირს: ზურგიდან ჩასცემს ხანჯალს,
როცა შაპინშაპის ურდოები მიაღებიან თბილისს. (რევაზის სახუ ხანჯალს
ჩასცემს მეფეს ზურგში).

რევაზ — ოიან! (თან ხელს აუქნევს იქითო, ანუ გასციო)).

მასხარა — ბუიანა! ბუიანა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ბარემ შენც ნახე, რა გუმოსია
ლალატი!

(ბატონები მიდიან საჩქაროდ. ოანა-ბუიანა ყინჩიდა დგას და გამარჯვებული იცინის.
ბერიები გაკეთებულ ბერიეს მოხდიან ნაბადს, ბერიების ქუდს, რჩება მარგილზე ჩამოგე-
ბული თივა და მარგილის წვერზე ჩამოცმული ძალლის დალრეჭილი კენჩხა).

— ჩვენს ბერიეობას კარგი მოსავალი აქვს წრეულს.

(გაგრძელება იქვება)

კიასის ური მემკვიდრეობა

ივანე ფრანგო

გ რ ს ე

ნაწყვეტები პოემიდან

XI

როს ბანაკიდან გავიღა მინდვრად,
შთებზე კვლავ კრთოდნენ სხივი
მზისანი.

და სასოებით მას იზიდავდა
მეწამული გზით შორი მზანი.
ხევებში უკვე ჩაწვა წყვდიადი,
განდევნილს ბნელი ვით უხაროდეს!
და მისი გული თითქოს ტიროდა:
„აა დაგბრუნდები უკან აროდეს!“
კელზე სიამით მოთამაშენი
აი მორბიან ბაეშეები გუნდათ.
შემოეხვივნენ მოსეს გარშემო,
პასთან ალერსი, ბაასი უნდათ.
— „სად მიხვალ, ბაბუ! უკვე დაღამდა,
ბენელმა მოიცა ზეცის თავინი.
შეხე როგორი მყარი და მტკიცე.
ავაგეთ ციხე და გალაგნი“.
— „კარგი, განაგრძეთ ციხის შენება,
მე აღარა ვარ ბედის მჭედელი,
უნდა წავიდე და ვინახულო
სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრის

კედელი.

— „ბაბუ, შეხედე, ხევში მოვკალით
დღეს მორიელი, კულშხამიანი.
და დავიჭირეთ, იქვე, ბუჩქებში,
სამი ბაჭია, თვალნამიანი.
— „გირჩეეთ, ბავშვებო, მორიელებთან
იყოთ გაბედვით კვლავ მეომარი.
თუმცა ცოდვაა, მაგრამ უოველოვის
მათი მოსპობა საჭირო არის.
ცოდვაა, რადგან მორიელიც ხომ

ქვეყნად სიცოცხლის არი მდომარი.
დამნაშავეა განა რომ კუდში
აქვს მუდამ შხამი დაუნდობარი.
ახლავ კურდლები აქ მოვიყვანეთ,
სადაც ყავილთა თეთრი ფიფქია.
იმათი დედა ტირის. ამაზე
ნუ თუ, შვილებო, არ გიფიქრიათ.
ყველა სულდგმული უნდა გიყეარდეთ,
როგორც მზეს მარად ბრწყინვალეს
ცაზე.

ო, სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი
არა რა არი დედამიწაზე“.
— „მოიცა კიდევ. ბაბუ, ნუ მიხვალ
დაჯექი ჩენთან, გვიამბე რამე.
გვიამბე თავზე თუ რა გადაგხდა
და სიხარულით გათიოთ დამე.
გვიამბე შენი ყრმობის ამბავი,
ან სასწაული რამდენი ნახე.
ხორივას მაღალ იალალებზე
ვით აძოვებდი სიმამრის ნახირს.
როგორ იზილე ბუჩქი, რომელსაც
ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა.
და იმ ბუჩქიდან საიღუმლო ხმამ
ხალხის წინამძღვრად შენ მოგიწოდა“.
— „დრო არ მაქვს ახლა, ვერას
მოგითხრობთ,

მიმექარება, სხვა მაძევს ვალი.
ხომ ხედავთ, ღამე როგორ ჩამოწევა
და დაიხურა უკვე დღის თვალი.
მაგრამ მოვა ღრო, ჩემო შვილებო,
როცა უეცრად, ცხოვრების გზაზე,

მოგევლინებათ თქვენც ცეცხლის
ბუჩქი,
როგორც მე მაშინ ხორივას მთაზე.
ამ დაუკიშყარ წუთის მოშეწრებს
მზით შეგეცვლებათ ბნელი წყვდიაღი.
და მოგიწოდებთ მგზნებარ ცეცხლიდან
თქვენც იგივე ხმა მკვეთრი, დიალი:
— „მო გაბედულათ, და მიატოვე
ყოველდღიური ზრუნვა, ჩვეული.
რაღან მე მინდა რომ გაგაგზვნო
დიდ საქმისათვის, როგორც ჩერული“.
ო, არ ჩააჭროთ ის წმინდა ცეცხლი,
და როს ხმა გესმათ ალით ბურვილი,

თქვით მთელი გულით: მზად ვარ,
უფალო,
მყის ავასრულო შენი სურვილი“.
დიღხანს ფიქრობდნენ ბავშვები
უხმოთ,
გულს ჩაიმარხეს მოსესგან თქმული.
თვითონ წავიდა და შეუერთდა
უკუნეთ ღამეს როგორც შეთქმული.
დიღხანს სუფეედა ბავშვებში სევდა,
მოულოდნელად ზოგს შიშმაც გაპკრა,
ვიდრე სავსებით იმისი ლანდი
თანდათანობით ბნელში არ გაპქრა.

XII.

— „ეჱ, მარტოობამ მომიცვა სრულად,
თითქოს ზღვისაგან ვარ დანაბყარი.
და ჩემს სულს, როგორც გაშლილ
იალქანს,
თავის ნებაზე ატარებს ქარი.
დიღიხანია, ო, დიღიხანი
ვიცნობ ამ სევდას, ნაპირებფართოს, —
მთელი სიცოცხლე ვიყავი ხალხთან,
მაგრამ ვიდოდი სულ მარტოდ-მარტო.
ვით ცოომილ ვარსკვლავს,
განმარტოებით
სადღაც უფსკრულში ბოლო მეღება.
მაგრამ ხანდახან ისევ მამხნევებს
უფლის მოწყალე ხელის შეხება.
გარს სიჩუმეა. სდუმან ბაგენი,
მეც მწუხარებამ სიტყვა გამიხმო.
მხოლოდ შენ ერთო, ო, იელოვაჭ,
ჩემივე გულის სიღრმილან მიხმობ. —
მიტომაც გეძებს კვლავ ჩემი გული,
ჩემი ცხოვრების ნალელიან გზაზე.
გამესაუბრე ერთხელაც კიდევ,
როგორც ოდესლაც ხორივას მთაზე.
მე დავამთავრე ის გზა, რომელიც
მიჩვენე მამავ, გასაკვირველად,
და ერთი ვდგევარ კვლავ შეს წინაშე,
ვითარცა ვიყავ ერთი პირველად.
ორმოცი წელი ვშრომობდი დღე-ღამ

შენით მოცული, მოსილი მარად,
რომ მონებიდან შემექმნა ხალხი
შენი სურვილის მსგავსად და დარად.
ორმოცი წელი, ვით მჭედელს, მსურდა
რომ გამომეწროთ მოყეასთა გული.
და ამის ნაცვლად წავედი მათვან
ქეით ჩაქოლილი და გაკიცხული.
ეს იმღროს, იმ წუთს, როდესაც უნდა
ალექსულ მიწაზე აგვენთო კვარი.
გულთამხილაო. შენ თუ იცოდი,
რომ იქნებოდა ბოლო ამგვარი?
ო, გულში სევდა შემომეპარა:
იქნება ცუდი გამოვდექ მწყემსი.
იქნებ, უფალო, შენი ანდერძი
ვერ შევასრულე, ვით იყო წესი.
ო, იელოვა, ხომ გთხოვე ცრემლით:
„მე უმწეო ვარ, ჩლუნგი და მუნჯი.
შენი სიტყვების დიდი მისია
მას დაკისრე, ვინც იყოს ბურჯი“.
და ახლა იქვმა, დაუნდობელმა,
ცივი ნესტირი გულს გამიყარა.
ყოვლად შემძლეო, მამცნე, მითხარი,
ხარ კმაყოფილი ჩემით თუ არა!“
ასე მლოცველი ვიდოდა მოსე
გულით მწუხარე, მწირი, უდაფნო.
აქა-იქ ცაზე კროლნენ ვარსკვლავნი
და მდუმარებდა ვრცელი უდაბნო.

XIII.

უცებ მის ახლო ატყდა ხანდარი
დამყარებული, ვით გრგვინვა მეხის.

თითქოს ვილაცა გვერდით მიღევდა
თუმც არ ესმოდა ხმა მისი ფეხის.

შემდეგ გაისმა თანდათან, ნელა
სიტყვები, როგორც სისინი გველის:
— „უაზრობისგან მუდამ, ყოველთვის
კაცს მწუხარება, ტკივილი ელის.
და როცა თვითონ არ შეგიძლია
ეს მწუხარება ზიდო, ატარო,
უფრო კარგია მთელი სიმძიმე
თვით ღმერთს აპილო, მას გაატანო.

მოსე

ეს ვინ ჩურჩულებს! იქნებ ხმიანობს
ჩემივე სულის უსაზღვრო დარღი.
ანდა დამცინის იქნებ დემონი,
რადგან დამიჭერა იმედის ვარდი?

ხეა

ახლა დაეჭიდი, როგორც გეტყობა,
იმ დიდ საქმეში, შენ რომ დაიწყე,
რომელიც გწამდა ორმოცი წელი,
თუმცა ბრძან, მაგრამ თავდავიწყებით.

მოსე

ვინ ლაპარაკობს! ნეტავი ტანი
ერთბაშად ოფლით რამ დამისველა.
საშინელია? არა! თუმცა გულს
შანთივით რაღაც ეხება მწველად.

ხეა

ამაყმა, ხალხი გზას ააცლინე,
დაათმობინე ფუქე ჭვანი,
რომ ევლო შენი სურვილის დარსდ,
ახლა კი შიში არი გვიანი.

მოსე

ო, საოცარო, ვინ ხარ, ვერ გხედავ,
ხელს არ გქრავ, ოლონდ მაჩვენე სახე.
ვერძნობ შენი მზერა სულში იჭრება
და აფართქალებს, როგორც ჩიტს მახ.

ხეა

შენთვის, რომელსაც ერთხელ ვრცელი
ზღვა

დაგემორჩილა ვით ჯარი სარტალს:
საყურადღებო ის უნდა იყოს
რას ვლაპარაკობ, თუ ვამბობ მართალს.

მოსე

არ ამბობ მართალს. ის დიდი საქმე
არ დამიწყია, როგორც ქედმალალს.
მხოლოდ მინდოდა ჭირს მყოფი ხალხი
დაწაფებოდა ცხოვრებას ახალს..

ხეა

ეს მიტომ, გრძნობდი მონების ძმად თავს,
გწვავდა სირცეცილის ცეცხლი ძლიერი.
და მოისურვე მათი გარდავშნა,
რომ ყოფილიყავ თვით ბედნიერი.

მოსე

საშინელსა და შავ ჯურამულიდან
მინდოდა ხალხი იქ ამეყვანა,
სად ვიდექ თვითონ, ნათელ მაღლობზე,
თავისუფლების იყო ქვეყანა.

ხეა

მაგრამ შემოქმედს, ვინაც ისინი
ძირს დაამკვიდრა, რათ არ მიმართე?
და ახლა, როცა დამარცხდი შარტო,
მას ევედრება — გიოხრას სიმართლე?

მოსე

არა. წაგასხი ახალ ქვეყნის კენ
ხალხი ტანჯული და განათელი,
როცა ბნელ სულში ხორივას ცუცხლმა
მე ჩამინერგა რწმენა ნათელი.

ხეა

ეჭ, იქნებ ცეცხლი ხორივას მთაზე
არ ანათებდა, სულაც არ ენთო.
მხოლოდ ოცნების იყო ნაყოფი
და შენი გულიც ოცნებას ენდო.
იქნებ იგი ხმა, შენ რომ გირჩია:
დასტოვოს ხალხმა ძველი სამყოფი —
ცეცხლის ბუჩქითან როდი მოგესმა,
არამედ იყო ფიქრის ნაყოფი?

ვნება მილუნგებს ხომ თვალთა ხედვას,
ხოლო სურვილი — ეს ჯადო რაში —
ბადებს უწაურ ქვეყნებს და ღმერთებს,
ვით უდაბნოში ცელი მიზაუ.
იგი სურვილი, სულში ვით ტურა.
რომ გიკიოდა, ირწმუნე მიზნად.
შენ მხოლოდ მგონი ამან გაქცია
ხალხის წინამდლვრად და, ხალხის
მისნად.

მოსე

ახ, მაგ სიტყვებით უფრო ვიგრძენი
მე მარტოობის მწარე გემონი.

ვინ ხარ ვერაგო!

ხეა

აზაზელი ვარ,
უდაბნოების შავი ღემონი.
თარგმანი უკრანულიდან ჩაუდენ გვეტაძისა.

კოიტოკე

ერ. ასტვაციათშროვი

სოციალური მოვიცეპი გვარენკოს პოზიცი

„შევჩენქო იმსახურებს მაღალ შეფასებას, სახელ-
დობრ, როგორც პირველი და პეტერიტად სახალხი
პოეტი, რომელსაც არ დაუმახინჯებია სუბიექტური
დამატებებით ხალხის გრძნობა და ფიქრი“.

მაქსიმ გორუი.

ტარას შევჩენკოს გამოსულა სამწერლო ასპარეზზე უდიდესი მოვლენა იყო უკრაინის ხალხის ცხოვრებაში, მისი კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ტარასის სახელთან მქიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი და დემოკრატიულ-რევოლუციური იდე-
ების აღორძინება უკრაინაში. მან დასაწყისი მისცა ფორმით ბრწყინვალე, ეკრანული ხასიათისა და შინაარსით ლრმად დემოკრატიული განცდებითა და ფიქრით გამსჭვალულ პოეზიას. შევჩენკოს სიღიადე თავიდანვე იმაში მდგო-
მარეობდა, რომ იგი იყო სავსებით სახალხო მწერალი და მისი პოეტური სუნთქვა წარმოადგენდა უშუალო გამოძახილს უკრაინის ხალხის გულისცე-
მისას.

ტარას შევჩენკო დაიბადა კოლონიურ უკრაინაში, ყმა-გლეხის ოჯახში. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან ყმობასა, პატიმრობა-გადასახლებასა, მეფის უადგარმერის სასტიკ დევნასა და ზედამხედველობის ქეშ გაატარა. ამ მძიმე პირად ცხოვრებას არ შეიძლებოდა ლრმა კვალი არ დაეჩნია პოეტის: განწყობილებაზე, მისი მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე, მით უმეტეს, რომ პირად ყოფას იგი არ უყურებდა, როგორც ინდივიდუალურ მოვლენას. თავისი ცხოვრება პოეტს უკრაინის გმირული ხალხის, ყმა-გლეხების ცხოვ-
რების ნაწილად მიაჩნდა. იგი ნათლად ხედავდა, რომ უკრაინა და მისი მშრო-
მელი მოსახლეობა ასევე სასტიკად და უფრო მეტად იტანჯებოდა და იცარ-
ცვებოდა თვითმპურობელობისა და ადგილობრივი მემამულებისაგან. ეს უშუალო ხედვა საშუალებას აძლევდა პოეტს ადვილად გაეგო სამშობლოსა და ხალხის გულისტკივილი და ზედმიწევნით გამოეხატა ის თავის პოზიაში.

ტარას შევჩენკო თავს სთვლიდა უკრაინის ხალხის შეილად, მისი წარსუ-
ლისა და აწყოს მემკვიდრედ. პოეტისათვის არსებობა, — ეს იყო ბრძოლა ხალხის გათავისუფლებისათვის თვითმპურობელობისა და შებატონების სა-
შინელი კაბალისაგან. შევჩენკოს მღელვარე სულს საშინლად აწუხებდა უკრა-
ინის ეროვნულ-პოლიტიკური ჩაგვრა, გლეხთა მხეცური ყვლეფა, მათი არა-
დამიანური უფლებები. უკრაინის ხალხის წარსული და აწყო მის გულში-
უდიდეს სამრძოლო ცეცხლის ნაპერწყლებს აჩენდა. თავისი ხალხის გმირუ-

ლი წარსული აკაცებდა პოეტის მგზებარე სულ და მოუწოდებდა შეუპოვარი და მამაცური ბრძოლისაკენ.

უკრაინა ჯერ კიდევ მე-13-14 საუკუნეებიდან იმყოფებოდა პოლონეთა ლიტვის პანების ულელქვეშ, რომელთაც ყველა გლეხი საბოლოოდ ყმად გადააქციეს და სულ მცირედი დანაშაულისათვის სიკელილით სჯიღნენ. პოლონელ პანთა სახლებთან აღმართული იყო სახრიბელები, რომელებზედაც აჰყვდათ ყველა „ურჩი“ და „მოუსვენარი“. დამპყრობელები ამით არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი აიძულებდნენ უკრაინის ხალხს მიეღო მათი სარწმუნოება... ამ საუკუნეებიდან მოყოლებული უკრაინის გლეხობა გამუდმებით უბრძოდა დამპყრობელ პანებს, იგი თავის რიგებიდან გამოჰყოფდა ხოლმე მამაც გმირებს, ბელადებს, რომელებიც წინ უძლოდნენ სალხს მტერთან შეუბოვარ ბრძოლაში. მაგრამ დაქავშული და სტიქიურად მებრძოლი აჯანყებული გლეხობა საბოლოოდ ყოველთვის მარცდებოდა. უკრაინის ხალხის შენის ერთადერთი გზა იყო შეერთებოდა რუსეთს და დიდი რუსეთის მფარველობით მოეპოებინა სიმშვიდე და თავისუფლება. ეს იყო გარდაუვალი გზა. და 1648 წლის გლეხთა აჯანყების დროს, რასაც სათავეში ედგა ბოგდან ხმელნიცი, უკრაინა შეუერთდა რუსეთს. უკრაინის გლეხობა განთავისუფლდა პანების ბატონობისაგან, მაგრამ იგი სრულიადაც არ განთავისუფლებულა საერთოდ ბატონობისაგან. პირიქით, მეფის რუსეთმა არანაკლებ მძიმე ულელი დაადგა კისერზე უკრაინის ხალხს. მეფის თვითმშპრობელობა უკარინას უყურებდა, როგორც კოლონიას, სძარცვავდა ეკონომიურად და პოლიტიკურად, სპობდა მისი დამოუკიდებლობის ყოველგვარ ნასახს და უმზადებდა სრულ ასიმილიაციას. გლეხობას მეფისა და მეფის ჩინოვნიკებთან ერთად ყველეფინენ და მონობაში ამყოფებდნენ ადგილობრივი მემამულე-ფეოდალები.

ბატონყმური რეემი და თვითმშპრობელობის კოლონიური პოლიტიკა ვანსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა მე-19 საუკუნის პირველ წახევარში, ნიკოლოზ პირველის ეპოქაში, სწორედ იმ ეპოქაში, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და პოეტური შემოქმედებითი მოღვაწეობა ტარას შევჩენკოს. ნიკოლოზ პირველის რუსეთი, — ეს იყო მთლიანი საბყრობილე. ეს იყო ეპოქა სასტიკი რეაქციისა და ბატონყმური ურთიერთობის კრიზისისა. ბატონყმობამ ორასი წლის არსებობის შედეგად მიაღწია „აყვავების“ უმაღლეს საფეხურს, გი გადაიქცა საზოგადოებრივი განვითარების დაბრკოლებად. ფეოდალურმა წყობამ, რაც დამყარებული იყო მძიმე ყვლეფაზე, იძულებით შრომაზე, გამოააშეარავა ყველა ნიშანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი განრწინისა. მთელი ამ კრიზისის სუსტი კისერზე აწვებოდა ისევ ყმა-გლეხებს. იზრდებოდა გლეხებსა და მთელ ხალხში უკმაყოფილების ტალღა. დასავლეთ ეგრძობის პროგრესული აზროვნების გავლენით რუსეთშიც იჭრებოდა რესპუბლიკური იდეები და ეს იდეები იპყრობდა მოწინავე იდამიანებს, ზრდიდა აბსოლუტიზმისაღმი რამზიციურ განწყობილებას და იქმნებოდა მეფის საწინააღმდეგო ფარული ორგანიზაციები. მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ერთ ასეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციას წარმოადგენდა დეკაბრისტების ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული იყო იმდროისათვის მოწინავე ანტელიგენცია, უმთავრესად სამხედრო პირებისაგან შემდგარი. ნიკოლოზ პირველი კაცი არ იყო, მაგრამ მას უკავშირო და უძლიერი იყო უკრაინის მეფის მიერთაში პოლიციურ-უანდარმული რეუიში შემოილო. დეკაბრისტების ნაწილი, რომელიც ჩამოარჩინი

ჩას გადარჩა, ცამბირში და სხვა შორეულ ქვეყნებში დაიღუპა. სისხლში ხელებასვრილმა მეფემ მოაწყო დიდი ოუსი პოეტების პუშკინისა და ლერმონტოვის მკვლელობა, პოლევევე ჩატკლა გადასახლებაში, გამოჩენილი მთაზოვნე ჩადაევი გამოცხადებულ იქნა შეშლილად, რევოლუციონერი გერუნი იძულებული იყო მიეტოვებინა სამშობლო და საზღვარგარეთიდან დაეწყო ამაფეტქებელი წამლის გზავნა თვითმპყრობელურ რუსეთში და სხვა. მით უფრო საშინელი იყო თვითმპყრობელობის მოქმედება განაპირა, დაპყრობილ მხარეებში. „ცარიზმი განზრას ანგითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ ფეოდალურ ჩავრას იმ მიზნით; რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ყოლოდა... ცარიზმი ძირშივე კლავდა აღვილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ახშობდა განაპირა ქვეყნების ხალხის, მასების ყოველგვარ ატრივობას“ (ი. სტალინი).

ერთი ასეთი „განაპირა“ ქვეყნის ღირსეული შეიცილი იყო ტარას შევჩერკო, რომელსაც ბავშვობიდანვე აეხილა თვალი ბატონყმობის მთელი სისაძაგლის გასარჩევად. მაგრამ პოეტი ხედავდა არა მატრო ამ სისაძაგლეს, არამედ იგი ხედავდა აგრეთვე იმ ზღვა უკმაყოფილებას, რომელიც დაგუბებული იყო ხალხის მასებში და ხშირად იფერებდა ხოლმე სტიქიურად. იმდროინდელი რუსეთისა და უკრაინის ხალხის ქვედა ფენების ცხოვრება, ბატონ-ყმური ურთიერთობა და საკუთარი მონური ყოფა იყო ის უნივერსიტეტი, რომელ-მაც შეიმუშავა შევჩერკოში საზოგადოებრივად სასარგებლო შეგნება, თეით-მპყრობელობისა და მემამულეთა სიძულვილი და სამშობლოსა და ხალხის მხურვალე სიყვარული.

იმ დამახასიათებელ ნიშნებს გარდა, რომლებზეც ჩვენ ზევით შევჩერდით, შევჩერკოს მოღვაწეობის ეპოქისათვის ზამახასიათებელი იყო აგრეთვე გლეხთა აჯანყებების ზრდა, როგორც რუსეთში, ისე უკრაინასა და სხვა დაპყრობილ ქვეყნებში. მაგალითად, თუ 1830 წლიდან 1840 წლამდე იყო გლეხთა ასამდე აჯანყება, 1840 წლიდან 1854 წლამდე აჯანყებების რიცხვმა მიაღწია ათხასამდე. ხშირად ამ აჯანყებებში მონაწილეობას იღებდა ათეულათასობით გლეხი.

მთელ ამ მოვლენებს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინათ ხალხის ქვედა ფენებიდან გამოსულ, გაბატონებული ურთიერთობით უქმაყოფილო პოეტზე, მისი მსოფლმხედველობისა და მიმართულების. გამომუშავებაზე, მის ესთეტიკურ შეხედულებებზე.

რა კუთხიდანაც უნდა განვიხილოთ ტარას შევჩერკოს შემოქმედება, დავიწყოთ ანალიზი და შესწავლა მისი სოციალური ბუნებისა, პოლიტიკური მოტივებისა, როგორი ტენდენციურიც უნდა იყოს ეს ანალიზი, აშკარა გახდება, რომ პოეტი არის თავისი ეპოქის უაღრესად პროგრესიული მოძრაობის წარმომადგენელი, დაბექავებული ხალხის მატერიალური ყოფის, მისი სულიერი ტანჯვისა და მისწრაფებების გამომხატველი. ამასთან მთელი სიცხადით გადაიშლება ჩვენს წინაშე ის ნიაღვე, საიდანაც იღებდა საზრდოს პოეტის შემოქმედების ფესვები და ის სისუსტე, რომელიც დამახასიათებელი იყო: აღებული ეპოქისათვის.

ტარას გრიგოლისძე შევჩერკო თავის პოეზიაში პირველ რიგში იყო ეროვნულ-გამანთავისუფლებელი იდეიის გამომხატველი. ის იყო თავისი სამშობლო უკრაინის მგზნებარე პატრიოტი და მისი აღრინდელი პოეზია ეროვნული რომანტიზმით არის გაუღინთილი. მას გული სტკივა და აწუხებს, რომ საყვარელ უკრაინას თვითმპყრობელობა გლეჯს ნაწილ-ნაწილად და პარტახებს,

მისი პოეტური სული სევდის ბურუსით იცხება, როცა ირგვლივ გულშემატკიცარისა და მოსარჩევს ვერ ხედავს:

„უკრაინავ, არვინ გიცავს,
დაზინ, ცრემლად დადნი...
მელნით, გესლით მოსკოვისა
დაგვიწვიმეს ვარდნა...
ზოგს ციხეში მისცეს ბინა.
იქ წყვდალში ომიბს,
ო, იტირე უკრაინავ,
ქვრივო, უპატრიონვა...“
(„სიზმარი“, თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა).

პოეტი ძლიერი დრამატიზმით გვიხატავს თავისი ხალხის სევდას, მწუხარებას და უშუალოდ გვაგრძნობინებს იმ უიმედო განწყობილებას, რომელმაც შეიძყრო იგი ხალხის უნაყოფო ბრძოლების შედეგად:

„მუს რად აწევს ლოდი, კედება გული რატო?
კულო, რატომ სტირი, გული რალას ნატრობ?
დამშეული თუ ხარ, ჯაფამ თუ გაგტეხა?
დაგდარგვია ფერი და ავალმყოფს ჰერეხარ.
ან დამშეულს იქნებ ძილი მოგერია,
ყურს არ უგდებ ახლა წუთისოფლის გრიალს.
დაიძინე გულო, სამუდამო ძილით,
მოიშინე ნანა, დედის ნანა ტკმილი.
აქ დელავდეს ხალხი, ხალხი შურით მთვრალი,
შენ, დაღუმრი გულო და დახუჭე თვალი“.
(„გული რატო ლონდება“, თარგმ. მ. პატარიძისა).

შემოქმედების პირველ პერიოდში, როცა მისი პოეტური სული ტყველ ჰყავდა ნაციონალურ არმანტიზმს და ჯერ კიდევ საქმაოდ არ იყო დაჯერებული ხალხის ძალაში, შევჩენკოს სტირად დასდევდა პესიმიზმის აჩრდილი, ცდილობდა ოცნებით გასცენოდა სამშობლო მხარეს, რათა იქნებ სხვაგან ენახა უკეთესი ცხოვრება და თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. ასეთ განწყობილებას შევხვდებით მის მრავალ ლექსში. ასეთი განწყობილების ელემენტებს ატარებს „სიზმარიც“:

„დე დაბნელდეს, დაპრას ელვიზ,
ჰქუნდეს ცეცხლის ალი,
ისევ თათით ელიტოს გველმა
ხალხის ნატაბალი,
შე უშენიდ მარტო გავწევ;
მკერდს გულშენაფარი,
ქრისტეთ ვებნონ ქვეყანაზე,
თუ სამოთხე არი“.

მაგრამ ცხოვრებიდან გაქცევა, სხვაგან, სხვა ქვეყანაში „სამოთხის“ ძიება არ იყო პოეტის საბოლოოდ აჩჩეული გზა. პირიქით, ჯერ კიდევ აღრეს სიზმრის „დაწერამდე „სიმღერაში“ შევჩენკომ გვიჩვენა, თუ როგორ არ შეიძლება „სამოთხის“ ძებნა სხვაგან, არმ, როგორც უკრაინის, ისე უკრაინის მეზობელ ქვეყნის გლეხობა ერთ ბედვევეშ არიან. უკრაინელი კაზაკი გაექცა თავის ყოფას, „გაპყვა სივრცეს“, მაგრამ „ბედის ვარსკვლავს ვერსად შეფარა“.“

„უკვე გაღმა ზის კაზაკი,
ზღვას ცისფერი ფარავს.“

ეგონა რომ ბედს ნახავდა,
შეეყარა ვარამს.
წეროები კი მიურენენ
მწყობრათა და ჩქარა.
იცრემლება კაზაკი და
გზებს ბალახი ფარავს“.
(„სიმღერა“, თარგმანი ს. ჩიქოვანისა).

ამ პირველ პოეტის შემოქმედება ძლიერია რეალიზმის ელუ-
მენტებით. ხალხთან და მასების გულისცემასთან სიახლოეს ყოველთვის პოუ-
ლობდა გამოძახილს სახალხო პოეტის ლექსებში, სიმართლით გაღმო-
გვცემდნენ ისინი სინამდვილეს, გლეხური მასის განშეყობილებას, თვით ფერწ-
ბიც იშვიათი შუქით იყო განთებული და გასაოცარი გემოვნებით შერჩეუ-
ლი. იმავე „სიზმარში“ პოეტი სევდასთან ერთად გვაგრძნობინებს თვითმპყრო-
ბელობისადმი დაუცხრომელ სიძულვილს, რომლითაც შეპყრობილი იყო პო-
ეტის მთელი არსება:

„სულლ, მიმძიმს, მომეწყინა,
რა მწუხარედ კვნესი?
შევურით სული ყინვას,
მოდი, შევსვათ გესლი...
გაუზავნოთ ფიქრი ლმერთა,
იქნებ ლმერთმა გვითხრას,—
რად ვაღიდებთ ჯალათებსა
ჰვეყნად ასე დიღხანს“.

„სიზმარი“ პოეტის პირველი პერიოდის ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოე-
ბია, რომელიც ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში და აღვიყებდა მათში მტერზე
შურსძიების გრძნობას. ამ პოემაში გაღმოცემულია ის დიდი შთაბეჭდილება-
ნი, რომლებსაც იღებდა პოეტი ხალხთან ახლო ურთიერთობის დროს, თავისი
სამშობლოს წარსულსა და აწყოს შესწავლისას. სევდასა და ნაღველთან ერ-
თად ამ პოემაში არის მგზებარე აპტიმიზმიც. იქ არის იმის რწმენაც, რომ
სამშობლოს შეიღლი ერთად აღსდგებიან მტერზე, რომ სამშობლო არ უნდა
გატყდეს უიმედობისაგან და ელოდოს სამართლის მაძიებელ შეიღლოთ. პოემას
უდაოდ დიდი რევოლუციონური მნიშვნელობა პქონდა მიუხედავად იმისა,
რომ იქ არ იყო აშკარა მოწოდება ბრძოლისაკენ და პოეტი კმაყოფილდებო-
და მომავლის იმედით. პოემის რევოლუციური მნიშვნელობა იმაში გამოიხა-
ტებოდა, რომ სინამდვილის სიმართლითა და მუქ ფერებით ხატვით აბიექტუ-
რად ხელს უწყობდა ხალხში რევოლუციური თვითშეგნების მომწიფებას.

პოეტის ამავე პერიოდის მეორე დიდი ნაწარმოები, არის პოემა „გაიდამა-
კები“. „გაიდამაკები“ გამოიჩინევა უკრაინულ ლიტერატურაში თავისი შხატ-
ვრული ღირსებითა და პოლიტიკური მნიშვნელობით. ამ პოემაში აღებულია 1768 წელს მომხდარი უკრაინის გლეხთა ისტორიული აჯანყება. აჯანყებამ
ფართო ხსიათი მიიღო. მსმა ძლევამოსილებამ თავზარი დასცა პოლონელ
მაგნატებსა და რუს და უკრაინელ მემამულეებს. შეეჩენებ სითბოთი და სი-
ყვარულით აღწერა ეს აჯანყება და აშკარად გამოხატა თავისი სიმპატია აჯან-
ყებულების მიმართ. „გაიდამაკების“ დაწერით პოეტმა ხოტბა შეასხა თავი-
სუფლებისათვის მებრძოლ მშობლიურ ხალხს. მაგრამ განსაკუთრებით ხაზი-
უნდა გაესვას იმას, რომ ეს ხოტბა მიზნად არ ისახავდა წარსულის უმიზნო
იდეალიზაციას. მას (ხოტბას) მწერალი გარკვეულ ისტორიულ და პოლიტიკურ
დანიშნულებას აძლევდა. პოეტის მთავარი მიზანი ის იყო, რომ გლეხთა გმი-

რული ბრძოლების აღწერით წაეჭირებინა თავისი თანამედროვენი თვითმშემონაბელობის წინააღმდეგ საბრძოლველად: ეს იყო პოემის მთავარი და დაუცხრო-მელი პოლიტიკური იდეალი.

ჩევნის აზრით პოლიტიკური და სოციალურ-ისტორიული მნიშვნელობით „გა-იდამაკებში“ არანაკლებ ღირსშესანიშნავია მეორე მომენტი. პოემაში შეკენ-კომ შექმნა მოჯამაგირე გლეხის იარომას შესანიშნავი სახე. იარომას სასტიკ ექსპლატაციას უწევენ, იგი ჩვეულებრივი უფლებებს მოკლებული ყმა-გლეხია, რომელიც გარეგნულად შეიძლება არაფერს ამეღავნებდეს, მაგრამ მის სულში იფარება დიდი აღამიანური ძალა, ნიჭი, რის მხატვრულ ილუსტრა-ციას პოეტი კიდევაც იძლევა. იარომა გამოდის უკრანის განთავისუფლე-ბისათვის საბრძოლველად და დიდ გამბედაბას, თავდადებას და სიმამაცეს იჩენს, სათავეში უდგება აჯანყებას და მისი ერთერთი გამოჩენილი მეთაურის ხდება. აյ თითქოს არაჩეულებრივი არაფერია, მაგრამ ის თავის დროშე უდიდესი რევოლუციონური მოვლენა იყო. მხოლოდ ამ ერთი სახის შექმნით; სხვას რომ თავი დავანებოთ, პოეტმა ძალიან ბევრი რამის თქმა შესძლო. მან გვიჩვენა ის, თუ თავმდაბალი, მივიწყებული მოჯამაგირე გლეხი იარომა, როგორ გახდა აჯანყების ერთერთ გამოჩენილ ხელმძღვანელად, ამით საზი გაესვა იმას, რომ გლეხობაში, ხალხის მასებში დაფარულია უდიდესი რევო-ლუციონური ძალა, ნიჭი, რომელთა წამოყენება შეუძლია მას მტერთან ბრძოლაში და უნდა წამოაყენოს კიდევც. ამასთან იარომა მოჯამაგირე გლე-ხის პირველი მხატვრული სახე იყო მთელ იმდროინდელ უკარინულსა და რუსულს ლიტერატურაში, რომელიც ასეთი დიდი აღამიანური ღირსებებით იყო შემკობილი მწერლის მიერ.

ამგვარად, შეკენკო თავის პოეზიაში გამოხატავდა ეროვნულ-განმათავი-სუფლებელ მისწაფებებს; მაგრამ პოეტის მიერ გამოხატული ნაციონალურ-რევოლუციური იდეები თავისი სოციალური ხასიათით, შეარსით სრულიად განსხვავდებოდა უკარინის ბურჟუა-მემშულე ნაციონალისტების მისწაფე-ბებისაგან, რომელთა მიზანიც იყო უკრაინის „განთავისუფლება“ რუსეთის მეფის ბრჭყალებისაგან არა უკრაინის ხალხის განთავისუფლებისათვის, არა-მედ საკუთარი ბატონობის გაძლიერებისათვის. ბურჟუა-მემშულე ნაციონა-ლისტები იბრძოდნენ საკუთარი ინტერესებისათვის, ბურჟუაზიულ-მემამულუ-რი „დამოუკიდებელი“ უკარინისათვის. შეკენკო კი სამშობლოს განთავისუფ-ლებისათვის ბრძოლას ორგანიულად უკავშირებდა ხალხის თავისუფლებას, ყმა გლეხების თავისუფლებას და ბატონებური წყობილების მოსპობას. შევ-ჩენკოს პატრიოტიზმი მოქცეული იყო საკუთარი კლასის — გლეხობის სო-ციალურ მისწაფებათა რეალში. მისი პატრიოტიზმი იყო ნამდვილი ხალ-ხური ფართო დემოკრატიული პატრიოტიზმი. ამიტომ, შემდეგ, როცა პოეტი გაეცნო დიდ რუს რევოლუციურ-დემოკრატთა შეხედულებებს, მათს გლე-ხურ სოციალიზმისა და რევოლუციის იდეას, არამც თუ წინააღმდეგობა არ გაუწია მას, არამც მთლიან მიიღო და შეუთავსა იგი თავის ნაციონა-ლურ-რევოლუციურ შეხედულებებს.

შეკენკო თანაბარი ძალით და გულმოდგინებით იბრძოდა სამშობლოსა და გლეხთა თავისუფლებისათვის. სამშობლოსა და ხალხის (გლეხობის) ინტე-რესები პოეტს ერთიმეორისაგან არასოდეს არ განუსხვავებია. გლეხთა მდგო-მარება მას ბავშვობიდანვე მოსვენებას არ აძლევდა. იგი თავისი სოციალუ-რი მდგომარეობითაც, ფაქტოურად გატარებული ცხოვრებითაც დავალებული იყო ებრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ და კლასობრივი შერი ეძია. მართა-

ლი იყო დობროლუბოვი, როცა სწერდა. რომ „იგი (შევჩენკო) ჰამოვიდა ხალხიდან, ცხოვრიბდა ზალხთან ერთად და არა მარტო აზრებით, არამედ ცხოვრების მდგომარეობითაც მტკიცედ და სისხლით იყო დაკავშირებული შასთან“...

ბრძოლა ხალხის ნამდვილი თავისუფლებისათვის, სიკეთისათვის ტარას შევჩენკოს ბუნებრივად აყენებდა მტრულ დამოკიდებულებაში ყველა იმ გაბატონებულ საზოგადოებრივ ფენებთან და აღმიანებთან, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ მშრომელი ხალხის ჩაგვრასა და ყვლეფასთან. ამიტომ, ტარას შევჩენკოს ებრძოდნენ და სდევნიდნენ არა მარტო მეფე და მისი მოხელეები, არამედ საკუთარი ქვეყნის მემამულებიც.

ეს გარემოება საგებით გასაგებს ხდის „სამშობლოს“ იმ თავისებურ გაგებას, რომელიც ჰქონდა პოეტს და არა საფუძველშივე განსხვავდებოდა „სამშობლოს“ ფეოდალურ-ბურუუზიული გაეგებისაგან. შევჩენკოს „ჩემი უკრაინა“, რასაც ძალიად ვხვდებით მის ლექსებსა და პოემებში, არას უკრაინის ღარიბი ხალხი. როცა ზოგიერთი ბურუუზიულ-ფეოდალური „პატრიოტები“ მუცლით ხოხავდნენ თვითმპყრობელობის წინ, გუნდრუქს უკმევითებ მეფეს და გაიძახოდნენ ყველაფერს ამას ეჩადივიართ „სამშობლოსათვის“, შევჩენკო დასკინოდა მათ ეროვნულ(!) „გმირობას“: „თქვენ თვითონ არ იცით, თუ რას აკეთებენ მეფეები და გაჰკივით კი, რომ სულიც და ტყავუ სამშობლოსათვის სამსხვერპლოზე მიგაქვთ“.

შევჩენკოს უკრაინის დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისე ესმის, რომ იქ ხალხი აღარ უნდა იჩაგრებოდეს არა მარტო რუსეთის მეფეებისაგან, არამედ ადგილობრივი მემამულებისაგანაც. სოკიალური ბრძოლა ტარას შევჩენკოს თავისი ღრროსათვის უკიდურესად პრინციპულ სიმაღლემდე, იყავდა, იყი არ ერიდებოდა ბრძოლის არავითარ გამწვავებას, მის შინაგან გამძაფრებას. შევჩენკოს „ჩემი უკრაინა“ იყო უკრაინა უმეფოდ და უმემამულოდ, უკრაინა ყმებისა და მოჯამაგირების გარეშე, უკრაინა თავისუფალი ხალხისა. ეს იყო მომავლის ნამდვილი ხალხური გაება. ამაშია მისი შემოქმედების და აზროვნების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხალხურობა.

ტარას შევჩენკოს პოეზიაში, საღაც თავმოყრილია ყოველივე რაც საუკუთხესო იყო უკრაინის ხალხის ინტელექტუალურ კულტურაში, მის წარსულსა და აწყობში, გამოიხატა უკრაინის ხალხის — გლეხობის თანამედროვე ყოფა და მისწავლებანი, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი აზროვნების ღონით დადიოდა გლეხური მასის ღონებდე. შევჩენკო იყო მოწინავე გლეხური იდეების შემკრები და მისიწავლებით იქითკენ, რომ მთელი მასა ამ იდეების ღონებდე აემაღლებინა. მაგალითად, იმ ღრრის გლეხობას ყოველთვის არ ესმოდა, რომ მათ ყველებას ბატონების მიერ და ბატონუმურ უფლებას ზურგს უმაგრებდა მეფე, რომ მეფე იყო ხალხის ყველაზე უბოროტესი შტერი და ყველაზე დიდი ფეოდალი. ეს არ ესმოდათ ხშირად არა მარტო ჩემულებრივ გლეხებს, არამედ გლეხთა სტიქტური აჯანყებების მეთაურებებაც. ისინი ფიქრობდნენ, რომ ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც აყენებენ მემამულები გლეხებს, მეფემ არ იცის, მეფეს უმაღლავენ, თორემ იგი ამის უფლებას მათ არ მისცემსო. გლეხები შორს ვერ იხედებოდნენ. ისინი აშკარად ხედავდნენ უშუალო მყვლეფელებს და ვერ ამჩნევდნენ დიდ მყვლეფელს; რომელიც მათგან დაშორებული იყო. ამიტომ გლეხთა აჯანყებების ღილი იაწილი მიმართული იყო ადგილობრივი მემამულების წინააღმდეგ და ხშირად მხოლოდ ამით ისაზღვრებოდა. შევჩენკო ცდილობდა, რომ გლეხთა შეგ-

ნება, მათი ხედვის ჰორიზონტი გაეფართოვებინა და ეჩვენებინა ბოროტების სათავე. შევჩენკოს შთელი პოეზია, მიმართული თვითმპყრობელობისა და მემამულების წინააღმდეგ, ამის შესანიშნავი ცდა იყო. როცა ტახას შევჩენკომ წმიდათა-წმიდა სამართლისათვის ბრძოლის დროშა აღმართა და ამ დროშა თვითმპყრობელობისა და მემამულებისაგან განთავისუფლება წააწერა, იგი სწრაფად ამაღლდა მთელი ხალხის თვალში და სამუდამოდ დაიკავა უკვდავი ადგილი მის გულში.

შევჩენკოს შემოქმედების იდეების დემოკრატიული და რევოლუციური ხასიათი, რაც მან არა მარტო თავისი დროისათვის, არამედ შემდეგშიც შეინარჩუნა, მდგომარეობდა იმაში, რომ ის გაუღინთილი იყო აგრეთვე დაიდი ინტერნაციონალიზმის სულით. შევჩენკოს უყვარდა თავისი ხალხი, თავისი უკრაინა, მას აწუხებდა საშინელი ბედი უკრაინისა:

„შვიდო მხარე, ჩემო მხარე,
ჩემო უკრაინა!
რატომ არ გაგახარეს?
დაგინგრიეს ბინა!..
დევპრი დაშრა, გზას ვერ კაფავს,
გუბეს ჰფარავს ჭირხლი
და გმირების ძეირდას საფლავს.
თვითმპყრობელი გვითხრის!“
(„გაუთხრიათ სამარე“, თარგმანი შ. პატარიძისა).

მაგრამ ამავე დროს უყვარდა რუსი გლეხიც, რომელიც საშინელ ჩაგვრას განიცდიდა საკუთარი მემამულებისაგან, და სხვა ხალხებიც, რომელნიც ისე-თავე ბედში იყვნენ, როგორშიც უკრაინის ხალხი. ცარიზმში პოეტი ხედავდა, როგორც უკრაინის, ისე რუსეთისა და სხვა მოძმე ხალხის მტერს; როცა ის ქებას ასხამს გაიდამაკების ბრძოლას, ამავე დროს თანაგრძნობით იხსნიებს რუსეთში 1773-75 წ. გლეხთა აჯანყების მეთაურს ემელიან პუგაჩოვს. ამ მხრივ, თავისი პოლიტიკური სიმახვილით, იდეური სილრმით და ინტერნაციონალისტური შეგნებით გამოიჩინა პოლიტიკური პოემა „კავკასი“-. ეს პოემა ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია მთელ მე-19 საუკუნის ლიტერატურაში. პოემაში შევჩენკო ლაპარაკობს ცარიზმის მიერ ყველა დაჩაგრული ერის სახელით, იგი სასტიკად ილაშვრებს მეფის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და მოუწოდებს კავკასიის მთის ხალხს იბრძოლოს თავისუფლების შენარჩუნებისათვის. პოემა შევჩენკომ უძღვნა ერთ თავის მეგობარს, რომელიც დაიღუპა კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში. ამ სიკვდილისათვის პოეტი ბრალს სდებს თვითმპყრობელას, რომელიც ცივილიზაციის ნიღაბით ცეცხლითა და მანევილით იმორჩილებდა კავკასიის ხალხებს. შევჩენკო დასცინის მეფეს და მძაფრი ფერებით ხატავს მის მიერ ჩადენილ სიმხეცეს, მიმართულს თავისუფლების წინააღმდეგ:

„დარიბ-დატავებს შიუგალ მოებში,
ჩეგნი წყალობის თვალი დაცყურებს.
მთები დაეცრილეთ ტყვეების თქეშით,
თავისუფლება გავანადგურეთ.
ბეგრი სალდათის ძელები დასტოვეს,
ჩამდგნი სისხლი, ცრემლი მრავალი!
იგი ათრობდა იმპერატორებს,
ქლებოდა მათი შთამომავალი.
ქვრიების ცრემლი, დოდების გლოფა:

და ქალწულების ფარული მოთქმა —
სუყველა ერთად ჩომ მოაგროვო,
ჩიხხერჩებოდა ხელწიფის მოდგმა“. („კავკასი“).

პოეტი შენატროდა იმას, თუ როდის გაიღვიძებდა „სიმართლე ჩვენი შენო-
მისა“, და შესწყდებოდა დამპყრობელის ცეცხლიანი თარეში:

„ნეტა როდის გაიღვიძებს იგი, —
და შენ როდის დაიძნებ, ღმერთო,
რომ შესწყვიტო ჩვენი ქვეყნის ირგვლივ
დამპყრობელის კოცონები ენთოს“. („კავკასი“).

შევჩენკო მოუწოდებს თავისუფლებისათვის გმირულად შებრძოლ კავკა-
სიის მთიელ ხალხს, არ შესწყვიტოს ბრძოლა, რადგან სიმართლე მის მხარე-
ზეა. იგი აღიდებს მთიელთა ვაჟუაცობასა და აქეზებს მათ ბრძოლისათვის.

„დიდება თქვენს ვაჟუაცობას,
თოვლიინო მთებო,
თქვენ — დიდება. არ ზანებდეთ
მოძალად სვაებებს.
სიმბრთლე თქვენს მხარეზეა,
შორეულო ძმებო,
ზეცის მადლი ეფინება
თქვენ ჭარა თვებს!“.
(„კავკასი“, თარგმნი კ. ლორთქიფანიძისა).

პოლიტიკური სიმახვილისა და ინტერნაციონალიზმის აშ სიმაღლემდე არ
ამაღლებულა შევჩენკოს დროისა და მანამდელი არცერთი დიდი მწერალი.

* * *

ორმოცდაათიანი წლებიდან, კერძოდ, როცა შევჩენკო ეცნობა რუს რევო-
ლუციონერებს, გერცენის, ჩერნიშევსკის, ღობბროლუბოვის შეხედულებებს,
მათ შებრძოლ გლეხურ რევოლუციურ იდეებს, კიდევ უფრო ლრმავდება და
ფართოვდება მისი პოეზიის მსოფლმხედველობრივი არე, უფრო მეტად იმს-
ჭვალება პროტესტით არსებული წყობილების მიმართ და ისება სოციალური
შინაარსით. შევჩენკოს პოეზიაში პროტესტი არ ატარებს აბსტრაქტულ ხა-
სიათს, იგი არ არის მიმართული ზოგად ბოროტების წინააღმდეგ. შევჩენკოს
ყოველთვის მიზანში ჰყავს ამოღებული კონკრეტულად მეფე და მემამულე.
პოეტმა უკვე საბოლოოდ შეიცნო, რომ ხალხის უბოროტესი მტერი არის მე-
ფე და მემამულე, რომ ეს ორი ძალა ერთმანეთთან გარდაუვალად არის და-
კავშირებული და სიმართლის მოპოვებისათვეს საჭიროა ორივე ბოროტების
მოსპობა. მაგრამ, რომ მოსპონ მემამულე, უნდა მოსპონ მეფე. მეფე — ეს არის
ცენტრი, სათავე ყოველგვარი ბოროტებისა, ის არის სათავე, როგორც ყველა
პატარა ხალხის ეროვნული ჩაგვრისა, ისე რუსი, უკრაინელი, კავკასიელი და
სხვა გლეხის მძიმე ყვლებისა საკუთარი მემამულის მიერ. ამიტომ შევჩენკო
უკვე აქტიურად მოუწოდებს ღარიბ ხალხს აღსდგეს მეფის წინააღმდეგ და
ცეცხლში ჩანთქას იგი. პოეტი ყველა ეროვნების მისამართით ამბობს:

„ღარიბონ ხალხო, ღუკმას რომ გაცლის,
რაში გვირდება მეფე ცმიერი“.

შევჩენკოს პოეზია გამდიდრდა აქტიური ელემენტით, — მოქმედი და პრაქ-
ტიკული შინაარსით. რუს რევოლუციონერთა იდეური ზეგავლენით შევჩენ-

კოში შემუშავდა ლრმად უტილიტარული ესთეტიკური გემოვნება. იგი პოეზიას უყურებდა, როგორც ისეთ პრაქტიკულ, მოქნილ ჭაშუალებას, რომელსაც უნდა გაეღვიძებინა ხალხი აქტიური ბრძოლისათვის. მის მხერ დახატული ყოველი ტიპური მოვლენა ამ დანიშნულებას ემსახურებოდა. ამრიგად, ტარას შევჩენკოს რეალიზმი იბიექტურადაც და სუბიექტურადაც რევოლუციური იყო. მისი რეალიზმი რადიკალურად განსხვავდება კრიტიკული რეალიზმის: წარმომაზდგნებ მწერლების რეალიზმისაგან, განსხვავდება იმით, რომ კრიტიკული რეალიზმი ახერხებდა ეჩვენებინა ტიპიური გარემო, მაგრამ არ მოუწოდებდა მკითხველს აქტიური მოქმედებისაკენ ამ გარემოს შეცვლისათვის. იგი მხოლოდ იბიექტურად ასრულებდა ასეთ როლს მწერლის მსოფლმხედველობის დამოუკიდებლად. შევჩენკოს რეალიზმისათვის, ისე, როგორც, მაგალითად, დიდი რუსი რევოლუციონერი მწერლის ნეკრასოვის რეალიზმისათვის, დამახასიერებელი იყო აქტიური მოქმედება, არსებულის შეცვლა რევოლუციური ძალატანების გზით.

შევჩენკოს პოეზიისა და მისი რეალიზმის სუსტი მხარე, რასაც არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ, იყო ის, რაც დამახასიათებელი იყო მთელი იმღროინდელი რევოლუციური თაობისათვის. ეს იყო გადაჭარბებული შეფასება გლეხობის რევოლუციური ძალისა. გლეხური სოციალიზმის წარმომაზდგნენლებთან ერთად შევჩენკოსათვისაც არ არსებობდა სხვა რევოლუციური კლასი. ამიტომ, განსხვავდებულად კრიტიკული რეალიზმის მწერლობისაგან, რომლებიც რეფორმების გზით ცდილობდნენ ცხოვრების გაუმჯობესებას, შევჩენკო უფრო მუშავი ფერებითა და მძაფრად გვიხატავს გლეხის ტიპებს. შევჩენკოს გლეხები უფრო ღარიბები, გაძვალტყავებულები, უუფლებონი და უკანასკნელი არიან.

ტარას შევჩენკოს მსოფლმხედველობრივი ევოლუცია მის პოეზიაში კიდევ იმით იგრძნობა, რომ ორმოცდაათიანი წლების დასასრულისათვის მასში მტკიცედ დამკიციდრდა რწმენა თავისუფლების გამარჯვებისა და თვითმშერბელობის დამხობისა. მას სწამდა, რომ ხალხი გაერთიანდებოდა, ერთი შეგნებით დამახობდა ცარიზმს და მეფეს სახერჩობელაზე აიყვანდა:

„ოთ, ტოჯვა, ტანჯვა, გულო ილრინე,
ჰო, დარდო ჩემო და კაშანო
როდის გაიღლი? ან იქნებ შეფერ
მოგსპოლ სასტიკი თავის ლეკვებით,
მინისტრ-მანების მაგარ ჩემშებით.
ვეღარ დაგლევენ! ხალხი შეგნებით
სრულიდით, როგორც გამოფენაზე
მეფეს აიყვანს სახერჩობელაზე“.
(„ვიცი არ სცემენ შეეყნან წაქცეულს“, თარგმ. ს. ჩიჭევანისა).

პოეტი დარწმუნებული იყო, რომ მალე მოვიდოდა დრო, როცა „ჩვენი მზის ცეცხლი, მტარვალებს შთანთქას, სამართალს შეცვლის“. სიმართლესადაც და სამართალს მოწყურებული პოეტი ერთ თავის ლექსში სკამს კითხვას: და დასჯიან თუ არა მეფეს დედამიწაზე? იქნება თუ არა „გაასამართლებენ და დასჯიან თუ არა მეფეს დედამიწაზე? იქნება თუ არა სამართალი დედამიწაზე? და ლრმად დაჯარებული უპასუხებს: „უნდა იყო! სამართალი დედამიწაზე? და გადაბუგავს წაბილწულ მიწას!“. ტარას შევსხვანაირად მზე გაჩერდება და გადაბუგავს წაბილწულ მიწას!

„ამოდის მზე — და მას დღეც მოჰყება,
დღე სიმართლის, სიცოცხლის მფენი,

შეცყად სიმართლე აწ დამყარდება!..

შეფორმიაქტნენ უკვე მეფენა!..

(1860 წ. „აქაც და სხვაგან“, თარგმ. იასამანისა).

თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი და გამარჯვების ჩრდენა შევჩენ-კოს პოეზიაში შემდეგ ოდანეად აღარ შესუსტებულია. სევდა და ნაღველი, რომელსაც ვხვდებით მის ამ პერიოდის შემოქმედებაშიც, პოეტის უიმელობას აღარ გამოხატავს. ამ „სევდაში“ მემბოხე პოეტის მღელვარე სული მოსჩანს.

ორმოცდათათა წლებში, როცა მეფე საგლეხო რეფორმას ამზადებდა ზევი-დან და ლიბერალები (და ზოგიერთი რევოლუციონერიც კი) ილუზიამ გაი-ტაცა, თითქოს მეფე ბატონყმობის გაუქმებით შეამსუბუქებდა ხალხის ცხოვ-რებას, შევჩენკო არ მოტყუებულა, იგი დასკინძოდა ლიბერალთა ყალბ ილუ-ზიას და უფრო გაბედულად სთესდა აქტიური მოქმედების იდგას. პოეტი ხე-დავდა, რომ თავისუფლება თავისთავად არ მოღიოდა, რომ არ შეიძლებოდა დამშვიდებული ლოდინი, რომ საჭირო იყო ძალა, ორგანიზებული აჯანყება გლეხებისა და შეუბრალებელი მეფის დამხობა.

ნუ უცდით კეთილს, — ეუბნებოდა პოეტი ხალხს, — ნუ უცდით სასურ-ველ თავისუფლებას — მან დაიძინა: იგი მიაძინა მეფე ნიკოლოზმა და რომ გავაღეიძოთ ჩახშობილი თავისუფლება, საჭიროა დავაფოლადოთ ნილრი, კარ-გად გავლესოთ ცულები და დაფრწყოთ მაშინ აჯანყება.

და თუ ყველა ამის შემდეგ ტარას გრიგოლისძე შევჩენკო თავისი მსოფლ-შეცველობით მაინც ვერ გასცდა გლეხურ-დემოქრატიულ იდეოლოგიას და უკეთეს შემთხვევაში იგი ამაღლდა მხოლოდ ამ იდეოლოგიის რევოლუციურ მწვერვალამდე, ამის მიზეზი თვით იმ ეპოქაში უნდა ვეძიოთ. შევჩენკოს დროის რუსეთი და უკრაინა ჯერ კიდევ ფეოდალურ-გლეხური იყო. ქალა-ჭად ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზებული, საქამაღ მომზადებული და შეკავში-რებული პროლეტარიატი, ბურჟუაზია აკვნიდანვე რეაქციული და ლიბერა-ლური იყო. იგი ფეხშევეშ ეგბოდა ცარიზმს და მუხლებს იღრეკდა მის წინაშე. ასეთ საზოგადოებრივ-ისტორიულ ვითარებაში შეუძლებელი იყო უკრაინელი გლეხი, თვითსწავლით განვითარებული ინტელიგენტი, რომელმაც შეგნებუ-ლი ცხოვრების დიდი ნაწილი ციხესა და გადასახლებაშ გაატარა, პროლეტა-რული რევოლუციის შეგნებამდე ამაღლებულიყო.

ამას შევჩენკოს არავინ არ სთხოეს! მისმა იარომამ და კატერინამ კი, სო-ციალისტურ რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

*

*

ტარას შევჩენკოს მნიშვნელობა დიდი იყო უკრაინის ხალხის ცხოვრების განვითარების ისტორიაში, მისი პოეზია აქტიურად ეხმარებოდა შემდეგში პროლეტარიატს თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ პრძოლაში. იგი გვეხმარება დღესაც უდიდესი სიმართლითა და ტიპიურად შევიცნოთ და დავინახოთ ჩევნი ხალხის მძიმე ისტორიული წარსული.

ტარას შევჩენკოს პოეზიაში, რომელც ალქურვილი არის ყველა იმ საუ-კეთესო თვისებებით, რაც დამახასიათებელია ხალხური პოეზიისათვის და თა-ვისი დროის დიდი ლიტერატურისათვის, აღიზარდა მრავალი ლიტერატურუ-ლი თაობა. მისი პოეზიის მაღლით დიდად არიან დავალიანებული უკრაინის საბჭოთა მწერლებიც. შევჩენკოს ლექსები შემდეგშიაც დადგინდან დარჩება პოე-ტური ასტრატობის მწვერვალად, რაღაც ისინი, დობრილუბოვის სიტყვებით რომ ესთქვათ, სწორედ იმით გამოიჩინევიან, რომ მათში ხელოვნური არაფერი

არ არის, რომ იქ მოცემულია უკრაინის მთელი წარსული ბედი, მთელი მისი იმდროინდელი ხასიათი.

შევჩენკოს პოეზია ყველთვის შეინარჩუნებს აღამიანის სულზე ჯადოქრულ მოქმედების ხალას, რადგან ის „გასაგები და მახლობელია, საერთოდ, ყველა-სათვის, ვისაც მთლიანად არ შეურყვნია თავისი საუკეთესო აღამიანურა ინსტიქტები“ (დობროლუბოვი). შევჩენკო ერთი ლექსითვე გხიბლავთ და სულის სილრმემდე იმსჭვალებით მისაღმი სიყვარულით, რადგან მათში გრძნობთ ხალას და უმწიკელო განცდებს თავისუფლებისათვის მებრძოლობალებისას, ყველა ერის ჩაგრულებისადმი მხურვალე თანაგრძნობას. შევჩენკოს პოეზიაში მკითხველი დიდს სოციალურ იდეებთან ერთად განიცდის ინტერ-ნაციონალიზმის სულს. აღნიშნავდა რა ყველა იმ ლირსშესანიშნავ თვისებებს, ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ უკრაინის ლიტერატურა, რომელსაც ისეთი პოეტი ჰყავს, როგორიც შევჩენკოა, არავის მოწყალებას არ საჭიროებსა. ამასთან თავის პოლიტიკურ ბრძოლაში უკრაინის ნაციონალისტების წინააღმდეგ ნ. ჩერნიშევსკი ემყარებოდა შევჩენკოს შემოქმედებას და სიამაყით აღნიშნავდა, რომ „არავითარ წინააღმდეგობას არ შეუძლიან შეარყიოს მისი აზრები უკრაინის საკითხებში, რადგან ეს აზრები ემყარებიან ისეთ ავტორიტეტს, როგორიც არის შევჩენკო“.

ასევე დიდად აფასებდა ვ. ლენინი შევჩენკოს პოეზიას და ხაზს უსვამდა. მას მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ შეაქვთ ბოლშევიკებს ტარას შევჩენკოს შემოქმედება სოციალისტური კულტურის დიად საუნჯეში. ამიტომ პპოვა ტარას შევჩენკომ ნამდვილი დაფასება გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში, დიად სტალინურ ეპოქაში.

ა. ი. ლერმონთვის ქართველი ნაცნობები

პრასკოვია ახგენიძევი

მთაწმინდის კალთაზე, ალექსანდრე, ჭავჭავაძის ბინის მახლობელ ბოგირზე გადასვლისას გასული საუკუნის დასაწყისშივე ადვილად შესამჩნევი იყო კავკასიის არტილერიის უფროსის გენერალ თედორე ისაიას-ძე ახვერდოვის ძვირფას ბალიანი ლამაზი სახლი.

ახვერდოეს ცოლად ჰყავდა პრასკოვია ნიკოლოზის-ასული არსენიევი, რომელიც ლერმონტოვის დედის ბიძაშვილი იყო.

„პრასკოვია ნიკოლოზის-ასული ახვერდოვი, — გვიამბობს მისი ქალიშვილი, — მამით ეკუთხნოდა ძევლი დროიდანვე იმ სახელგანთქმულ არსენიევების გვარს, რომელმაც რუსეთს არაერთი და ორი ცნობილი მოღვაწე მისცა. მათ შორის მ. ი. ლერმონტოვიც.“

პრასკოვია ნიკოლოზის-ასულს პეტერბურგში ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული.

იგი წარმატებით ეწეოდა სამხატვრო საქმეს, განსაკუთრებით კი ფერწერას. თავის დროზე ის ითვლებოდა ერმიტაჟის სურათებიდან ასლების გადმოღების ცნობილ ოსტატად, რომელსაც უფლება ჰქონდა წაელო ისინი ზაფხულობით თავის აგარაკზე პავლოვსკში.

ის სკრიდა ხეზე და ძვალზე სხვადასხვაგვარ მხატვრულ ფიგურას. ზედმიწევნით უყვარდა მუსიკა და თეითონაც საუკეთესოდ უკრავდა. კითხულობდა ძალიან ბევრს და იყო ლიტერატურის საუცხოო მცოდნე.

იონა მეუნარვია ერთ თავის დაუბეჭდავ შენიშვნაში მასზე სრულიად სამართლიანად წერს: „ეს პირველი ქალი იყო თბილისში რუსულად გაზრდილი“.

ოჯახის დიასახლისის ყველა ამ ღირსებით გამო; ახვერდოვების სახლი ექუთვნოდა იმ მეტად მცირერიცხოვან სახლთა რიგს, სადაც განათლებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებისადმი სიყვარული ყოველოვის გულწრფელ სტუმართმოყვარეობით იყო გაღაჯაჭვული.

ამ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ ქართველი არისტოკრატიის მოწინავე ნაწილი დაახლოებასა და დამოყვრებას ცდილობდა ახვერდოვების ოჯახთან.

პრასკოვია ნიკოლოზის-ასულს ზედიზედ ანათვლინებდნენ ახალშობილებს, რომ ბავშვი მისი მეთვალყურეობის ქვეშ „ევროპულ ყაიდაზე“ აღზრდილიყო.

მე მაქას ერთი ასეთი შემთხვევის დოკუმენტი, საეკლესიო ჩანაწერი სიონის ექლესის მეტრიკული წიგნისა:

„1818 წელი.

თვე და რიცხვი დაბადების დღისა?

თოუესა ნოემბერსა ტფილისში

მცხოვრებს კნიაზ თუმანოვს გიორგის დაბადა ქალი სახლი გაუნათლა და მონათლა იოსებ ავალიანშა, სახელი ეწოდა ვარგარე.

თვე და რიცხვი მონათვლისა დღისა?

დეკემბრის 16.

გან იყო მიმქმელად ანუ ნათლიად?

მიმქმელად იყო ლენერალ მაიორის ახვერდოვის მეუღლე პარასკევა“.

1818 წელს ვ პრასკოვია ნიკოლოზის-ასულმა დაპკრგა მეუღლე და რადგან საქართველოს დატოვება არ უნდოდა, სამუდამოდ დარჩა ტფილისში. ის ცხოვრობდა ქმრის პენსიოთა და მამულის შემოსავლით:

ახლადაქვერივებულმა „გულისგადასაყოლებლად“ და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად პატარა პანსიონი გახსნა, რომელშიც თავისი უახლოესი მეგობრების რამდენიმე ბავშვი ჰყავდა აყვანილი აღსაზრდელად.

პატარა ნინო, შემდეგ ეკატერინე და დავითიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ ახვერდოვის ქალს მიაბარა.

ამ პანსიონში იმზანად იჩრდებოდნენ: პრასკოვია ნიკოლოზის-ასულის გერი — ეგორუშეა. სახლის უფროსის ძმის შვილი — ანნა. ანდრიას-ასული ახვერდოვა, მარიამ ივანეს-ასული ორბელიანი, სოფიო ივანეს-ასული ორბელიანი, პრასკოვიას ნათლული ბარბარე გიორგის-ასული თუმანიშვილი, დიასახლისის ქალიშვილი — დარია და სხვები.

ხელსაქმის, ხატვისა და ენგების შესწავლის საქმეს გნაგებდა თვითონ ახერდოვის ქალი, ხოლო მუსიკის მასწავლებლად მას მოწვეული ჰყავდა კაპელმეისტერი, კომპოზიტორი ი. ა. სოკოლოვსკი, რომელიც 1830 წელს ხოლერით გარდაიცვალა ტფილისში.

ახვერდოვის სახლი ერთგვარი სალონი იყო, სადაც ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარულნი იყრიდნენ თავს.

პრასკოვია ნიკოლოზის-ასულის პანსიონის ლამაზმანებს არაერთი და ორი შოტტფიალე მიუზიდიათ ახვერდოვებთან და მათი ოჯახის მეგობრად გაუხდიათ.

პირველ რიგში მოხსენებულ უნდა იქნას ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვი. დარია თედორეს-ასული ახვერდოვი — ხარლამოვისა გაღმოგვცემს:

„გრიბოედოვი ხშირად მიდიოდა სტუმარომიყვარე ახვერდოვებთან და ეძლეოდა მუსიკას. უქრავდა არა მარტო თავისითის, არამედ იმ მრავალრიცხოვან მოზრდილებისა და ბავშვებისათვისაც, რომლებიც ცხოვრობდნენ გენერლის მეუღლესთან დიდ ბინაში.“

ჩვეულებრივად გრიბოედოვი თუ კარგ გუნდაზე იყო და ახვერდოვებთან ნაკლებად ნაცნობი სტუმები არ ისხნენ, იგი სადილობის დამთავრებისთანავე ეტყვოდა ბავშვებს: „ბავშვებო, წამოდით, ვიცეპრო“ და გასწევდა სადარბაზო თათახში.

მიუჯდებოდა ფორტოპიანოს ისე, რომ ეცნირა ბავშვებისათვის, უკრავდა საცეკვაობებს თავის საკუთარ კომპოზიციისას. როცა ბავშვები ცეკვით გულს იჯერებდნენ, გადადიოდა სხვა იმპროვიზაციებზე და ხშირად მთელს საღამოს საკრავთან ატარებდა.

სოფიო ორბელიანს ჩვეულებად ჰქონდა ძლიერ ახლო მისელა ფორტოპიანოსთან, აღბათ იმიტომ, რომ უფრო კარგად მოესმინა მუსიკა. ეს არ მოსწონდა გრიბოედოვს. საფინალო აკორდის შემდეგ იგი მსუბუქად დაპკრავდა მას ხელს წამოზნექილ მუცელზე, რაც სოფიოს გაქცევას იწვევდა ხოლმე“

პანსიონში მყოფ ეკატერინე ჭავჭავაძის ეშით არაერთხელ მოსულა აქ ნაკოლოზ ბარათაშვილიც.

ჩემის აზრით სწორეთ ახვერდოვებისას მოისმინა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოცარტის ის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც დიდებულმა კომპოზიტორმა, პრასკოვია ნიკოლოზის-ასულის უახლოესი ნათესავის რუს დიპლომატია ური მოღვაწის ალ. არსენიევის (1751-1841) სახლში შეასრულა.

ვინ იცის იქნებ თვითონ ახვერდოვის ქალის თხოვნით და შექვეთით არის 6. ბარათაშვილის მიერ ქართულად გადმოღებული მოცარტისაგან არსენიევისადმი მიძღვნილი სონატა, რუსულად „კლიუჩს“ რომ ეძახიან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ განწყობილებას საუკეთესოდ გამოხატავდა ეს სიმღერა, რომელსაც პოეტი ახვერდოვებთან ისმენდა, იქნებ თვითონ პრასკოვია ნიკოლოზის-ასულის პანსიონერ ეკატერინე ჭავჭავაძის შესრულებით.

ეკატერინე ჭავჭავაძის უზადო ხმა ხომ ასე შეაქო ბარათაშვილმა თავის-ლექსში „თავადის ჭავჭავაძის ასულს, ექატერინას“:

ხშით მშენიერით,
ტაბილი სიმღერით:
ჰაეროვანო, სულს ელნინები...

არსენიევების სახლში პირველად დარხეული მოცარტის სიმფონია ნიკოლოზ ბარათაშვილმა ეკატერინე ჭავჭავაძის შთავონებით გადმოიღო ქართულად.

სრულიად სამართლიანად შენიშნავს ამის გამო პოეტი გიორგი ლეონიძე: „ლექსის „როს ბეღნიერი ვარ“ — მიზეზია პოეტის სიყვარული — ეკატერინე ჭავჭავაძე“.

აი თვითონ ლექსი:

როს ბეღნიერ ვაჩ, შენთან ყოფნითა,
ლიმილით გეხბარ მაისს დღეს,
მე შეს თვალებში ვევრეტ სამოთხესა,
და მათი მევრეტი ვიწევ, ცეცხლით!
არ დაიჯერებ თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
თუ ვით სატრფო ხარ.

როს უბედურ მყოფს მე მოშორება
გონება მტაცის მშენიერების,
გვისოდი მოწყინებით უამთ მემუნვარების
და სევდა გლახ გულს დამეფარება!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ხან ძილსა იქრთობს, ხან სევდით ოხრავს,
ხანცა ყოველ სულს ამხიარულებს,
ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
ხან ჰყება სოფელს, ხან ცად მოფინავს,
არ დაიჯერებ თუ ვით სატრფო ხარ!“

როცა ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებმა პანსიონის „კურსი“ შეასრულება, მათ მეიდრო ურთიერთობა და უახლოესი შეგობრობა დაამყარეს ახვერდოვის ქალთან.

ეს დამკიდებულება მათ სიკვდილამდე არ შეუცვლიათ.

1834 წლის აპრილში ახვერდოვი პეტერბურგს განემზადა წასასვლელად: 27 აპრილს დეკაბრისტი კუხელბეკერი თავის დისტულებს გლინკებს წერდა:

„როდის გადახვალთ თქვენ პავლოვსკში? ძალიან მოხარული ვარ, რომ პრასკოვია ნიკოლოზის ასული და იუსტინია ვასილის-ასული ამ ზაფხულს თქვენს მახლობლად იქნებიან. — გთხოვთ მაუწყოთ ხოლმე, როგორც ერთას, ისე მეორეს შესახებაც“.

პეტერბურგიდან ახვერდოვი პავლოვსკში გადავიდა და მალე უკან დაბრუნდა ტფილისში.

1836 წლის 21 ივნისს ის კვლავ ესტუმრა პეტერბურგს.

პრასკოვია ნიკოლოზის ასულს პეტერბურგში ჩასვლისთანავე უამრავი ნაცნობები, ნათესავები და მეგობრები ეხვეოდნენ ხოლმე.

ვ. კუხელბეკერი თავის ღლიურში წერს:

„დედაჩემისაგან მივიღე წერილი. ფასტაუდებელია ჩემთვის ის, რომ მან იმსაათშივე ინახულა ჩემი მეგობარი პრასკოვია ნიკოლოზის ასული ახვერ-ცოვი, როგორც კი შეიტყო, რომ ახვერდოვი პეტერბურგშია. შემიძლია წარ-მოვიდგინოთ მათი საუბარი! არა ერთგზის მოიხსნებოდნენ ისინი ჩემ მეგობარ გრიბოედოვს, ამაში ეჭვი არ მეპარება“.

პეტერბურგში იმზანდ იყო ლერმონტოვიც. ყოვლად შეუძლებელია, რომ ახვერდოვი არ მისულიყო თავის მონათესავის ოჯახში.

1837 წელს ტფილისში გადმოსახლებული ლერმონტოვი, ჩასკვირელია, ინახულებდა თავის ღლის ბიძაშვილს.

1840 წელს ახვერდოვი კვლავ პეტერბურგს იმყოფებოდა.

ლენინგრადში სალტიკოვ-შედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია მ. ი. ლერმონტოვის ერთერთი ალბომი. ამ ალბომში ლერმონტოვის ხელით 1840 წელს ჩაწერილია პრასკოვია ნიკოლოზის-ასულ ახვერდოვის პე-ტერბურგული მისამართი.

პრასკოვია გარდაიცვალა 1851 წელს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

(1786-1846)

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ტამბოვს გადასახლებული, ალექსანდრე ჭავჭავაძე ორიოდე წლის შემდეგ პეტერბურგში გადაიყენეს.

ეკატერინე დელოფლის ნათლულს სატახტო ჭალაქში ყველანი პატივისცა-მით ეპყრობოდნენ.

გრიგოლ ოჩელიანი ალექსანდრე ჭავჭავაძის მეულლე სალომეს 1835 წლის 25 ივნისს წერდა:

„ამას წინათ ვნახე ლენერალ-ლეიტენანტი ბარონ როჩენი, რომელიცა იყო დივიზიონი კამანდირათ საქართველოში. მიამბო თქვენი ამბავი, კნიაზისა (ალექსანდრე ჭავჭავაძის — ი. ბ.) რომელიცა ენახა პეტერბურგში. ვიცი რომ კნიაზი ძალიან კარგად არის მიღებული პეტერბურგში“.

1836 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ჩავიდა გრიბოედოვის ქვრივიც — ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე.

იმავე წლის 21 ივნისს პეტერბურგში ჩამოსულმა პრასკოვია ნიკოლოზის, ასულმა ახვერდოვმა ალექსანდრე ჭავჭავაძეს დედის გარდაცვალება. აუწყა და თან ნიკოლოზ ფალავანდიშვილისაგან გამოტანებული წერილი გადასცა.

ბარათის მიღების მეორე დღეს ურევითაღვისილი ალექსანდრე ჭავჭავაძე 1836 წლის 22 ივნისს პეტერბურგიდან წერდა ნიკოლოზ ფალავანდიშვილს:

4. „ჩვენი თაობა“, № 4.

„პრასკოვია ნიკოლაევისაგან ვცან გუშინ, ჩემზედ მოწევნილი უბედურება, რომლისაც გაგონებას ყოველდღე მოველოდი; და თქვენი წიგნი ამისგანვე მივიღე“.

ბუნებრივად იბადება საკითხი, შეახვედრა თუ არა პრასკოვია ნიკოლაზის ასულმა ლერმონტოვს ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნინო გრიბოედოვი, მე მგონია, შეახველრა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე; ნინო გრიბოედოვი და პრასკოვია ახვერდოვი ისევ პეტერბურგში იყვნენ, როცა 1837 წლის 29 იანვარს გარდაცვლილ პუშკინის ამბავი მოედო ქალაქში.

ივანე პანაევი წერდა:

„პუშკინის ტრაგიკულმა სიკვდილმა გამოაღვიძა და შეარყია მრელი პეტერბურგი. ქალაქში. არაჩვეულებრივი მოძრაობა შეიქნა. მოიკასთან, პევჩევსკის ხილთან გასასვლელი აღარ იყო.“

ხალხის ბრძოები და ეკიპაჟები დილიდან საღამომდე გარს ერტყნენ სახლს. მეეტლებს მარტივად ეუბნებოდნენ: „პუშკინთან“ და მეეტლებსაც პირდაპირ იქ მიყავდათ.

პეტერბურგის მცხოვრებთა ყველა კლასი, წერაკითხვის უცოდინარიც კასთოლიდნენ თავს ვალდებულად მისულიყვნენ და თაყვანი ეცათ პოეტის ცხედრისთვის“.

პეტერბურგში მაშინ მყოფი მიხეილ იურისძე ლერმონტოვი, მართალია პირადად არ იცნობდა პუშკინს, მაგრამ პატივს სცემდა და უყვირდა იგი.

პუშკინის შემაძრწუნებელი მკვლელობის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ მან, როგორც ა. შან-გირეი გაღმოგვცემს „ერთი ჩაჯდომით დასწერა რამდენიმე ტაქპი, რომლებმაც ორ დღეში მჟღალი ქალაქი მოიარეს“.

ამ ლექსია აშეარად დაარწმუნა ყველანი, რომ დანტესთან ორთაბრძოლის დროს დაცემულ პუშკინის სიკვდილში სისხლისმსმელი მონარქის ხელი ერია.

ივ. პანაევი თავის მოგონებებში გვიამბობს: ლერმონტოვის ლექსს „პოეტის სიკვდილზე“ ათასეული ეგზემპლარობით იწერდნენ, კითხულობდნენ და იზეპირებდნენ“.

ნაკლებად ცნობილი გუსართა პოლკის კორნეტი მიხეილ ლერმონტოვი ამ ლექსის შემდეგ უპატულარესი და თითოთ საჩერებელი პოეტი გახდა მთელს რუსეთში. გრაფი სალოგუბი წერდა:

„პუშკინის სიკვდილმა რუსეთს ახალი პოეტის ლერმონტოვის მოვლინება აუწყა“.

ამ ლექსის გამო ლერმონტოვი დააპატიმრეს პეტერბურგში და 1837 წლის 27 თებერვალის ბრძანებით ჩინით დაქვეითებული საქართველოში მდგომ ნიუეგორილს დრაგუნთა პოლკში გამოამწესეს. ნიუეგორილის დრაგუნთა პოლკი მაშინ კახეთში — ყარალაჯში იღვა.

დაიწყო კიდევ სხვა „არაკეთილსამედო“ პირებისაგან პეტერბურგის განტვირთვა. ჯერი მიღდა ალექსანდრე ჭავჭავაძეზე.

ნიკოლოზ პირველმა „აპატია დანაშაული“ ა. ჭავჭავაძეს და სასწრაფო საქართველოში დაბრუნდა.

1837 წლის ობერვლის შუა რიცხვებში პეტერბურგიდან ტფილისში და ბრუნებულმა ნინო ჭავჭავაძემ, თავის ნაცნობ მეგობრებს, პეტერბურგის სხვა ახალ ამბებთან ერთად პუშკინის სიკვდილის თავზარდამცემი ცნობაც გადასცა.

ჩემის აზრით, სწორედ ნინო ჭავჭავაძეს ჰულისხმობდა ალექსანდრე ბესტუ-ევ-მარლინსკი, როცა ფრანგულ ენზე ტფილისიდან ძმისაღმი გაგზავნილ ბარათში წერდა:

„პუშკინის დალუპვის ეს ახალი ამბავი მე მაცნობა ერთმა მომჯაზოებელმა ქალმა“.

პუშკინის უღროოდ დალუპვამ უაღრესად აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობაც.

ერთნი ჰყიცხავდნენ და აგინებდნენ პოეტის შეკვლელს დანტესს, ხოლო მეორენი მზად იყვნენ სასიკვდილოდ შებმოდნენ მას.

მეორე ჯგუფის სულისკვეთებას საუცხოოდ გამოხატავენ 1832 წლის შეთქმულების ცნობილ მონაწილისა და სახელგანთქმულ მეომრის — მამუკა ორბელიანის მიერ ტფილისში ალექსანდრე ბესტუ-ევ-მარლინის თქმული სიტყვები.

1837 წლის 23 ობერვალს ალექსანდრე ბესტუ-ევ-მარლინისიდან ფრანგულად დაწერილ ბარათში თავის ძმას პავლეს ატყობინებდა:

„როცა მე წავიკითხე მამუკა ორბელიანისადმი მიწერილი თქვენი წერილი, მან წყველითა და კრულვით გამიცხადა: „მე რომ ოდესმე საღმე შევხვდე იმ დანტესს, მას აუცილებლად მოვკლავ“.“

გულად ქართველ რაინდს არ მიეცა საშუალება პირისპირ შეჰყროდა პუშკინის შეკვლელს.

პუშკინის სიკვდილის შემაძრწუნებელ ცნობასთან ერთად საქართველოში ლერმონტოვის სახელიც დაირჩა.

1837 წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში ლერმონტოვი უკვე საქართველოში, ყარაღაჯში იყო.

ყარაღაჯში ნიუეგოროდის დრაგუნდთა პოლკი იღვა, საღაც გაღმოიყვნეს ლერმონტოვი.

ამ ხანებში ჭავჭავაძენი საკუთარ მამულ წინანდალში ისვენებდნენ.

„წინანდალს“ წინათ „კახეთს“ ეძახდნენ ისევე, როგორც ტფილის, „ქალაქს“ უწოდებდნენ. ტფილისის გამო სოფრომ მგალობლიშვილი 1910 წელს წერდა:

„ქალაქს დაბალი ხალხი ძევლადაც და ეხლაც თბილისს ეძახის; სხვა ქალაქებს ქალაქებად არა სოფლიდა და ამიტომ სახელით იხსნიებდა. როცა თბილისში მოდის გლეხი, თავის დღეში არ იტყვის, თბილისს მივდივარო, არამედ იტყვის ქალაქს მივდივარო“.“

ასევე იყო „წინანდალის“ შესახებ.

1835 წლის 13 მაისს მანანა ორბელიანი ტფილისიდან ატყობინებდა გრიგორ იორბელიანს:

„მე ხომ კახეთს ვიყავ, ესე იგი წინანდალში, უცხოდ შავექეც“.“

ჩემის აზრით ასევე კახეთზე ლაპარაკისას „წინანდალს“ ჰელისხმობდა ლერმონტოვი, როცა ს. რაევსკისაღმი გაგზავნილ ბარათში წერდა:

„მას შემდეგ, რაც რუსეთიდან წამოვდი, ეს ხანი განუწყვეტელ მგზავრობაში გავატარე, ხან ფოსტის ურმით, ხან ცხენით.“

მოვიარე მთელი ხაზი ყიზლარიდან მოყოლებული ტამანამდე, გადავიარე მთები, ვიყავი შუშაში, ყუბანში, შემახაში, კახეთში; ჩერქეზულად გა-მოწყობილი, მხარზე თოფგადაგდებული.

ღმეს ვათევდი ტრიალ მინდორში, ვიძინებდი ტურების ჰყავილში, ვჭამდა ჭართულ პურს, ასე გასინჯე კახურსაც ესვამდი".

რა თქმა უნდა, რომ „კახეთში“ ლერმონტოვი „ყარალაჯს“ არ გულისხმობს ყარალაჯში, როგორც აღნიშნული მქონდა, იდგა ნიუეგორიოდის ცრაგუნთა პოლკი, რომელშიც ლერმონტოვი მსახურობდა. ამა რომელი სამხედრო უწყება მისცემდა მას ნებას „მხარზე თოფგადაკიდებულს“ ლაშეები ეთია ტრიალ მინდორში, „ეჭამა ქართული პური და ესვა კახური“. ცარ ეჭამა ქართული პური და ესვა კახური".

ცხადია, რაც „კახეთშეა“ ნათქვამი ლერმონტოვის მიერ, ყველაფერი ეს „წინანდალს“ შეეხება.

ლერმონტოვი ძალიან კარგად იცნობდა წინანდალს და იგი მოხსენებულიც აქვს. „დემონში“ ვკითხულობთ:

Измучив доброго коня,
На брачный пир к закату дня
Спешил жених нетерпеливый.
Арагва светлей он счастливо
Достиг зеленых берегов

Он сам, властитель, Синодала,
Ведет богатый караван.

აღწერით ეს ადგილი „წინანდალია“, მაგრამ ლერმონტოვი მას „სინოდალს“ ეძახის.

ლერმონტოვის ნათესავი ა. შან-გირე წერდა ამის გამო: „სქართველოში არ არის სინოდალი, მაგრამ არის წინანდალი, უძველესი სასახლე კახეთის მომხიბლავ მხარეში, რომელიც ჭავჭავაძეებს ეკუთხნის“.

რატომ გააკეთა ეს შენიშვნა შან-გირეიმ? იმიტომ, რომ მან იცოდა „დემონში“ თამარის სასიძოდ ლერმონტოვს გან-ზრახული პქონდა გამოეყვანა „მფლობელი წინანდალისა“ ალექსანდრე ჭავ-ჭავაძე და გაუკვირდა, როცა პოემის საბოლოო ტექსტში ეწერა „მფლობელი სინოდალისა“.

ნუთუ ისე ცუდად იცნობდა ლერმონტოვი „წინანდალს“, რომ შეცდომით „სინოდალი“ დაწერა.

რასაკვირველია, არა.

რომ ყოფილიყო „მფლობელი წინანდალისა“, ყველაზი მიხვდებოდნენ, რომ საუბარი ალექსანდრე ჭავჭავაძეზეა და ჭავჭავაძის სიცოცხლეში ლერმონტოვისთვის ერთგვარი უხერხულობა იყო.

შაშასაღამე „კახეთში“, ე. ი. წინანდალში მყოფი ლერმონტოვი სჭამდა ქართულ პურს, სვამდა „კახურს“ და უდარდელად ატარებდა დროს.

სად უნდა ყოფილიყო ეს, თუ არ წინანდალის ერთადერთ სახლში, „წინანდალის მფლობელ“ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომელიც ყოველწლიურად ადრიან გაზაფხულიდან, გვიან შემოდგომამდე წინანდალში იმყოფებოდა.

ლერმონტოვს ამ პერიოდში უკვე გადაწყვეტილი პქონდა დაეწერა რომანი კავკასიის ცხოვრებიდან.

გლებოვი ამბობს, რომ „ამ რომანში აღწერილი უნდა ყოფილიყო: „ერმოლოვის დროის თბილისი, სპარსეთთან ბრძოლები და თეირანის გატასტროფი, რომელშიც დაიღუპა გრიბოედოვი“.

არავითარი ბეჭვდითი წყაროები მაშინ არ ასებობდა. ლერმონტოვს ერთად ერთი გზა ჰქონდა დაეთვალიერებინა განზრახულ რომანის არე და დაეკითხა ამის მცოდნენი და მომსწრენი.

„სპარსეთის ბრძოლები და „თეირანში გრიბოედოვის დაღუპვის აბავი“ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე და გრიბოედოვის მეუღლეზე უკუთესად ვინ იცოდა?

ლერმონტოვს წინანდალში გულუხვ მასპინძლობისას ისინი დაუკითხავნი არ დარჩებოდნენ.

წინანდლის შემდეგ მიხეილ ლერმონტოვი ალექსანდრე ჭავჭავაძეს თბილისში ხედებოდა.

პირველად 1837 წლის 10 ოქტომბერს დიღუბეში ნიკოლოზ პირველის საპატივუმულოდ გამართულ აღლუმზე შეხვდა ჯარების დათვალიერებისას.

ამ აღლუმზე საგანგებოდ ყარაღაჯილან ჩამოყვანილ იქნა ნიუეგორიოდის დრაგუნთა პოლკი, რომელშიც ლერმონტოვი იმყოფებოდა.

ჯარების გასინჯვისას იმპერატორმა გამოიძახა ლერმონტოვი, აპატია დანაშაული და ლეიბ გვარდიის გრინდოს პოლკში გადაიყვანა.

ამ აღლუმზევე იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელსაც აგრეთვე გამოელაპარაკა იმპერატორი. იონა მეუნარგია გაღმოგვეუში:

„1837 წელს ნიკოლოზ პავლეს ძემ ნახა ალექსანდრე ჭავჭავაძე პარადზე და მეს თავგადასავალზე ელაპარაკა“.

აღლუმის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურობამ ნიკოლოზ ბარათაშვილის მაისის მელიტონის თაოსნობით ბრწყინვალე ბალი გაუმართა ხელმწიფეს. ამ ბალს ესწრებოდა აღლუმში დასასწრებად ჩამოსული და თბილისში მყოფი მთელი უმცროსი და უფროსი სამხედრო შემაღლებლობა.

რა თქმა უნდა რომ მათ შორის იყვნენ ლერმონტოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მაიკო რებელიანი

ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად გამართულ ბალზე იმპერატორის ყურადღება გრაფინია სიმონიჩმა, ნინო გრიბოედოვამ და მაიკო ორბელიანმა მიიქცია.

1837 წლის 2 ნოემბერს უცნობი პირი თბილისიდან ატყობინებდა ბორის (ბაბანა) ჭილაშვილს:

„მისი აღმატებულების თბილისში ყოფნის მეოთხე დღეს იყო ბალი. ხელმწიფე განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო გრაფინია სიმონიჩთან, გრიბოედოვასთან და მაიკო ორბელიანთან; უკანასკნელი იყო მეტად მშენიერი და მადიანი, ასჯერ უკეთესი, ყველაზე უფრო წენიანი ტებილ ფორთხალზე“.

არანაკლებ მოეწონა მაიკო ორბელიანი ბალზე მყოფ მიხეილ იურის ძე ლერმონტოვსაც.

ბალზე მაიკო ორბელიანისა და მაია თუმანიშვილის სიმშენიერით მოხიბლულმა ლერმონტოვმა თავისი ლექსის „Спеша на север издалека“-ს ხელი გვერდზე ჩაინიშნა „Майко. Мая“.

მაიკო ქაიხოსროს-ასული ორბელიანი დაიბადა 1818 წელს.

მაიკო აღრესატია ნიკოლოზ ბარათაშვილის ყველაზე უფრო ლრმა, განცდიან და მელანქოლიურ ბარათებისა.

ამ მაიკო ორბელიანზე შეკვარებული იყო ლევან მელიქიშვილი, უახლოესი შეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

მ. ორბელიანი ლ. შელიქიშვილის ოფიციალურ საცოლედ ითვლებოდა წელთა განმავლობაში.

ნიკოლაზ ბარათაშვილი უდიდესი სიყვარულით, პატივისცემით და სინაზით ეპყრობოდა მაიკო ორბელიანს:

ერთადერთი ქალი, რომელსაც ამხანაგობდა და თავის „გულის ხვაშიად“ უზიარებდა ბარათაშვილი, იყო მაიკო.

ამ უახლოესი მეგობრობის დასადასტურებლად ნ. ბარათაშვილმა 1841 წელს თავისი ლექსების რვეული, უძლვნა მაიკო ორბელიანს შემდეგი წარწერით:

„დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყმაწველობისათა და შეიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა“.

1842 წლის შემოდგომიდან მაიკო ორბელიანს ჭლეჭმა დარია ხელი და ამის მეტე იგი უფრო ხშირად მოშორებული იყო თბილის. დასახელებული წლის 31 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა მას თბილისიდან:

„შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მაღლიერი იყოს ამ წუთისოფლისა.

დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიკებს და ამა სოფლისაგან-სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გწამდეს რომ იგინი შეურჩენელნი არიან!

თუმცა აქიმბაში არა კარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაჭვს ნასწავლი და თუ დამიჯვერებ, იმედი მაქვს, რომ გარეოს“.

1844 წელს ახალგორში გადახდილ ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ეკატერინეს ქორწილში იყო მაიკო ორბელიანიც.

ქართლიდან თბილისში მაიკოს ჩამოსვლა მითქმა-მოთქმას და „ორბელიანთა აულის“ ახმაურებას იწვევდა ხოლმე. 1845 წლის 9 თებერვალს ნიკოლოზ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს წერდა ნახიჩევანიდან:

„მაიკო, ეს რისაგან არის, რავი შენ მაგ ქალაჭმი ჩამოხვალ ქართლიდგან, მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდეს“?

რაც დრო გადიოდა ჯანმრთელობა მაიკო ორბელიანისა თანდათან უარესდებოდა. 1849 წლის 22 იანვარს დამწუხარებული ლევან მელიქიშვილი, ატყობინებდა ბ. ჭილაშვილს:

„ჩემი საცოლის მაიკო ორბელიანის გართულებული ავადმყოფობა არის მიზეზი, რომ აქამდე ვერ მოვახერხე აქედან წამოსვლა. ჩემდა საუბედუროდ მისი ჯანმრთელობა ისეთია, რომ სიზუსტით არ ძალიმის მოვახენონ თქვენს აღმატებულებას, თუ როდის შევიძლებ გამოცხადებას ჩემს აღგილზე.

უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას ფორმალურ შვებულების გა-ჩეშე დამრთოდ ნება დავრჩე აქ, ჩემი საცოლის ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე. უკეთუ თქვენს აღმატებულებას ეს შეუძლებლად მიაჩნია, მაშინ უბრძანეთ მაცნობონ და მე იმ საათშივე შევიტან თხოვნას შვებულებაში გა-შეების შესახებ“.

ამ ბარათის გაგზავნიდან მაიკო ორბელიანმა ოციოდე დღე იცოცხლა და გარდაიცვალა 1849 წლის 11 თებერვალს.

მაიკო ორბელიანის სილამაზით მოხიბლულმა რუსმა თაყვანისმცემლებმა დოლგორუკოვის, ჯერ დაუბეჭდავ, ოთხსტრიქონიანი ლექსით გამოიგლოვეს იგი.

Мако (К. Орбелиани)

И она когда-то восхищала
Но, теперь, увы! Уже предстала
В лучший край, где нет обмана ей!
А все жаль.. ведь нет ее милей!

ლევან მელიქიშვილიდან მაიკო ორბელიანს ყავდა შვილი ივანე, რომელიც მოჰქმდეს 1877 წელს ყარსის აღების დროს.

მაია თუშანიშვილი

ლერმონტოვის მიერ მაიკო ორბელიანთან მოხსენებული „Мая“ არის ეშეაშ თამაზ ორბელიანის ქალი მაია (მარიამ), ცნობილი იმ დროს თავისი სილამაზით.

მაია თამაზის ასული ცოლად პყავდა პოეტს და მეცენატს გიორგი ეგნატეს-ძე თუმანიშვილს (1790-1837).

ერმოლოვის მთავრმართებლობის დროს მაია თუმანიშვილი მეოთხე იურ თბილისში, რომელიც „დროშკით“ დასეირნობდა ქალაქში. ქეთევან ორბელიანი გვიამბაბს:

„ერმოლოვის დროს“ დროშკა: ერთი თეკლე ბატონიშვილს ყავდა, მეორე გრიგორე სარავეიშვილს (აქაური ვაჭარი იყო), გიორგი კნიაზისა და გიორგი თუმანიშვილს. სულ ოთხი იყო მთელ ქალაქში“.

მაია უხლოეს ურთიერთობაში იყო თბილისის მოწინავე ოჯახებთან და მათ შორის ბარათაანთ სახლთანაც.

1824 წლის 9 აგვისტოს მაიამ მონათლა პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი ძმა გიორგი, რომელმაც ორიოდე წელი იცოცხლა მხოლოდ.

საქართველოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სამართველოს აქტებში დაცული მეტრიკული ჩანაწერი გვამცნობს:

„ნაწილი პირველი დაბადებულთათვის ჩედ 1824 წელსა.

რიცხვი დაბადების დროსა?

თთუესა ივნისსა 30.

დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ვაჟი. სახლი გაუნათლა გაბრიელ ბლალოჩინმა მესხიევმა. მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსი-ევმა.

რიცხვი მონათვლის დროსა?

აგვისტოს 9.

ვინ იყვნენ მიმქმნელად ანუ ნათლიაღ?

კნეინა მარიამ თუმანოვისა“.

მაია თუმანიშვილი თბილისის ერთი საუკეთესო სალონთაგანის გამგებელი იყო თავის ძეირფასად მოწყობილ ბინაზე.

სტუმართმოყვარე დიასახლისის და მისი ქმრის პოეტის გიორგი თუმანიშვილის უნარის წყალობით მათთან გამუღმებით იყრიდნენ თავს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკნი და მოტრფიალენი.

თუმანიშვილების სალონში მუდმივად მოსიარულე იყო ცნობილი დავით რექტორი და პეტრე ლარაძე, რომლებმაც არაერთი ანთოლოგია, ხელნაწერი ძეგლები გადაწერეს მათი თხოვნითა და შეკვეთით.

ლიტერატურულ თხზულებათა გადაწერის, ანთოლოგიების შედეგენის, ახლად დასრულებულ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვების გარდა ამ სალონში სხვადასხვა სახის გასართობებითაც იქცევდნენ თავს.

1829 წლის 2 სექტემბერს დავით ორბელიანი (ქმარი მანანა ორბელიანისა) აბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს:

„ზოგჯერ გიორგი თუმანიშვილისის შევიყარნეთ ხოლმე, ცოტა ხანს ლოტო ანუ შაშვა ვითამაშოთ ხოლმე ამისთვის, რაღაც მაია დაწვა და ვაუი ეყოლა“.

მაიკო თუმანიშვილის ჯალოსნურ სილამაზეს ზედიზედ ლექსებს უძღვნიდნენ პოეტები.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ასეთი ლექსით შეამტკო იგი:

ა ლ ე ჭ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ა ძ ი ს თ ქ მ უ ლ ი
გ ი თ რ გ ი თ უ მ ა ნ ი ვ ი ლ ი ს ც ო ლ ზ ე დ .
ვ ე რ ც ლ მ ა ნ მ ა კ ი რ გ ა მ კ ე ლ ი ვ ა რ ე მ ,
ო ქ მ ი ს ბ უ დ ე შ ი მ ჯ დ ი მ ა რ ე მ ,
ვ ე რ ც ლ ი მ ა ს ე ს რ ე თ მ ჯ ა მ ბ მ ბ დ ა .
რ ი მ ე ც ს თ ქ ვ ი მ ი ს მ ო მ წ ი ნ ა რ ე მ :

ნ ე რ ც ლ ც ნ ე ბ ა მ ც ა ე ს ო ქ რ ი ,
გ ა ვ გ ლ ი ჯ ა ვ ა ვ ა რ ი რ ა
დ ა დ ა ვ ე კ ო ნ ი მ ა ს ე რ ც ლ ს ა
ვ ი ნ გ უ ლ ი ე ს რ ე დ მ ა მ ი ს ა .

ა წ ვ ხ ე დ ა ვ ე ს ე უ უ ხ ი მ ი
წ ა დ ი ლ ი ე შ ე მ ა ნ მ ი წ ყ ი ნ ა
შ ი რ ი თ ხ ე დ ა ე ს ა ც მ ი მ ა კ ლ ი
ა რ ც თ უ ნ ა ტ ვ რ ს ა მ ი ხ დ ი ნ ა .

თ ა ქ , ტ რ ფ ი მ ა ვ , ი ლ მ ე ი ს მ ი ნ ე
წ ა დ ი ლ ი მ ი ნ ა ნ უ ლ ი ს ,
ა მ ხ ა დ ე ტ რ ჯ ვ ა მ ტ რ ჯ ვ ე ლ ი
დ ა უ ც ე რ რ ი ს ხ ე ს გ უ ლ ი ს .

თ ლ ი ნ დ მ ა რ ი ს ე ყ ვ ე ლ ა ე ბ რ
მ ე მ ი ს ს ა შ ი რ ი თ ჭ ე რ ე ტ ს ა ,
ა მ ს ა დ ე ტ რ ჯ ვ ა მ ტ რ ჯ ვ ე ლ ი
დ ა უ ც ე რ რ ი ს ხ ე ს გ უ ლ ი ს .

მაია თუმანიშვილით ერთხანს გატაცებული იყო პოეტი გრიგოლ ორბელიანიც.

1850 წლის 28 იანვარს გრიგოლ ორბელიანი შურიდან ილია: ორბელიანს წერდა:

„კ ნ ე რ ა მ ა ი ა ს გ თ ხ ო ვ დ ი დ ი დ ი დ ი მ ა დ ლ ი მ ა გ ა ნ უ ც ხ ა დ ღ მ წ ე რ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს , დ ა უ ლ რ მ ე ს ი ჩ ე მ ი პ ა ტ ი გ ი ს ც ე მ ა . — ე ჰ , ი ყ ო დ რ ი , რ ი მ ე რ თ ი ს მ ი ს ი ს პ ა ტ ა რ ა . ბ ა რ ა - თ ი ს ა თ ვ ი ს მ ი ლ ი მ ა ს შ ი ვ ც უ მ დ ი “.

ვინ იცის, იცოდა თუ არა ლერმონტოვმა, რომ მის მიერ ბალზუ მოწონებული მაია დედა იყო მ. ლერმონტოვის თბილისელი ნათესავის — პრასკოვია ახვერდოვის ნათლულ ბაჩბაჩესი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1817-1845)

ხელმწიფის პატივსაცემად ქულაჯებში გამოწყობილ კონვოიში იმპერატორის ყურადღება ბალზე ნიკოლოზ ბარათაშვილმა მიიქცა. პოეტი და ბარბარე ვეზირიშვილი გადმოგვცეს:

„იმპერატორი ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქში, ნიკოს ქულაჯა ეცა, — ქულაჯა ჯოლოს ფერისა ბეჭმოვლებული, ახალობი ციაგი მკრთალი, ზარეარი შავი მაულისა, წალა თეთრი, ქართული, წევრიანი. ხელმწიფეს ძლიერ მოწინა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო“.

ამ ბალზე, როგორც ზემოთ ვნახეთ იყო ლერმონტოვიც და მთელი მარაჟა ქართველ ლამაზმანებისა.

როგორ შეიძლება დაიჯეროს კაცმა, რომ მაიკო ორბელიანმა ან მაია თუმანიშვილმა ცეკვების დროს, ან და ბანკეტზე არ გააცნეს ნიკოლოზ ბარათაშვილს ლერმონტოვი.

მაშინ ოცი წლის ბარათაშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა შედევრები ქართული პოეზიისა: „შემოღმება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „ღამე ყაბაზედ“, „ფიქრი მტკვრის პირას“ და სხვა ლექსები.

არცერთი რუსი პოეტი ბარათაშვილს სულით ისე არ ენათესავებოდა, რომ გორც ლერმონტოვი. ნიკოლოზ ბარათაშვილი მისი მუდმივი მოხარუე იყო.

1834 წლის 21 აგვისტოს ბარათაშვილი თბილისის შესახებ წერდა გრიგოლ ორბელიანს:

И грустно, и скучно, и некому руку подать
В минуту душевной невзгоды“.

ნ. ბარათაშვილის აღებული აქვს ორი სტრიქონი ლერმონტოვის მიერ 1840 წელში დაწერილი ლექსისა. „И грустно и скучно“. აი ეს ლექსი მთლიანად:

„И скучно, и грустно и некому руку подать
В минуту душевной невзгоды..
Желания!.. Что пользы напрасно иечно желать?..
А годы проходят — все лучшие годы!
Любить... но кого же?.. на время не стоит труда
А вечно любить невозможно.
В себя ли заглянешь — там прошлого нет и следа;
И радость, и муки, и все там ничтожно...
Что страсти? — ведь рано иль поздно их сладкий недуг
Исчезает при слове рассудка...
И жизнь как посмотришь с холодным вниманием вокруг,
Такая пустая и глупая шутка!..“

ბარათაშვილს ლერმონტოვის ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონის მოყვანისას, როგორც ვხედავთ გადაუსხამი სიტყვები „грустно“ և „скучно“.

1840 წელს ალექსანდრე საგინაშვილისადმი მიმართულ ბარათში ნიკოლოზ ბარათაშვილს მოჰყავს ლერმონტოვის ამავე ლექსის პირველ სტრიქონიდან:

„скучно, грустно“.

ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვით ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ურთიერთობის შესახებ...

პონსტანტინე მამაცაშვილი

(1815-1893)

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყრმის ამხანაგს და უახლოეს მეგობარს კონსტანტინე მამაცაშვილს ჴვდა ბეჭნიერება 1840 წელი ლერმონტოვთან ერთდა გაეტარებინა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თვითონ კი მამაცაშვილი წერს:

„მე დაახლოებით ვიცნობდი ლერმონტოვს 1840 წ., მთელი წელიწადი ლაშქარში ერთად ვიყავით, ჩაჩანში ხშირად მქონია იმასთან დროს ტარება და ლაპარაკი“.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დასრულების შემდეგ 1831 წელს ქ. მამაცაშვილი შევიდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში.

1837 წელს მამაცაშვილი საქართველოში ჩამოვიდა არტილერიის რაფიცრის ხარისხით. ნიკოლოზ ბარათაშვილმა და კ. მამაცაშვილმა კვლავ განაახლეს მეგობრობა.

„მოვედი — გვიამბობს მამაცაშვილი, — 1837 წელსა თბილისში. ნიკოლოზ. ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურსშესრულებული და მსახურობდა პალატაში. ჩვენი ძველი ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით. ნიკოლოზს სიკვდილამდის ქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც.“

იმ დროს თბილისში არაფერი გასართობელი ადგილი არ გვქონდა: არც კონცერტები, არც კლუბები.

ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს-ძე მელიქოვთან, ხან სადილად გარეთუნდნის ბალებში.

ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელ ლიტერატურაზედ, სწავლაზე, სხვადასხვა ჩვენ გარემოებაზე... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა.

ხშირად გვერნდა ლაპარაკი ჩვენ წაჩსულ ცხოვრებაზე: ერთ სალამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ, რაღაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მეტუთე საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა; პლატონ იოსელიანს მიანდგეს დაეწერა ძველი საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინად და შემდეგ 5 საუკუნეებისინ“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მეტად აფასებდა კონსტ. მამაცაშვილს და ანგარიშუწევდა მის გონიერი მომზადებას, ინტიმურ გარემოცვაში მოქცეულნი, გულახლილად უზიარებდნენ ისინი ერთმანეთს თავიანთ გულისნადებს. კონსტ. მამაცაშვილი ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ წერს:

„მახსოვეს ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს მე და ტატო (ნ. ბარათაშვილი) წავედით სასეირნოდ გარეთუბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულ

ცხოვრებაზე და ტრაგიულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა შეფის ირაკლიას მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენი თბილისის წახდენაზე, 1795 წელსა, თორმეტ სექტემბერს და სხ...

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზ ყოველთვის მომცარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმინდა და აღელვებულმა მითხრა:

— „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა — და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენ ქართლის ბედო!

დიღხანს დავდიოდით თავჩაღუნულნი და მოწყენილნი“.

თავის ახლად დასრულებულ ნაწერებს ბარათაშვილი კ. მამაცაშვილის უკითხავდა თავდაპირველად... ჩვენამდე არმოლწეული პოემა „ივერიელნი“ პოეტის უპირველესად მამაცაშვილისთვის წაუკითხნია.

„მე მახსოვს, — წერდა კ. მამაცაშვილი, — მისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს, „ივერიელნი“. ამ პოემში იყო აღწერილი ჩვენი ივერიებულა ცხოვრება 10-11 და 12 საუკუნეებისა. ამ ლექსების გადაკვეთება უნდოდა, რომელიც ისე მშვენიერი იყო“.

მეგობრებს მათი სურვილის წინააღმდეგ მაღლე გაყრა მოუხდათ. კონსტ- მამაცაშვილი გაგზავნეს კავკასიის ფრონტზე მომქმედ ნაწილში, საღაც ლერ- მონტოვი იმყოფებოდა. ისტორიკოსი პოტტო გვიამბობს:

„1840 წელს ახალგაზრდა მამაცაშვილი, უკვე პოლუჩიკი, გაგზავნილ ცქანა კაპიტანის ვარაბაევის სამთო ბატარეასთან ერთად გენერალ გალაფერის ტერ- გინის ჯარში, რომელიც ის იყო გროჩნაში წასასელელად ემზადებოდა.

ეს დრო კონსტ. ქრისტეფორესძეს დაახსოვდა იმითაც, რომ მაშინ გაიცნოდა და დაუახლოვდა შესანიშნავ პოეტს მ. ლერმონტოვს, რომელიც თუმცა ტენ- გინის ჯარში ითვლებოდა, მაგრამ თავდადებულ ყაზახთა და თათართა თავი- სუფალ მეომართაგან შემდგარ რაზმს უფროსობდა.

ლერმონტოვი, რომელიც ძვირად უახლოვდებოდა ვიზმეს, მალე დაუშეგობრ- და ახალგაზრდა მამაცაშვილს და მას გულითა და სულით შეუყვარდა საერ- თოდ არტილერიის ყველა იფიცირებით“.

თვითონ კ. მამაცაშვილი ლერმონტოვის შესახებ მოგვითხოვბის:

„მე კარგად მახსოვს ლერმონტოვი, ხშირად წარმომიდგება ხოლმე თვალ- წინ, ხან თავის წითელ ხალათში, ხან კიდევ საყელო გადაწეული და გვერდზე ჩერქეზულ ხმალგადავდებულ აფიცირის უეპოლეტო სერთუქში, სწორედ ისე- თი, როგორსაც სურათებში ხატავენ ხოლმე.“

ლერმონტოვი დაბალი ტანის კაცი იყო, ფერმკრთალი და დიდი ჭროლა თვალები ჰქონდა. იმისი ბუნება მაღალი და ძნელი მისაწვდენი იყო. თავის ამხანაგებში, გვარდიის აფიცირებთან, რომელნიც იმასთან ერთად მონაწილეო- ბას იღებდნენ ექსპედიციაში, ის მეტად მხიარული და გულგაბსნილი იყო.

უყვარდა ოხუჯობა, შეგრამ იმის თხუჯობა წრეს გადაღიოდა ხოლმე და მისი მოხერხებული და მახვილი ენა ბევრისათვის სასიამოვნო არ იყო. როდე- საც მარტო, ან გულის მეგობრებთან რჩებოდა, ის ფიქრს ეძლეოდა და მაშინ იმის სახე მეტად გამომეტყველი ხდებოდა.

საქმარისი იყო რომელიმე გვარდიელს ფეხი შემოედგა, რომ ის ისევ გამხია- რულებულიყო და უწინდელები ყველანი სიკალით დაეხოცნა. ამ წუთებში ძნელი გასაგები იყო, რა ხდებოდა იმის სულის სილრმეში. იმას მუსიკაც უფ- ვარდა, მხატვრობაც, მაგრამ ხატვით მხოლოდ კარიკატურებსა ხატავდა.

ჭველაზე ძალიან კი მას ჭადრაკი იზიდავდა, რომელსაც ხშირად თბედავი-ჭყებამდის მიეცემოდა ხოლმე. ლერმონტოვი მუდამ კარგს მოთამაშეს ეძებდა და ძალიან ხშირად კარავში მასა და ახალგაზრდა არტილერიის პორუჩიკის მოსკალევის შორის მთელი ბრძოლა იმართებოდა. მოსკალევი მართლაც კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ ლერმონტოვს მაინც ძირიად უჯებდა.

სამხედრო სამსახურში ლერმონტოვი ძალიან წინ ვერასოდეს ვერ წავიდოდა, ამისთვის საჭირო მასალას — მოთმინქაბას ის მოკლებული იყო.

ლერმონტოვის სიმამაცეს საზღვარი არა ჰქონდა. თავის ვაჟეაცობით, კავკასიის ძეველ გამოწროვნილ მეჯირითებებსაც კი აკვირვებდა, მაგრამ მაინც იგი სამხედრო სამსახურისთვის არ იყო გაჩინილი.

ამ ომშიაც ის არავითარ წესრიგს არ ემორჩილებოდა და თავის რაზმით, გზაკვალდაბნეული ვარსკვლავით ხან აქ ამოყოფდა თავს, ხან იქ. ბრძოლა-ში ისეთ ადგილებს ეტანებოდა, სადაც უფრო საშიში იყო“.

ბრძოლის ველზედაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს მ. ლერმონტოვი და პ. მამაცაშვილი.

1840 წლის 11 ივნისს „ვალერიის“ ნაპირებთან წარმოებულ მწვავე ბრძოლის დროს ტყიდან გამოსულ განსაცდელში ჩავარდნილ კონსტანტინე მამაცაშვილს პირველი დახმარება ლერმონტოვმა აღმოუჩინა. პოტტო სწერდა:

„მამაცაშვილის გარშემო ამ დროს არც ერთი ჯარისკაცი არ იყო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ლერმონტოვი გამოჩნდა, რომელმაც შეამჩნია რა არტილერიის გაჭირვება, თავისი რაზმით მისაკენ გაეშურა. მაგრამ მალე მან ზარბაზნებს ისევ თავი მიანება და თვალთაგან მიიმალა. ის შიგ შუაგულმკერდს შეესა“.

ლერმონტოვი და მამაცაშვილი ბრძოლის ფრონტზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს 1840 წლის 27 ოქტომბერს ავტურინის ტყეებში.

„როდესაც ჯარი, — გადმოგვცემს პოტტო — პატარა ბილიკზე მიღიოდა, მტერმა ტყვია ყველა მხრიდან დაუშინა. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე რამდენიმე კაცი უცემოდა ძირს ტყვიით განგმირული. ასეთ გარემოებებში ჯარი ნება-უნებურად კარგავდა წესრიგს და ირეოდა.

ბოლო ბატალიონი, რომელთანაც მამაცაშვილი იყო თავის ზარბაზნებით, ძალიან საჩქაროდ გამოვიდა ტყიდან და არტილერია მარტოლ-მარტო დასტოვა. ჩემინთ ხელად გაარღვეულ ჯაჭვი და ზარბაზნებს მიეთვნენ.

ამ დროს მამაცაშვილმა თავის გვერდით ლერმონტოვი დაინახა, რომელიც თავის რაზმით თითქოს მიწიდან ამოძრვაო. რა მშვენიერი რამ იყო ამ დროს წითელი აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი. ხელი ხანჯალზე ედო. დამალული, იგი მთიელების ზარბაზნებთან მიახლოვებას უყურებდა, რომ როგორც ვეფხვი ისე სძგერებოდა მას. მაგრამ ეს არ მომხდარა, მამაცაშვილმა განგებ მიუშვა მტერი ახლო და მერე ყველა ზარბაზნები ერთბაშად დასკალა“.

4 ნოემბერს ისინი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. იგივე პოტტო მოგვითხრობს:

„არა ნაკლები შეტაკება მოხდა 4 ნოემბერს ალდინის ტყეში, სადაც ლაბინთა რაზმი მთელი რვა საათ ნახევარი ტყის ვიწრო ბილიკზე მტერს ებრძოდა. მხოლოდ ტყიდან გამოსვლის შემდეგ დაინახეს პატარა მოედანი.“

მამაცაშვილმა ამ მოედანზე გააწყო თავისი ზარბაზნები და დაუშინა გზას, რომ უკანა ჯარისთვის შეძლება მიეცა სამშვილობოს გასულიყო. მთელი ბრძოლა ამ დღეს არტილერიას დაწვა კისერზე.

შალე მეორე რაზმი გამოჩნდა, რომელიც სუნჯის მარტენა ნაპირიდან მამა-
ცაშვილის საშველად მოდიოდა. ყველაზე ადრე ზარბაზნებთან ლერმონტოვი
დაიბადა თავისი მეგობრებით, მაგრამ გვიანდა იყო. მამაცაშვილმა უკვე გან-
დევნა ჩეჩინები“.

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა ფრონტზე ლერმონტოვისა და მამაცაშვი-
ლისა.

შრისტიუტორი სანიკიძე

ბევრმა არც კი იცის, რომ პიატიგორსკში მარტინოვთან ორთა ბრძოლაში
სასიკვდილოდ დაჭრილი ლერმონტოვი გურული გლეხის ქრისტეფორე სანიკი-
ძის მკლავზე მიიცაალა.

გურიის მკვიდრი ნაკაშიძის ნაყმევი ქრისტეფორე სანიკიძე „ლუქმა პურის
საძებნად“ ადგილიდან ადგილზე გადადიოდა.

1841 წელს ბეღმა გი პიატიგორსკში გადმოაგდო.

მაშინ სანიკიძე იყო 20 წლის ჭაბუკი.

ლერმონტოვმა იგი თავისი ლალის, კამერლინერის მოვალეობის შემსრულებ-
ლის ხელქვეითად აიყვანა.

სანიკიძე „თავისი ბატონის“ ჩემებსა და ტანსაცმელს სწმენდდა, ალაგებდა
სადგომს და „ხელზე ემსახურებოდა“ ლერმონტოვს.

თავის მოვონებებში მ. ი. ლერმონტოვის შესახებ ქ. სანიკიძე გვიამბობს:

„ლერმონტოვი, პიატიგორსკში სცხოვრობდა ჭილაშვილის სახლში. მის
გვერდზე სცხოვრობდნენ მისი ამხანაგები ვასილჩიკოვი, სტოლიპინი, და ტრუ-
ბეცკონი.

1841 წელი მხიარული წელი იყო. პიატიგორსკში დიდალმა ახალგაზრდო-
ბამ მოიყარა თავი. ისნინ ხშირად იკრიბებოდნენ ლერმონტოვისას და პატარა
„ჩალლევის“ შემდეგ, მოჰყვებოდნენ პატრიობს.

ლერმონტოვი ბუნებით მხიარული კაცი იყო, გასაოცრად ქეთილი და მოა-
ლერსე, თუმცა ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, უფრო ამჯობინებდა სხვისი
ლაპარაკის მოსმენას.

ხანდახან მას ანაზღულდ ფიქრი დაიბყრობდა, ამ დროს ყველას ერიდებო-
და და მარტოდ დარჩენას ჩერებდა, მოსამსახურეებს ძალიან გულთბილად და
ალერსიანად ეპყრობოდა.

განსაკუთრებით უყვარდა თავისი მოხუცი ლალა, ეფიმი, რომელსაც ენდო-
ბოდა და მის ჩეხეა-დარიგებასაც ისმენდა. იმ საბედისწერო დღეს, როცა დუ-
ელი მოხდა, ეს მოხუცი კამერლინერი უელეზნოვოდსკში იყო. ის რომ პიატი-
გორსკში ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, დუელი არ მოხდებოდა“.

დუელის მიზეზი გახდა იმ ხანად პიატიგორსკში მცხოვრები 18 წლის ემი-
ლია ვერჩილინი, რომელიც მოსწონდა ლერმონტოვს და დრაგუნის მაიორს
მარტინოვს.

მარტინოვი თავისი შეხელულებით და ჩაცმულობით სასაცილო შთაბეჭდი-
ლებას სტოვებდა მნახველზე, ამხანაგებს იგი ყბადღებული ყავდათ. ლერმონ-
ტოვი კარიკატურებს ხატავდა და ეპიგრამებს წერდა მასზე, რომლებიც ხელ-
დან ხელში გადადიოდნენ.

„იმ დღეს, — გადმოგვცემს სანიკიძე, — რა დღესაც დუელი მოხდა, ამხანა-
გებს პატარა არიდანა უნდა გაემართათ, პიატიგორსკის ბოტანიკურ ბაღში. ამ
შეიფს საშინელმა წვიმაში შეუშალა ხელი და მთელი ეს ჯეილ-კაცობა მოგროვ-

და ვასილჩიკოვის ბინაზე, ე. ი. ჭილაშვილის სახლში, სადაც ლურმონტოვი ცხოვრობდა".

აქ დიღი ჭიფი მოეწყო. ოხუნჯობას, კალამბურებს არ ჭონდა დასასრული. მარტინოვსა და ლერმონტოვს შორის მალე ვერზილინის ქალის გამო: საუბარი ჩამოვარდა, რომელმაც თანდათან შწვავე ზასიათი მიიღო.

უერად მთელი ახალგაზრდობა საღლაც გაიკრიფა და ცნობისმოყვარე; სანიკიძეც მალულად გაყვა თავის ბატონს. ჭრისტეფორე სანიკიძე იგონებს:

"მაშუხის მთაზე ასვლისას ასეთი სურათი გადამეშალა თვალშინ. კრებული ორ დასტად იყო გაყოფილი. ერთი წყება ლერმონტოვს შემოხვეოდა, ხოლო მეორე, — მარტინოვს. სულ 12 კაცი იქმებოდა მაშუყის მთასთან, დამბაჩები გასტენეს და ყველანი მოემზადნენ. პირველად მარტინოვს უნდა გაესროლა, ლერმონტოვმა დაცინვით მიმართა:

"კოტა ახლოს მოიწიე, რომ მიზანს არ ააცდინო...

მარტინოვმა უბასუხა:

"ნუ სწუხხარ!.. ღრაგუნს ხელი არასულეს აუკანკალდება!"

ამ სიტყვების შემდეგ მარტინოვმა დამბაჩა ისროლა. ლერმონტოვი მაშინ ვე დაეცა მიწაზე, ტყვია მოხვდა მარჯვენა გვერდში და გაიარა გულის არე, იდაყვიც დაუზიანა. როცა დარწმუნდნენ, რომ სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, ფაცა-ფუცი შეუდგათ, ეტლი მოაყვანინეს და ზედ დაწვინეს.

მე აღრევე იველ ეტლზე, რომ ჩემი მომაკვდავი ბატონი მუხლებზე დამტწვინა, ჩემს გვერდით მოთავსდა დავიდოვი. ჯერ ორ ვერსტს არც კი ვიყავით დაშორებული დუელის ადგილიდან, რომ ლერმონტოვი გზაში ჩემს ხელებზე გარდაიცვალა".

ლერმონტოვის სიკვდილის შემდეგ ჭრისტეფორე სანიკიძე მოსამსახურედ დაუდგა სევასტოპოლში მცხოვრებ იმხანად ცნობილ ინჟინერს უპტონს, რომელიც სანიკიძეს პიატიგორსკიდან იცნობდა.

უპტონთან ერთად გურულმა გლეხმა იმოგზაურა ეგვიპტეში და საქმაო კარგა ხანს იცხოვრა საზღვარგარეთ.

რუსეთში დაბრუნებულმა სანიკიძემ რამდენიმე ადგილი გამოიცვალა და მე-აე საქართველოში ჩამოვიდა.

თბილისში იგი მოსამსახურედ მოეწყო ივანე თედორესძე ზოლოტარევთან, რომელიც ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორად იყო.

ზოლოტარევების ოჯახში სანიკიძემ 25 წელზე მეტი გაატარა.

1890 წელს გარდაიცვალა ქ. სანიკიძის უკანასკნელი ბატონი თედორე ივანესძე ზოლოტარევი და ამის შემდეგ 70 წელს მიწევნილი მოხუცი სრულიად უსახსროდ და უპატრონოდ დარჩა.

ი მ დ ე ი თ ბ რ ა ფ ი ა

ალფონს ღოდე. „წერილები ჩემი წისძვილიდან“.

თარგმანი ფრანგულიდან გერმანით შექმნის, „ფედერაცია“, 1940 წ.

იყო დრო, როცა იმ შეარეში მონტბანის სახელით რომ არის ცნობილი, ცხოვრება სდუღ-და. ქარის წისქვილის ფრთხები განუწყვეტლივ ბრუნავდნენ და ფერმერებიც მახლობელ სოფ-ლებიდან საკე ტომჩებით დატეირთულ ურჩებს წინ მიუძლვებოდნენ. მკვიდრთა გულს ახარებდა შოლტების ტლაშუნი და ხორბლით საკე ტომჩების ხვიმრებში ჩამდებადა. კვირაობით სოფლელები ჯგუფჯგუფად მიღიოდნენ წისქვილისაკენ დროს სატარებლად. დიდი იყო ალტაცია, მუსკატით საკე ბოთლები და მეზისქვილეთა ლაბაზი ქალები რომ მწვევდნენ. ეს უკანასკნელები მაქმანიან წამოსასხამებით და ოქროს ჯერებიან სამკერდულებით დედულებს გვანდნენ. შებინდებისას მოხუცი მესაკრავე იღებდა ხელთ თავის ტამ-ბურინს და ახალგაზრდობა გათერებამდე ცეკვადა ფარანდლლას. ეს წისქვილები იყო სი-ჭარული და სიძირი მონტბანის მხარისა.

ყველაფერი კარგად მიღიოდა მათ ცხოვრებაში. ყველაფერი. მაგრამ წყეულ ფრანგებს პარიზში აზრად მოუვიდათ ტარასკონის გზაზე ორთქლის წისქვილი აეშენებათ. გლეხები შილე შეეჩივინენ მას და ქარის წისქვილი დაივიწყეს. საწყალი ქარის წისქვილები! ისინი შეძლავრი მეტოქის წყალობით ერთი მეორეზე იხურებოდნენ. აწ ვეღია ნახავით მონტ-ბანისკენ მიმავალ პატარა ვიზები... მეწისქვილეთა ქალებმა გაჰყიდეს თავიანთი ოქროს ჯვრები. ყოფილმა მეწისქვილებმა დაანგრიეს ქარის წისქვილები და მათ ადგილზე ვაზი და ზეთასხილი გააშენეს. შვერდობით ფარანდლლა!

გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ ქართულად ახლახან გამოცემული ფრანგი მწერლის ალ-ფონს ლოდეს ნოველათ კრებული „წერილები ჩემი წისქვილიდან“ ლირიული იდეალიზაციაა პარიგინის პატრიოტულურ-პაროვანციური ყოფისა. ამ ნოველებში წარსული ცხოვრების მშენიერ პოეტურ სურათებთან ერთად გარდასულ დრითა დაბრუნებისა თუ შენარჩუნებისათვის წარმოებული ბრძოლაცაა ასახული. დოდემ კარგად იცის, რომ ეს ბრძოლა უიმე-დოა, რომ მსხვილი კაპიტალიზმის უძლები ხახა არავის არ ინდობს, მაგრამ მას, წვრილ-ბურჟუაზიული მემატულები კლასის ტიპიურს წარმომადგენელს არ შეუძლია გულგრი-ლად უცქიროს, თუ როგორ ეცვიან ერთმეორებზე ქარის წისქვილები (ისინი სერვანტები-თან ახალი ყოფის სიმბოლო იყო, დოდესთან პირუკუ). ნალვილია სიმღერა დაკარგულს სამოთხეზე, მაგრამ ბრძოლის წაგება არ ნიშნავს მის დამთავრებას და დაბარცხებული მხა-რე ბრძოლის გარჩეულებაში გრძნობს შეხებას გამარჯვების სიტყობასთან. და ლოდეს მთელი შემოქმედებაც სხვა არაფრია, თუ არა პოეტური იდეალიზაცია ახალი დროებით გთელილ დეკლასიურ პიროვნებათა, რომელთაც არ სურთ დაიჯერონ თავიანთი მარცი.

„მეწისქვილე კორნილის სიღუმლოება“ ამ მხრივ მეტად ტიპიურია. კორნილი სამოცი წლის კარმაგა მოხუცი იყო. იგი უსაზღვროდ შეეკარებული თავის წისქვილზე ორთქლის წისქვილის მშენებლობაში კინაღმ გააგიუ. დარბოლა ხალხში. აძაგებდა ორთქლის მანქანას. ეშაკის სახეცვლილებას ეძახდა მას. მე კა, მხოლოდ ქარის ვოშაობ, რომელიც სურთქვაა შემოქმედისო. როცა შეატყო არაფერი გამოიყოდა, იგი ჩიკეტა თავის წისქვილში და სა-მუდამიდ განმარტოდა. გავიდა კარგა წანი, რაც მის წისქვილში არავის მიერთა საფევავი,

მაგრამ წისქვილი მანც განაგრძობდა მუშაობას. მზის დასკვლისას მოხუცი კორნილი შევიდი ნაბიჯით მიუძღვებოდა წინ სახეს ტომჩებით დატვირთულ ვირს. ყველას უკვირდა სიადან შოულობდა მოხუცი საზევაცს. ერთ დღეს შემთხვევით გაისსნება კორნილის საიდუმლო. გლეხები წისქვილს სარემლიდან (იგი ლიად დარჩა ბერიკაცს) დაინახავენ ცა. რელ ხემჩებს და ოორლით სახეს ტომჩებს. მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება უკვე აღარ არის საიდუმლოება. მოხუცი გაიგებს რა ამას, აპირებს მოიკლას თავი. იგი ჩხა-მაღლა დასტირის თავის წისქვილს, ათასგარ სანაზო სახელს უწოდებს მას. გეგონებათ— ცოცხალ ასებას. ელაპარაკებათ. კორნილი თავის ცხოვრების დასასრულს ხედავს იქ, სა-დაც ქარის წისქვილის ფრთხები შეწყვეტინ ტრიალს. გლეხებს შეეცოდებათ ბერიკაცი და გადასწყვეტინ არ მოაკლონ საფუვი მის წისქვილს. და იგი განაგრძობს მუშაობას, ვიდრე მოხუცი არ გარდაცვალა და მაშინ ფრთხები მონტბანის უკანასკნელი ქარის წისქვილისა სა-მულოდ შეჩერდა.

ერთი გარემოებაა დოდესთან ალსანიშნავი: მისი გმირები ტყუბებიცით გვანან ერთმა-ნეთს და აქსებენ ერთურთს. სხვადასხვა მხარეს იძლევა დოდე მათი ერთგვარად განწყობილი სულისას. კუკუნიანის ხუცესი იგივე მეწისქვილე კორნილია ოლონდ ცოტა უფრო მოხერ-ხებული და გაიძერა. იგი ერთგვარი თალღითაბით ახერხებს დაუბრუნოს თავისი მრევლი ეკლესია. მაგრამ ეს დაბრუნებაც ისევე დროებითია, როგორც კორნილის წისქვილის ამჟ-ჟავება.

დოდეს გმირები თითქმის ყველა დონკიხოტურია. ისინი ვერ გრძნობენ, რომ მათი დრო გარდასულია, რომ იგი არასოდეს არ დაბრუნდება. ძნელია დარწმუნება საკუთარი ოცნე-ბის ქიმერულობაში.

თვით დოდე საკმაოდ ახლოა თავის გმირებთან და ამდენად სერვანტესის უკვდავ გმირთა-ნაც. ამ წიგნში გარკვევით მოსჩანს ავტორის რომანტიული ფიგურა. დოდეს არ მოსწონს ასებული ყოფა. იგი გარბის პარიზიდან მონტბანში, ყიდულობს ერთ ძეელ წისქვილს და შიგ ჩასახლდება.

პიროვნების ტრაგედია მის დამარცხებასთან იწყება. მეწისქვილე კორნილი და კუკუნი-ანის ხუცესი თავს დამარცხებულად არასოდეს სთვლიან...

თუ სერვანტესმა დონ-კიხოტს გზა ილუზიებისაკენ მოუკრა, დოდე უფრო კეთილია: მან არ მოუკვეთა გზა ილუზიებისაკენ თავის გმირებს და პირიქით, დოდემ გამოსავალი სწო-რედ ილუზიებში პპოვა. აქ არის ალფონს დოდეს რომანტიზმი.

სარეცენზიო წიგნი ქართულად გრძნოტი ქიქოძემ სთარგმნა. წიგნი თარგმნილია ვეტორის დიდი სიყვარულით. ლამაზი ქართული და საკმაო ადეკვატურობა ორიგინალთან ამ წიგნს ხდის ფრიად საინამოენო საკითხავად.

ვ—
ვ—
ვ—

1941 წ. იანვრიდან „ჩეხები თაობა“ გამოდის
უოველთვიურად

ხელის მოზღვის პირობები.

წლიურად	24 მან.
ნახევარი წლით	12 "
ცალკე წომერი	2 "

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოფუბერა-
ტის რაიონუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

აედაგვის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კუშირი.

ԳԱՅՈ Չ ՑԱՅ.

հ 553
1941



Ежемесячный журнал
„ЧВЕНИ ТАОБА“

Сахелгами 1941 г. Тбилиси.